


FS

6290


2

ს ზ თ მ წ ი ზ ნ ა

6290



მ. კ. ხაჩიძის ნაშრომები




თ შ ი ლ ს ი

მლექ.-მბეჭ. ა. შ. ჯერესელიძისა, ვაბაშვ. შესახ. № 1.

1914

F435
2

მ. კრავკვიტსკიკელი



ტფილისი

ელექტრ.-მბეჭ. ა. ჭერესელიძისა, გაბ. შეს. № 1.

1914

გ ი უ ლ ი ^{*)}

I

მარტის ნახევარი იქმნებოდა, როცა ოჰანეზამ დატვირთული ურემი ალიას ბინის წინ დააყენა. ურემი ალიასივე იყო და იმისივე შვილი მოუძლოდა წინ. ამისთვის თუ არ ამოიღეს ხმა ქოფაკებმა. ოღნავ კი მოიხედა რამდენმამე წყვილმა ქოფაკმა ხმაურობაზე და ისევ ისე განცხრომას თავი მისცა.

— ოო, მოხვედ მშვიდობით, ჩემო ოჰანეზ!... — მიეგება ალია, რომელმაც ის-ის იყო ფარების დაბალ კარებიდან შაქრის თავისავით ტყავის ქუდი გამოყო და შემდეგ ტკბილად მოღიმარი გრძელი ჭალარა, თითქმის გათეთრებული წვერ-ულვაშით შემოსილი სახე გამოაჩინა.

*) გიული პირდაპირ ვარდს ნიშნავს, თათრები ქალსაც უწოდებენ ამას სახელად, როგორც ჩვენ „ვარდოს“. თათრებში მომეტებულ ნაწილად სახელად ყვავილების სახელებს არქმევენ.



— დამხვდი მშვიდობით, ალი!... როგორი დოლია?!. ცოლშვილით ხომ კარგადა ხარ, ჩემო ალი!.. — ღიმილითვე ჰკითხა ოჰანეზამ ალიას და მოდუნებულად გამოწვდილს ხელს მოდუნებულადვე გაუქლასუნა.

— ალლაჰის წყალობით კარგადა ვარ! შენი მწყალობელიც იყოს, — უპასუხა ალიამ და დურა ტყავი, რომელიც ქოშების ქუსლებამდის ჰსწვდებოდა, მოიბურა.

— ცოტა არაა, ჰსუსხავს, შევიდეთ ფარეხში! — მიიპატიჟა ალიამ და წინ გაუძღვა.

— შენ დურა-ტყავს მკათათვეშიაც არ იშორებ. რა დროს სუსხვია?! მე კიდევაც მცხელა! — უპასუხა ალიას ოჰანეზამ და შემდეგ თავის მოჯამაგირეს მიჰმართა: — მიტრო, ხურჯინი ფარეხში შემოიტანე!..

ოჰანეზა, წელში ორად მოხრილი, შევიდა თუ არა, შედგა, წელში აიმართა და აქეთ-იქით ცქერა დაიწყო: მაგრამ პირველ წუთს ვერა გაარჩია რა. თუმცა ნაცნობი იყო ეს ფარეხი, მაგრამ მაინც წინ

ფეხის გადადგმა ვერ გაბედა, რადგანაც
 ეშინოდა, არას ნიჰზეთქებოდა. ოჰანეზამ
 რამდენჯერმე თვალები მოიფშვნიტა, კი-
 დევ მიიხედ-მოიხედა და შემდეგ, როდე-
 საც კერას-პირას ბოძზე მიყუდებულ კბი-
 ლებ-გამოყრილ და სახე დაღმენჯილ დედა-
 კაცს თვალი მოჰკრა, თვითონაც კბილები
 გამოყარა და მიუახლოვდა:

— ააა, იეთარ, როგორა ჰბრძანდები?!

— კარგადა, ჩემო ოჰანეზ, შენ რო-
 გორ-ლა ხარ, შენის შვილებით?! — თავის
 მხრით მოიკ-თხა იეთარმა და ხელი ჩა-
 მოართვა.

— აქა მშვიდობა! — შემოჰყო თავი
 თუ არა კარებში, დაიძახა მიტრუამა, და
 ისიც ოჰანეზასავით კარებში შედგა.

— აი, კერისკენ მოიტა ხურჯინი! —
 დაუძახა ოჰანეზამ.

— დამაცა, თვალი გავიტეხო, ვერასა
 ვხედავ! — უპასუხა მიტრუამ თვალების
 ფშვნიტით.

თვალების მოფშვნიტის შემდეგ კა-
 რგად გატენილი პატარა ხურჯინი კერის
 პირას დასდო მიტრუამ.

— აბა, შენ იცი, მიტრო, როგორც ყველაფერს რიგიანად გააკეთებ. ხომ გახსოვს, შარშან საღაც გვედგა კარავი, იქავე დადგი. — უთხრა ოჰანეზამ მიტრუას და ხურჯინს მიუჯდა.

თხუტმეტამდის დიდი თუ პატარა ოჰანეზას გარს შემოეხვია. ყველას თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს, აგერ ეს-ეს არის, უნდა ხელი სტაცონ და დაითრიონ ხურჯინიო. ალია კი გვერდით მოუჯდა ოჰანეზას და ჩაყვითლებულს კბილებს არ ჰმაღავდა.

ცეცხლი კი ოდნავ ბეუტავდა კერაზე და ღრჩოლავდა, რის გამოც ისეც ბნელი ფარები კვამლით იბურებოდა.

— აი, იეთარ, ეს შენთვის წამოვიღე! — დაიძახა ოჰანეზამ, როდესაც ხურჯინიდან ქალაღში შეხვეული ნივთი ამოიღო.

— ოო, ჩემო ოჰანეზ! — მეტი არა უთქვამს რა. იქავე ჩაცუცქდა და მაშინათვე გაშალა, და, წითელ ნიადაგიანი და თეთრ ფოთლიანი ჩითი რომ დაინახა,

პირი სიამოვნებით ყურებამდის გაეპო, და ისეც წვრილი ჩაცვივნილი თვალები ბუდეში სულ დაემალა.

— ეს კიდევ ლეილას!—მეორე ნაჭერი მეორე დედაკაცს, იეთარზედ უფრო უმცროსს, გაუწოდა.

ლეილაც იეთარს მიუჯდა და კალთაში წითელი მითელი გადიშალა. იეთარმა და ლეილამ ერთმანერთის საჩუქრებს გაფაციცებით სინჯვა დაუწყეს. ამ დროს რვამდის წვრილ-ფეხობა მოუსვენრად ადგილობრივ ტიტველა ფეხებს ათამაშებდა და ოჰანეზას თითქმის კალთაში უვარდებოდა. მაგრამ ოჰანეზა ხურჯინის ამოლაგებას არა სჩქარობდა. ის, თითქოს მღვდელ-მოქმედობდესო, მძიმედ ალაგებდა ხურჯინიდან.

— შენი რძლები სადღა არიან, ალი!.. აი, ეს ქოშები იმათ მოვუტანე!...

— რა კაცი ხარ, ოჰანეზ, რა კაცი!.., რომ არავინ დაგვიწყებია!—მხარზე ხელის დარტყმით ჩამოართვა ქოშები და თავის ცოლებს გადააწოდა.

— სად არიან ქალები?!—თავის მხრივ

დაეკითხა ცოლებს, როდესაც ქოშები მი-
აწოდა.

— წყალზედ! — მოკლედ უპასუხეს
იმათ და ქოშებს ქექვა დაუწყეს.

— ეს კიდევ შენს წარის. ის სადღაა?!
— ისევ მძიმედ წამოიძახა ოჭანებამ და
მძიმედვე გაუწოდა რაღაც ქალაქში გა-
ხვეული.

— ოჭანეზ! — მეტი ველარა თქვა-რა
აღიამ. მთლად დადნა სიამოვნებით, რომ
მისი უმცროსი, მისი საყვარელი ქალი
ათი წლის წარი არ დავიწყებია ოჭანებს...

— ლეილა, წარი სად არის?! — ჩაე-
კითხა წარის დედას აღია და საჩუქარი გა-
დააწოდა.

— ძალუეებს გაჰყვა წყალზედ!.. აღი-
აზედ არა ნაკლებ ნასიამოვნებმა ლეილამ
უპასუხა და საჩქაროდ შემოაფცქვნა სა-
ჩუქარს ქალაქი.

წვრილ-ფეხობას უკვე იმედი გადაუწყ-
და. „ყველასათვის ამოიღო საჩუქრები“,
ფიქრობდა წვრილ-ფეხობა: „და ჩვენთვის
კი არაო, ჩვენ არა მოგვიტანა რაო“.
მოცმუკუნე შიშველა ფეხები შეუდგათ,

და მობრწყინავე თვალები მოელრუბლათ.

— აბა, ეხლა თქვენ მომიახლოვდით!.. უეცრივ სწორედ დროზედ მიჰმართა ოჰანეზამ წვრილ ფეხობას, თორემ წვრილ-ფეხობა სასოწარკვეთილებას მიეცემოდა, და ერთი ქალაღდის პარკი ხურჯინიდან ამოაძვრინა.

მოღრუბლული თვალები წვრილ-ფეხობას ისევ მოეწმინდათ ოჰანეზას ხმაზედ და ფეხები ისევ ისე აუთამაშდათ.

ოთხმოკამდის თითი მიეგება ოჰანეზას, იმას თითქმის კიდევაც შეეშინდა; თავი უკან გადიღო და ისე დაუწყუო ფოჩიანი კამფეტების დარიგება.

— ოოო, ოოო! — ყვიროდნენ — ბავშვები, და ოჰანეზა კიდევ კამფეტებს უწყობდა ხელში.

როდესაც ქალაღდის პარკი დაცალიერდა, ბავშვებმა საჩქაროდ პირი იბრუნეს, ხტუნაობით ფარეხის ხშირ და დაბალ ბოძებში აირივნენ და სიბნელის გამო აღარ მოჩანდნენ; მხოლოდ მათი ყიჟინაღა მოისმოდა, და აქა-იქა ბოძების შუაღდან მათი თვალები გამოასინათებდნენ.

—ოოო!.. — გაისმა ერთხმად ყველას ხმა და ფუნდრუკაობით ერთი-ერთმანეთს აღარ აცდიდნენ გარედ გავარდნას.

—აღლაიმც გიშველის, რომ ებალღები გაახარე!.. — აღიამ ხელის გადახვევნით მიჰმართა ოჰანეზას, როდესაც ბავშვები კისრის მტვრევით გარედ გაცვივდნენ.

—ახლა შენც გაგახარო და, აღი!.. აი, ეს კიდევ შენ! მოხუცებული ხარ, ჩაი-შაქარი გეყვარება, — უპასუხა ოჰანეზამ და ხურჯინიდან ერთი პატარა შაქრის თავი ამოიღო და გირვანქის მეოთხედი მცირე-ფასიანი ჩაის პარკუჭანა..

—რანაირად გადაგიხადო მადლობა, ოჰანეზ!.. — აღტაცებით წამოიძახა აღიამ და ღმობიერად მზერა დაუწყო.

II

იეთარი და ლეილა ქეთლის აღუღებას შეუდგნენ. ჩქარა კერაზედ ცეცხლი გააჩაღეს. ამ დროს ოჰანეზა და აღია გარედ გამოვიდნენ, რომ ენახათ მიტრუა

და ალიას შვილი ქერბალაი როგორ საქმიანობდნენ.

ალიას ბინა ცოტა ბექობზედ იყო მოთავსებული. თითქმის მთლად ყარაის მინდორი მოჩანდა; თუ კი ვისმეს თვალი კარგად უჭრიდა, ალიას ბინიდან ყველაფერს დაინახავდა. ოჰანეზა გამოვიდა თუ არა, თავის უნებურად გაშტერდა, და არე-მარემ თვალი მოსტაცა. მთლად ესტრიალი მინდორი, ქვევით კიდევ მტკვრის პირას ტყით შემოსილი ადგილი მწვანე ხავერდის სუფრად ქცეულიყო, რომელსაც უთვალავი ცხვარი შეჰსეოდა. აქ-იქ, თითქმის ყველგან, თითქოს თეთრი ძაფით ამოუქარგავთ მწვანე სუფრაზედო, ისე მოჰფენოდა ცხვარი. შორს, სულ შორს — ქვევით გადახრილ მზის სხივებზედ მოელვარებდა და მობრქყვინავდა ჯაანგირი.*)

— ეხლა რა ლამაზია ყარაია, ალი! — სულ უნებურად წამოიძახა ოჰანეზამ.

ეხლაა კარგი ყარაია, აპრილის თხუთმეტამდის, ან გასულამდის. მერე კი

*) ჯაანგირი — ტბაა ყარაიაზში.

წყეულია, — უპასუხა ალიამ, მიტრუასთან და ქერბალაისთან მივიდა, რომლებმაც კარავი უკვე დადგეს და ახლა ურმიდან კოდებს და ქვაბებს გადმოიღება დაუწყეს.

— ქერბალაი, შენ წადი წყალზედ. ქალებმა რაღაც დაიგვიანეს. ხომ არა შემთხვათ-რა. ამის გადმოლაგებას მეც ვუშველი. — ცოტა არეულის სახით უთხრა შვილს და კოდი კარავთან მიათრია.

— გიულიც იქაა?! — შუბლშეკმუხვებით დაეკითხა ქერბალაი მამას.

— იქაა!..

— მაშ შენ წადი!..

ალია ამ პასუხით გამშრალი გამოტრიალდა ოჰანეზასკენ, რომელიც ამ დროს მთებისკენ, საიდანაც ოდნავ ჯვარი მოჩანდა, მიბრუნებულიყო და პირჯვარს იწერდა.

— ოჰანეზ, — მხარზე ხელის დადებით ნაღვლიანად მიჰმართა ალიამ, — ხომ არ გამოივლი იქით?! მიტრო და ქერბალაი თავად მოაწყობენ. შენი აქ ყოფნა მეტია.



— ვა, ალი, რატომ არ გამოვივლი! მაგრამ ჩქარა მოსალამოვდება. აგერ მზე რამდენად გადახრილა!.. სანამ იქ მივალთ, თუმცა ძალიან მინდა იმის დათვალიერება და თაყვანისცემა, მაგრამ ვერ მოვასწრობთ!

— ეეჰ, რა დროს თაყვანისცემაა?!... მე ხომ თქვენ სალოცავისაკენ არ გიწვევ. — წარბების აწევით წამოიძახა ალიამ და წვერებზე ხელი ჩამოისვა.

— ეს რამდენი წელიწადია აქ მოვდივარ და ჯერ ერთხელაც არ მილოცნიდა და არ მინახავს ნათლი-მცემლის საბერო! ვენაცვალე იმის მადლს, სულ ერთბაშად გადავუხდი... დავით გარეჯის საბეროც არის. აგერ, ჯაანგარის ტბის პირდაპირ... ოჰ, როდის მოვილოცავ იმას!

— როცა გინდა, მაშინ მოილოცე. ეხლა მე იმათ მოსალოცავად არ გიწვევ!

— იცი, ალი, ეგ ხომ ქართველების საბეროა, იმათი წმინდანების აშენებულია, მაგრამ მე მაინც...

— ქრისტიანები ყველა ერთი სისხლისა მგონიხართ! ეგ მე არ ვიცი. რო-

ცა გინდა ილოცე და როცა გინდა ილან-
ძღე, ეხლა კი, აი წყაროსკენ გავიაროთ!

— წყაროსკენ?!

— ჰო'...

— წავიდეთ!... მეგონა, საბეროსკენ
მეუბნებოდი. ვენაცვალე იმათ მადლს,
როდისმე უეჭველად მოვილოცავ!...

III

— ქოფაკი! — წამოიძახა ქერბალაიმ,
როდესაც მამა, ალია, მკვახის სიტყვით
გააბრუნა და კოდს სწორება დაუწყო.

— ქერბალაი, — რატომ აგრე ური-
გოდ იხსენიებ მამა-შენს?! — დაეკითხა მი-
ტრო ქერბალაის და ურმის ქავლს მოჰ-
კიდა ხელი.

— ურიგოდ მოხსენება კი არა, დახ-
რჩობაც ცოტაა! — უბასუხა ქერბალაიმ და
კოდზე მისვენებით მიტრუას თვალებში
მზერა დაუწყო.

— რა ვიცი, ქერბალაი, მე რომ მამა
მყვანდეს, ყველაფერს ვაპატიებდი! ეს ოხე-



რი, არც დედა და არც მამა არ მახსოვს და ისე კი მგონია, რომ მშობლებს ყველაფერს მივუტყვევებდი და მაგრე ურიგოდ არ მოვიხსენიებდი.

— მშობლები რომ არ გახსოვს, მაგრე იმისთვის ამბობ. მამა-შენს ის რომ ჩედიწა, რაც მამა-ჩემმა, მაშინ, განა არ გიცნობ, შვილოსა, ცოცხალს შესქამდი.

— ისეთი რა ჩიდიწა, რომ მაგრე ამბობ?!

— ჰო და... ჯერ გაიგე და მერე ისე გამამტყუნე!...

— მაინც ისეთი რა ჩიდიწა!?

— რაღა რა ჩიდიწა, დაიწყო ქერბალიმ და აქეთ იქით მიიხედა, გასაკეთებელი ხომ აღარა დაგვრჩა-რაო და ყველაფერი რომ რიგზედ დაინახა, განაგრძო. ხომ გახსოვს, შარშან ზამთარს ჩვენ გვერდით, აგერ იქ, რომ ბინა ექირა, ველიბაირამ-ქუჩუკ-ოღლის? ჰო, და შარშან ეშმაკად აქ ჩამოვიდა ჯალაბობით. წინად ერთხელაც არა უოფილა აქ. იქმნება აღარც კი მოვიდეს როდისმე აქა, არ ვიცი. შარშან რამ მოათესლა აქ?! ნეტავი, ფეხი ვახმო-

ბოდა და შარშანაც არ მოსულიყო!...

— უი, უი, ბედშავო, რად ამბობ მაგას?! ნეტავი, წლელულაც მოსულიყო!.. ისეთი ლამაზი...

— მიტრო, — უეცრივ შეაწყვეტინა სიტყვა ქერბალაიმ; იმისი ქალი შენ ძალიან მოგწონდა, განა?!. ეხლა მაგონდება რამდენჯერ გითქვამს ჩემთვის: „ახ, რა კარგი რამ არისო!..“ რამდენს ემასხარავებოდი ჩემთან და ეუბნებოდი: „მოვიტაცებ და ცხრა მთას იქით წაგიყვანო!..“

— მართალს ამბობ!.. — უპასუხა მიტრუამ, და ქერბალაის აღელვებამ იგი ძალიან შეაშფოთა.

— შენ კიდევაც მითხარი, განა, დამეხმარე, იქმნება, როგორმე მოვიტაცოვო?!.

— მართალია, მართალი!..

— მართალია და... იცოდე, ეხლას ქალი ჩემი დედინაცვალია!.. — შუბლზეკმუხვნით და მკათიოდ წამოიძახა ქერბალაიმ.

— როგორ?! — მეტი ვერა მოახერხა
 რა მიტრუამ და სწრაფად ქერბალაის ერ-
 თის გადახტომით ხელი დაუჭირა.

— როგორ და ისე, რომ დედაჩემი
 მოკვდა. ერთი თვის შემდეგ მამაჩემმა ის
 ქალი მოიყვანა...

— უი, საწყალი!.. რა დაემართა?!
 დედასავით მიყვარდა დედაშენი. ნეტავი
 არ გეთქვა! რა კარგი ადამიანი იყო!.. —
 გულწრფელი მწუხარება გამოიხატა იმის
 სახეზე.

ქერბალაის გული აუჩუყდა მიტრუას
 მწუხარებაზე და თვალეებზე ცრემლი მო-
 ადგა.

— საწყალი ხაჯა!.. თვალწინ მიდგა
 იმისი კეთილი სახე; იმისი ტკბილი ხმა
 მეყურება: „შვილო მიტრო,“ თითქოს
 ისევ ტკბილად მეძახოდეს, „მოდი, პური
 მოგშიოდა, ჭამეო!“

ქერბალაიმ თვალეები მოიწმინდა, თა-
 ვი შეარხია და დაიწყო:

FS 6290

— ჰო, დედა-ჩემს ძალიან უყვარდი. კეთილი ადამიანი იყო. ხშირად უთქვამს: «ნეტავ მიტროს ქართველი არ იყოსო, ან მუსულმანი იყოსო, რომ ჩემი სალბი ჩემი ხელითვე მივუყვანო და ცოლად დაუსვაო. მიტროს მე სასყიდელს არ გამოვართმევდიო... დედა-ჩემი ძალიან მიყვარდა... ისე არავინ მყვარებია ჯერ. ჩემი სონაც არ მიყვარს ისე. ხომ სონას მეტი ჯერ აღარა მომცემია-რა და მომეცემა თუ არა, ეგ ალლაჰმა უწყის. ის სონა რომ მომკვდომოდა, ის მერჩივნა, ოღონდ დედაჩემს ეცოცხლა.

— საწყალი ხაჯა, საწყალი!—მწუხარებით გაიძახოდა მიტრო, და თითქოს გიული სულ გადაავიწყდაო, აღარ უხსენებია...

— მიტრო, — რამოდენიმე წუთის სიჩუმის უნმდეგ ლმობიერად მიუბრუნდა ქერბალაი: — დედა-ჩემს ძალიან უყვარდი. აი, ეს მესამე წელიწადია აქ მოდიხარ და მეც შენი ცული არა გამიგონია-რა. მხო-

ლოდ შენი სიკეთე და სივაჟაკე მოუსმენია ჩემს ყურებს. წინად, როცა დედ-ჩემი ცოცხალი იყო, შენი სივაჟაკე და სიკეთის გაგონება მწყინდა, მშურდა და... ეჰ, ჩემო მიტრო, რა დაგიმალო, კიდევაც ვცდილობდი შენს დალუპვას. მინდოდა შენი აქედან გაძევება და ოჰანეზასათვისაც რამდენჯერმე შენზე ცუდი მიტყვამს...

— ქერბალაი, — სიტყვა გააწყვეტინა მიტრუამ და პირდაპირ თვალეში ცქერა დაუწყო: — მე-კი ძმასავით მიყვარდი და ისე გენდობოდი, როგორც ჩემს თავს...

— მე კარგად ვიცი, მიტრო, კარგად და ეხლა იმისთვის ვწუხვარ, რომ რად მომდიოდა ეგ! შენმა დედი-ჩემის უბედურების გაგონებაზე წუხილმა თვალეები ამიხილა. მამა-ჩემს, მამი ჩემის პირველ და მესამე ცოლებს, ისმაილს და ალავერდის — ჩემ ძმებს — ისე არ უწუხვნიათ, როგორც ეხლა შენ შესწუხდი... შენმა შეწუხებამ გამაშავა და, მეგობარო,

უარესად ნულარ გამაშავებ!.. დამნაშავე
 ვარ შენთან!..

— ქერბალაი, რად მეუბნები მაგე-
 ებს?!. მარტო იმისთვის გითხარი, რომ
 შენზე ეჭვიც არ შემომიტანია, გეჯავრე-
 ბოდი თუ არა და ეხლაც არ მჯერა.

— ვიცი, ვიცი, მიტრო, და დღეის
 შემდეგ შენ თავს ისე ნუ ენდობი, რო-
 გორც მე მენდო...

— დღეის შემდნგ კი არა, გიმეორებ,
 ყოველთვის მაგრე ვიყავი.

— მაშ მოიტა ხელი და დედი-ჩემის
 სული იყოს ჩვენი მოწამე ჩვენი ძმებად
 გაფიცვისა! — აღზნებით წამოიძახა ქერბა-
 ლაიმ და მაგრად მოხვია ხელი მიტრუას...

— მამა-შენი საით წასულა? ოჰანეზა
 სადღაა?! — დაუძახა იეთარმა ქერბალაის,
 რომელიც ამ დროს ფარეხიდან გარედ
 გამოვიდა ჩაიზე მისაწვევად.

— გიულის მოსაყვანად წავიდა!.. —
 მკვახედ მიაძახა ქერბალაიმ.

გიულის ხსენებაზე მიტროს გული

აუტოკდა, ფერი ეცვალა და სხეული
შეუთრთდა. იეთარს კი ტუჩები გაეპო და
მსხვილი კბილები გარედ გამოუცვივდა.

— უი, არ იყოს იმისი თავი, არა!..
სამოცდა თექვსმეტის წლის კაცია და
ჩვიდმეტი წლის გოგოს ცოლად ირთავს!..
ნეტავი თავი ჰქონდეს მაინც რისამე!—
ზიზლით წამოიძახა იეთარმა და წყაროს-
კენ მიიხედა...

— მგონი, ჩვენზე კბილებს ილესავს,
რომ გიული წყალზე გავგზავნეთ!..— ცო-
ტა სიჩუმის შემდეგ იეთარი მიუბრუნდა
ქერბალაის და მიტროს.

— გიული ქალბატონად გაგიხადათ
მამა-ჩემმა.

— ქალბატონად კი არა, დედოფლად
უნდა მამა-შენს.

ქერბალაი ამ სიტყვებზე მოიკმუხნა,
თავი ძირს დახარა და მარჯვენა ფეხის
ქალმის ჭვინტით მიწას თხრა დაუწყო.

მიტრუა ხომ გიულის ხსენებაზე ტა-
ნის თახთახით, თითქოს იმათ ლაპარაკს

ყურადღებას არ აქცევსო, გულ-აღმა გადაწვა კონკილა გამოცლილ ურემში.

— იცი, იეთარ, მიტრუას არა სკოდნია დედა-ჩემის სიკვდილი და სალობის გათხოვება!..

— საწყალი ხაჯი, ოცი დღის შემდეგ გარდაიცვალა სალობის გათხოვების შემდეგ!—დაიწყო წუწუნის იეთარმა და იქვე ფარების დერეფნის ბოძთან ჩაჯდა!..

მიტრუაც ურმის ზეწარს გადმოეყრდო და იეთარის წუწუნს ყური დაუგდო.

— განა ოჰანებას არ უთქვამს შენთვის, მიტრო, ხაჯის უბედურება?!.

— არა!..

— ოჰანებაც აქ იყო ხაჯის უბედურებაზე. ოჰ, რა ადამიანი იყო!.. ეხლა ხაჯის მაგივრად, ქერბალაი, მამაშენმა, ვერ უყურებ, რა დედა მოგიყვანა!..

მიტრუას გული ისევ აუტოკდა, გაფითრდა. და ტანი შეუნესტდა. ფეხზე რომ მდგარიყო, დაეცემოდა, ისე მოუდუნდა სხეული...

IV

ალია და ოჰანეზა ერთმანეთს მხარ და მხარ ამოუდგნენ და ხმის ამოუღებლივ წყაროსკენ გაემგზავრნენ. ორივე თავ-თავიანთ ფიქრებში იყვნენ გართულნი. ოჰანეზა ჰფიქრობდა: „ეს ცხვარი რომ სულ ჩემი იყოს, მაშინ ნახავდა ქალაქი თავის ღღეს. ოჰ, ამ სააღდგომოდ ბატკანს და ყველს რამდენს ამოვადებინებდი!.. მაგრამ, აგერ, ჩემი ერთი კარავი მოსჩანს და სხვისა კიდევ ათასი. ყველანი მოსულან ყველის საკეთებლად. სხვებმა კიდევაც დამასწორეს!.. ეჰ, ჩემ ძმას რა უთხრა, რომ ამდენხანს დამაგვიანა. ვინ იცის, აქნობამდის რამდენს ყველს გავაკთვებდი“... – ფიქრობდა ოჰანეზა და ალიას არც კი ამჩნევდა, რომელიც აგრევე ფიქრში იყო გართული, მაგრამ სულ სხვა გვარ ფიქრებში: იმას თვალწინ ეხატებოდა გიული და თავბრუ ესხმოდა. ძალღივით უკანა სდევდა ალია გიულის. უნდო-

და დღე და ღამ სახლში ჩაეკეტა, სახლიდან გარედ არ გაეშვა, კლიტე დაედო, როდესაც თვითონ სხვაგან წავილვოდა სადმე. ასეც აპირობდა, მაგრამ სახლში ყველანი ეწინააღმდეგებოდნენ; ყველამ მგლის თვალით დაუწყო ცქერა და ისეთ-ისეთ სიტყვებს აგონებდნენ, რომ გულსა და მუცელს უმღვრევდნენ. რა ექმნა ალიას, ისე როგორ მოეხერხებინა, რომ მუდამ თვალ-ყური ედევნებინა გიულისთვის, რომ ის მარტოკა არსად გაეშოთ?!. ფიქრობდა დღე-მუდამ ამაზე ალია, მაგრამ ვერა მოეგვანებინა-რა. თითქმის ყოველთვის ამის წინააღმდეგი მოსდიოდა. იმის წინ, თუ უკან, მისი ჯალაობობა ყოველთვის ჰგზავნიდა ხან სადა, და ხან სად არა. რამდენჯერ წინააღმდეგობა გამოაცხადა ალიამ, რამდენჯერ დაუტია იეთარს და ლეილას: „ნურსადა ჰგზავნიო“!.. მაგრამ დატევაზე უარესი მოახდინეს. „ჩვენ ქალბატონი არავინ გვინდაო“!.. ყოველთვის მკვახედ მიახლიდნენ ხოლმე პირში.

ორივე ცოლებს დააღრჩობდა, მაგრამ...
 ოხ, იეთარს პირველად დააღრჩობდა...
 „ის, ის მეღობება ყოველთვის წინ!..“ —
 გაიფიქრა მწარედ ალიამ: — „იმან გადამი-
 რია შვილები!..“

„ლამის არის შვილებმა წამახრჩონ.
 ოხ, იეთარ, იეთარ!..“

— კბილების კრაქუნით უსიტყვოდ
 წამოიძახა ალიამ და შუბლი მაგრად მოი-
 ქულიტა: „რალა მაშინ მოგაგონდება ხო-
 ლმე, შე ქოფაკო, ოცდა ათი ძროხა და
 ხუთასი ცხვარი, როდესაც ჩემი შვილები
 ერთადა ღვანან: „ეხ, ჩვენი ოცდა ათი
 ძროხა და ხუთასი ცხვარი, რომელიც ემ
 გომბიოში მისცა მამა-თქვენმა, ეხლა რომ
 გვყვანდეს, ჩვენ ბედს ძალლი არ დაჰყუფ-
 დაო“!.. იეთარის ამ სიტყვებმა ეხლაც
 გაუელვის ოაფში, მკაფიოდ მოესმა მისი
 ღვარძლიანი ხმა და გული ბრაზით აევ-
 სო. ამ წუთას იეთარი რომ წინ შეჰფე-
 თებოდა, ხელი არც კი აუკანკალდებოდა,
 ისე წააღრჩობდა. კიდევაც თვალებ-გაბ-

რწყინებული მიიხედ-მოიხედა, ეგონა, იეთარი აქ მოგვდევს და იმისთვის მომესმა ასე მკაფიოდ მისი ხმაო, მაგრამ თავის გვერდით ოჰანეზას მეტი ვერავინ დაინახა, რომელიც რაღასაც თავისთვის ბუტ-ბუტებდა და გამოერკვა...

„მართლა, — ჩაილაპარაკა თავისთვის ალიამ: — ძვირად დაჰიჯდა გიული!.. ოცდაათი ძროხა და ხუთასი ცხვარი, მგონი, ბეგებსაც არ მიუციათ ქალში. მე კი.. ოო, ქუჩუკ-ოღლი ეშმაკი კაცია!.. შემატყო, რომ გიულის იქით გზა არსით მქონდა და ამისთვის ფეხი დააქირა, ძალიან ბევრი მივეცი. შვილები გავღვარცლენ, მაგრამ“...

რამოდენიმე წუთით მოსაზრება შეუწყდა. საზრის მაგივრად თვალწინ გაძოე ქიმა გიული თავისი ცეცხლის მფრქვეველი თვალებით, რომლებიც დრო-გამოშვებით იბინდებოდნენ მეტის-მეტი ვნებით, თავისი საროს ტანით ჯერ შემოსილი, მერე კი შიშველი, მისი მთრთოლვა-

რე კუნთები, მკერდი, რომელზედაც ოდნავ, საშინლად ნაზად ხელს უსვამდა!.. ოხ, რა ნეტარება, სიამოვნება იგრძნო ალიამ!.. მის გვერდით წევს გიული, ვერ ხვის ფოთოლივით თრთის ყოველს მის ხელის მიკარებაზე. ალია?!. ალია მხოლოდ ამით სიამოვნებს, მთლად დნება!.. მეტი არა უნდა რა და მოდუნებულს მეტიც არა შეუძლიან-რა!.. ძალა აღარ შესწევს!.. რა ბედნიერია ამ დროს ალია!.. ამ ბედნიერებისთვის...

— მთლად ჩემს სიცოცხლეს შევსწირავ!.. — ხმა მალღივ წამოიძახა ალიამ და ხელი მაგრად გაიქნია, რომელიც ოჰანეზას შიგ ცხვირში მოჰხვდა...

— ვააი!. — ერთი ისეთი დაიღრიალა ოჰანეზამ და იქავე ჩაიკეცა, რომ ალიას გული გაუსკდა.

— ოჰანეზ, ოჰანეზ!.. — გულ-გახეთქილი ალია დასტრიალებდა ოჰანეზას...

— ნუ მომკლავ, შენი ჭირიმე!.. — გონება მიხდილი ოჰანეზა ევედრებოდა

აღიას, და თან ცხვირიდან ორტოტად სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა.

— ოჰანეზ, დამშვიდდი, შენი მოკვლა არავის უნდა. უცაბედად მომიხვდა ხელი!..

— ოჰ, ალი!.. — ცოტათი გონს მოსულმა ოჰანეზამ წამოიძახა:—რა საძაგელი ხელი გქონია!.. ტყვიასავით მომხვდა.

— მეც არ ვიცი, როგორ მომიხვდა ხელი! ადე, წყაროსთან მოიბანე. ექავე, ბექობს იქიდან არის!

— ჩემიავის ჩაფიქრებული მოვდიოდი. უეცრივ ისე მწვავედ მომხვდა, რომ გოანება დამეკარგა!..—თავ-წინ წახრილი ჩაცუცქული იჯდა ოჰანეზა და წყაროზედ წასვლას სრულებით აღარ ფიქრობდა.

შემოესმათ ამ ღროს ხმაურობა. ალი-ამ მიიხედა და ქალები დაინახა, რომელთაც ბექობის იქითა მხარედან თავები ამოჭყვეს და ზურგზე თოკებით დაშარ-

ტული სპილენძის თულუხების *) თავებიც
ამოაჩინეს.

— აი, აი, ჩქარა წამოდით! ხელის
ქნევით დაუწყო უვირილი ალიამ.

მამის ხმის გაგონებაზე წარი სრია-
ლით გამოქანდა და თან თიხის ლიტრას
წყალით სავსეს მოარბენინებდა. სხვა ქა-
ლებმაც ფეხი ააჩქარეს.

ოჰანეზას შესწყდა სისხლი. ერთი
ლიტრა წყალი მოახმარა ალიამ. ქალებიც
მოვიდნენ თულუხებით და მათ ოჰანეზა
ახალუხის კალთებიდან გამოგლეჯილ ბამ-
ბით ცხვირის ნესტოებ გამოტენილი,
რაც ისეც უშნო ცხვირს უფრო აუშნო-
ებდა, ელაპარაკება, ღრექით ელანზლან-
დარავება. ყველანი მოიკითხა, წარის მა-
დლობა გადაუხადა და გიული, რომელიც
ყველაზე განაპირებით იდგა, დალონებუ-
ლი რომ დაინახა, ალიას რძლებს დაე-
კითხა: „ეს ვილააო“?!

*) კოკის მსგავსი სპილენძის ჭურჭელია.
მთიულეთშიაც ხმარობენ ამ ჭურჭელს.

— ეგ ჩვენი დედამთილია!..— ცოტა არ იყოს შხამიანი ღიმილით უპასუხეს ოჰანებს.

— როგორ?!— გაკვირვებით დაეკითხა ოჰანება.

— როგორ და ჩვენი მამამთილის ცოლია!..— იმავე ღიმილით უპასუხეს ქალებმა.

ოჰანება გაკვირვებით ხან ალიას შეხედავდა და ხან კიდევ გიულის. ფერ-მიხდილი გიული რძლების დაცინვაზე მიწაში ჩავარდნას ნატრობდა. ალიამ კი თვალები გადუბრიალა ქალებს და უსიტყვო კითხვის პასუხი მიჰსცა ოჰანებს: „გიული ჩემი ცოლიაო“!..

ოჰანებამ თავი გაასავესავა, ხუთი თითით პირჯვარი გადიწერა და თითქოს არავის უცქერისო, წამოიძახა: „დაილოცოს ალლახი, რომ შენისთანა მოხუცს ემაგისთანა მარინ-ვარსკვლავზე ულამაზესს ნორჩს ქალს აკუთნებს ხოლმე!“

ოჰანებს მოძრაობა და კილო ისე

ოხუნჯური იყო, რომ ქალებს ძალა-უნებურად ფრუტუნნი აუტყდათ. გიულისაც კი, თუმცა ის, რაც ალიას ცოლად ზიჰსცეს, გულ-ჩათხრობილი იყო, მკვრივი ტუჩები გაეპო და ნაღვლიანი ღიმი გაუთამაშდა.

ალია კი მოიღრუბლა ოჰანეზას სიტყვებზე.

ოჰანეზას კილო გულს ლახვრად მოხვდა და ქალებს სასტიკად უბრძანა: „მგონი დროა სახლში წასვლისა; გეყოფათ ლაზღანდარობა!“

ოჰანეზა მიჰხვდა თავის შეცდომას. ოჰანეზამ ქალების სასიამოვნოდ იოხუნჯა და უმთავრესი კი დაავიწყდა.

ქალები მაშინვე ტუსტუსით წავიდნენ ბინისკენ. ოჰანეზა და ალიაც მათ უკან დაედევნენ. ოჰანეზამ მოასწრო ბინაში მისვლამდის ალიას გულის მოგება და ისევ ისე მეგობრები მივიდნენ ბინაში, როგორც მეგობრებიც იქიდან წამოვიდნენ...

V.

იეთარმა ჩამოურიგა კერის გარს შემომსხდართ ჩაით სავსე ჭიქები და კვნიწებად დამტვრეული შაქარი. ზოგმა მათგანმა რამდენიმე კვნიწი შიგ ჩაყარა. ზოგმა კიდევ თითო კვნიწი პირში ჩაიგდო, ცხელი ჭიქა თითის წვერებზე დაიყენეს და, ოდნავ წახრილი, ხვრება დაუწყეს. ვინც დაიშაქრა, რამოდენისამე წამის შემდეგ იმათ ვგრევე შეიყენეს ჭიქები და ისევ ისე ხვრება დაიწყეს, დამშაქრავებთ ცოტათი დაუგვიანდათ, რადგანაც ერთი კალის კოვზი იყო და ამისთვის ელოდნენ ერთი-მეორეს მორევას. ჯერ ოჰანეზამ მოურია, მერე ალიამ, ამის შემდეგ იეთარმა, ლეილამ და ბოლოს ალიას უფროსმა რძალმა — ქუქაზბანმა. ყველანი, რაკი ჩაი ცხელი იყო, ჭიქებს ტუჩებს არც კი აკარებდნენ და შორიდან ისრუტავდნენ, რის გამოც მათი სრუტვის ხმაურობა გარედაც გაისმოდა...

დასცალეს თითო ჭიქა. მეორეც ჩქარა მოჰყვა. მეორეს კიდევ მესამე და ზოგმა მეოთხეც ზედ მიაყოლა, მაგალითად ალიამ და ოჰანეზამ.

მიტრუამ კი ერთი ჭიქის შემდეგ უარი განაცხადა, რომელიც ქერბალაის გვერდით იჯდა და დროგამოშვებით გიულის შეუმჩნევლად თვალს აპარებდა. გიული და ჭარი ერთად ისხდნენ; პირველ ჩამორიგებაზე მათ ჭიქები არ შეჰხვდათ და მეორე ჩამორიგებაზე კი, რადგანაც მიტრუამ უარი განაცხადა, მისი ჭიქა გიულის გადაუდგა იეთარმა.

ოჰ, რა სიამოვნება იგრძნო მიტრუამ, როდესაც გიულის ტუჩები შეეხნენ იმ ჭიქას, რომლითაც იმან ჩაი დაჯდა! ყველანი ჩაის სმაში იყვნენ გართულნი, მხოლოდ მიტრუა ვერ ისვენებდა, არ ეჯდომილებოდა აქ. უნდოდა გასულიყო გარედ, მაგრამ გიულის სახე იჭერდა, ვერ დაეთმო, თუმცა ოდნავ, დროგამოშვებით, შეჰხვდავდა ხოლმე; ეხლა უფრო დამშვენებულიყო გიული. წინად მხიარუ-

ლი, უდარდელი გიული, დადინჯებული-
 ყო; სახე ცოტათი მოჰლრუბლოდა, და
 ეს უფრო ამშვენებდა გიულის *). გიულის
 შეჰხედავდა თუ არა მიტრო, მაშინვე
 ალიაზე გადიტანდა თავის თვალებს, და
 ყოველთვის, მისდა უნებურად, ქერბალა-
 ის სიტყვა—„ქოფაკი“—გაუბრებდა ხოლ-
 მე თავში...

„ეხვევა, ჰკოცნის!..“ — უეცრივ თვალ-
 წინ წარმოუდგა მიტრუას ალია და გი-
 ული ერთ ლოგინში, და ტანი შეუთრთა:
 „იქმნება კიდევაც...—გაეფიქრა უეცრივ
 მიტრუას და ტანის წვა აუვარდა, მაგრამ
 ამავე დროს იეთარის სიტყვები მოაგონ-
 და: „ნეტავი თავი ჰქონდეს მაინც რისა-
 მე“-ო—და, თითქოს უებარი წამალი იყო-

*) ტფილისის ახლო-მახლო თათრის ქა-
 ლები სრულებით აღარ ერიდებიან მამაკაცებს,
 ნამეტნავად გლეხობაში. თავიანთ წრის კაცს,
 თუ კი რამდენჯერმე ყოფილა ოჯახში, ისე ექცე-
 ვიან ქალი და კაცი ერთმანეთს, როგორც ქარ-
 თველ გლეხობის ოჯახის ქალები. უფროც თავისუფლად.



სო, ისე იმოქმედა ამ სიტყვებმა. წვა
შეუდგა და გულსაც ეფონა.

მიტრუამ კიდევ შეჰხედა გიულის.
გიულის გაეთავებინა ჩაის სმა, ბოძს მიჰ-
ყრდომოდა და ნაღვლიანი თვალები მის-
თვის მიეჩერებინა. ერთმანეთს შეჰხვდნენ
მათი თვალები, და ორთავემ ჭარხალივით
წამოწითლებულეებმა თავები ძირს დაჰხა-
რეს...

ჩაის სმან გაათავეს თუ არა, მაშინვე
ფლავით თავშედგმული ორი ლანგარი *)
მოიტანეს იეთერმა და ლეილამ. ერთი
ალიას, ოჰანეზას, მიტრუას და ქერბალა-
ის ლაუდგეს, მეორე კი თითონ დანარჩენ
ქალებთან ერთად დაიდგეს. თან მოაყო-
ლეს აგრედვე თეფშით წვრილად დათლი-
ლი ყველი და ხის ჯამით გათქვეფილი,
ცოტათი ნივრით შენელებული მაწონი.
ჩაის სმისაგან გაოფლიანებულები ახლა
ფლავის ქამას შეუდგნენ და ისე აკუმშებ-

*) ლანგარი ტაბაკზე ცოტათი პატარა სპი-
ლენძის თეფშია (საინი). რომელსაც ფლავის-
თვის ხმარობენ თათრები.

დნენ ლუკმებათ თითებით რომ, თუმცა ლანგრები გავსებული იყო, ფლავის ერთი მარცვალი ძირს არ გადმოვარდნილა. მაგრამ ხელები და ტუჩები კი ყველას უბრწყინავდათ, და ერბოს წვეთები თითებიდან უცვიოდათ; ტუჩებიდან კი მამაკაცებს წვერებზედ უცვიოდათ, ხოლო ქალებს მთლად ნიკაპები, ტუჩებიდან და წყობილი, ჩამოეგლისათ.

მიტრუამ რამდენიმე ლუკმა აიღო, ხელები საცვეთებზე *) წაისვ-წამოისვა და საჩქაროდ ფეხზე წამოდგა...

— აღარ მინდა! საცაა ცხვარი მოვა, მე კი წყალი არ მომიტანია. — უბასუხა მიტრუამ, როდესაც დაეკითხნენ: „სად მიხვალო“ და საჩქაროდ გარედ გავიდა.

ნამდვილი მიზეზი კი სხვა იყო. მიტრუამ მესამე ლუკმა როდესაც აიღო, ჩუმად შეჰხედა გიულის, რომელიც დაღონებული და გაწამებული იჯდა. იგი ძირს დაიციქირებოდა და მისი მკერდი

*) ტყავის პაჭიკები.

ოდნავ მოძრაობდა. წამს მიტრუამ გონების თვალით კრელი გულის-პირის ქვეშ მოძრავი მკერდის მოყვანილობა გაითვალისწინა, და მაშინათვე თავიდან ფეხებამდის ჟრუანტელის ისარმა ელვასავით გაურბინა. ველარ შეეძლო ისე ჯდომა. ან უნდა გიულის მკერდს დაჰკდომოდა, ან კიდევ გასცლოდა, სრულებით აღარ ემზირნა მისთვის. მიტრუამ უკანასკნელი ირჩია, რადგანაც პირველი შეუძლებელი იყო.

გიულიმ თვალი გააყოლა მიტრუას მოსხეპილს ტანს და უეცრივ, მისდა უნებურად, გულის სიღრმიდან ისეთი ოხვრა ამოსკდა, რომ ყველას ყურადღება მიიქცია...

მხოლოდ ეხლა შენიშნეს, რომ გიული ფლავს არ დაჰკარებია.

იეთარმა მისი დაღვრემილი სახე რომ დაინახა, გულ-მტკივნეულობით ჰკითხა გიულის:

— „ფლავს რატომ არა სკამ, გენაცვა“?..

გიული ჩვეული არ იყო აღის უფ-

როსი ცოლისგან ამგვარის კილოსი, და ამისთვის მისთვის მეტად საგრძნობიერო იყო. უმანკო მისი გული ატოკდა და ცრემლებმა ღრჩობა დაუწყო, ისე იმოქმედა იმაზე. ალი ხომ სულ გადაირია იეთარის გულ-მტკივნეულობით...

— არ მინდა!.. — ოდნავ წამოიძახა გიულიმ.

— ხომ არა გტკივა-რა, ჩემო კარგო?.. — იმავე გულ-მტკივნეულობით დაეკითხა იეთარი.

ალი სულ გადაირია იეთარის საქციელით; „იეთარს შეჰყვარებია გიული!.. — გაიფიქრა ალიმ:— „მაშ შეიღებსაც აღარ ამიღელვებსო...“ და მოწირბლული თვალები სულ ჩაებჟუტა ალის მეტის-მეტის სიამოვნებით...

— არა მტკივა-რა! — უპასუხა ხმისკანკალით გიულიმ და ცრემლები ძლივს შეიმაგრა.

— მაშ, ჩემო სულო, გაიარე!.. იქნება წყაროზე წახვიდე?! — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა იეთარმა.

გიული მათინვე წამოდგა. ალიას

ბრწყინვალე სახე ოდნავ მოეღრუბლა, მაგრამ, როდესაც ჭარიმ წამოიძახა: „მეც წავალო“, ალიას სახე ისევ მოეწმინდა.

ჭარის საშინლად უყვარდა გიული და თითქმის ფინიასავით ყოველთვის უკან დასდევდა. გიულიც სამაგიეროს უხდიდა ჭარის. ერთად-ერთს არსებას ჰხედავდა გიული, რომელსაც გულწრფელად უყვარდა იგი, რომელსაც მისი მწუხარება და სიამოვნება თავის მწუხარებად და სიამოვნებად მიაჩნდა. თუმცა ჭარი გიულიზე რამდენიმე წლით უმცროსი იყო, მაგრამ გიულიმ რაკი ასეთი თანაგრძნობა ჰპოვა ჭარიში, მეგობრულად ექცეოდა. დანარჩენები კი ალიას ოჯახში, გარდა წვრილფეხობისა, რომელთაც ამ ქვეყნისა არა გაეგებოდათ რა, მგლის თვალთ უცქეროდნენ. რასაკვირველია, გიულიც უნდობლად უცქეროდა ყველას, გარდა ჭარისა.

მართალია, ჭარის გარდა ერთსაც უყვარდა გიული ამ ოჯახში. ეს ალია იყო, მაგრამ მისი სიყვარული...

გიულიმ მაშინვე თულუხი ქვაბში

ჩასცალა, რამწამს იეთარმა წყაროზე წას-
ვლა უთხრა და საჩქაროდ გარედ გავიდა.
მას ფეხდაფეხ ცალიერა ლიტრით ფარი
გაჭყვა...

მთლად მოატიტვლეს ლანგრები. ერ-
თი მარცვალის ალარ დაუტოვებიათ ზედ.
შემდეგ პურის ლუკმები მაწონში ამო-
წეს და მაწონში ამოვლებული ლუკმე-
ბი შესჭამეს. ხის ჯამებიც დაცალიერდა.
ახლა ყველს დაუწყეს ჭამა...

ფლავისაგან მეტის-მეტად ასუყებუ-
ლი გული მაწონმა და ყველმა ჩაუწმინ-
და და ყველანი კარგ გუნებაზე დად-
გნენ...

— იჰ!.. — თითქმის ყველამ ერთად
წამოიძახა, როდესაც უკანასკნელი ყვე-
ლის ნაჭრები პირში ჩაიდეს, და მამაკა-
ცებმა ერბოიანი ხელები წვერ-ულვაშზე
ჩამოიწმინდეს; მერე წვერს ბერტყვა და-
უწყეს და ლიტრით ცივი წყალი ჩამოი-
რიგეს. ქალებმაც გაპოხილი ხელები და
ტუჩ-ნიკაპი ფესტამლებით გაიწმინდ-გაი-
ქრიშეს და, შემდეგ მამაკაცებისა, ლიტრით
წყალი მოირიგეს.

ოჰანეზაც ისე იქცეოდა, როგორც ალია და ქერბალაი. ვინ იცის, რამდენი წელიწადია ოჰანეზა ყოველს გაზაფხულს, როდესაც კი დოლი დაიძვრება, და ცხვარს წველას დაუწყებენ, მაშინვე თავის კარავით აქა ჩნდება, რომ სულ მუქთად ყველი დაისვას. კარგად ჰქონდა თათრების ზნე-ჩვეულება შესწავლილი, და ამისთვის პირველს ნახვაზე ყარაიაში, ტანისამოსით არ გამორჩეულიყო, ვერ შეატყობდი, თუ ეს სხვა ტომისა იყო... ოჰანეზამ ჩიბუხი ამოიძრო ჩუსტის ყელიდან, შემდეგ პრტყელ ქამარს ხელი გააყოლა და უკან ქამარში თავით გაკეთებული თამბაქოს ქისა აშოილო...

— თუ ღმერთმა ქმნა და ამისთანა პირი დაიჭირა ცამ, ჩქარა მოგიხდებათ მთაში წასვლა, — დაიწყო ტკეპნით ოჰანეზამ, და თან ქისაში ჩაყუდებულს ჩიბუხს დაჭრილი წენკოთი სტენავდა.

ამ დროს ბალარი — ქერბალაის ცოლი — წამოდგა და ქურქელს ალაგება დაუწყო...

— მაისის ნახევრობამდის სულ დაცალიერდება ყარაია, თუ ალლაჰის წყალობით ასეთი დარები დაიჭირა.— პასუხად სთქვა ალიამ და თითონაც ჩიბუხი მოამზადა, რომ ოჰანეზას შემდეგ მის ქისაში თავის ჩიბუხი ჩაემალა...

ჩამოვარდა ამინდზე ლაპარაკი. ქალებმაც თავიანთვის ხმა-მალლივ ლაპარაკი დაიწყეს. ამ დროს, სად იყო და სად არა, უეცრივ ჟივილ-ხივილით შემოცვივდნენ ბავშვები და ფარებს თავსა და ბოლოს მოექცნენ. ეხლა ქალაღდებს-ლა დაარბე ვინებდნენ კამფეტების მაგივრად.

VI

მიტრუა ფარეხიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე კარავში შევიდა და რამდენ სამე წუთს გაშეშებული დარჩა. არ იცოდა რისთვის წამოვიდა ფარეხიდან, ან ეხლა რად იდგა კარავში. ის ვერასა ჰხედავდა. მერე მოიკრიბა გონება, მოაგონდა, რომ ფარეხიდან გამოსვლის მიზეზად წყალის მოტანა მოიგონა და აქეთ-იქით

შიიხედ-მოიხედა. იქავე ცარიელი კოკა, რომელიც ქალაქიდან მოიტანეს, მიწაზე გაგორებული დაინახა, საჩქაროდ მხარზე მოიგდო და წყაროსკენ ჩაფიქრებული წავიდა. გიული და ქარი გამოვიდნენ თუ არა ფარებიდან და წყაროსკენ პირი ჰქმნეს, შორი-ახლოს მიმავალ მიტრუას თვალი მოჰკრეს.

— აგერა, მიტრუაც, წყალზედ მიდის!..— წამოიძახა ჭარიმ და შემდეგ გიულის მიჰმართა: „წავიდეთ ჩქარა, იქნება დავეწიოთო“...

— რად გინდა, ჩემო ქარი, რომ მიტრუას დავეწიოთ?! — გულ-ჩათხრობით დაეკითხა გიული ჭარის.

— ჰოო, შენ არ იცნობ მიტრუას! იმოდენას მაცინებს ხოლმე, რომ...— ქარიმ აღარ იცოდა, როგორ დაეთავებინათავისი სიტყვა და ამისთვის გიულის ხელი წაავლო და წინ გასწია:

— აბა, ჩქარა წამოდი, შენ თითონ ნახავ, როგორ გვაცინებს..-

გიულიმ ფეხი ააჩქარა. თითონაც არ იცოდა, რად ესამოვნა ჭარის სიტყვები:

„აბა, ჩქარა წაწიდი, შენ თითონ ნახავ, როგორ გვაცინებსო“. უეცრივ მოაგონდა წინა ზამთარი. მოაგონდა მიტრუა, რომელიც ისე ეშხახურებოდა და მართლაც ბევრს აცინებდა. გიული ძალიან შეეჩვია მიტრუას. მისი ნახვა, მასთან მასხარაობა, ყოველთვის სასიამოვნოდ ჰქონდა, მაგრამ მის თავში არც ერთხელ არ გაუვლია იმ აზრს, რომ მიტრუას შეყვარება შეიძლებოდა. პატარაობიდანვე ძვალსა და რბილში გამჯდარი ჰქონდა, რომ გათხოვება მხოლოდ მაჰმადიანზე შეიძლებოდა, და მიტრუა კი ქართველი იყო. არც მაჰმადიანზე ვისმეზე უფიქრია გათხოვება, თუმცა იგი თექვსმეტის წლის ქალი იყო. აზრად არ მოჰსვლია გათხოვება. სახლში ძალიან გათამამებული იყო. იმის მამას შვიდ ვაჟიშვილში ის ერთი ქალი ჰყავდა და ამისთვის თითქმის ყველანი იმის ყოველ სურვილს ასრულებდნენ. თავის ნება იყო გიული. იმას ძალას არავინ ატანდა, გაეკეთებინა რამ. თუ მოისურვებდა რისამეს გაკეთებას, აკეთებდა. ხმის გამცემი არავინ იყო. ხში-

რად მოიქეიფიანებდა და რამდენსამე ასს-
 სულ ცხვარს ცალკე გაირეკდა და ეტყო-
 და თავის მშობლებს: „ამეებს მე ვაძოვებო“.
 მშობლებიც სიამოვნებით ეტყოდნენ:
 „აძოვე, ყაჩაღანაო“. და ისიც დაირეკავ-
 და ცხვარს. როდესაც საღამოთი მოჭრეკ-
 და ცხვარს, წაეჩხუბებოდა ხოლმე ძმებს
 და მწყემსებს: „თქვენ ცხვარს სულ არ
 უვლით, არ აძოვებთ!.. აი, მე რანაირად
 დამაძღრები მოვლალეო!..“ ისინიც ღრე-
 კით აძლევდნენ პასუხს: „შენი ცხვრები
 ერთი-ორად მეტს იწველიან, ვიდრე ჩვე-
 ნებიო!“

— მაშ არა და?!.—ამაყად პასუხს
 აძლევდა გიული და ამაყადვე წამოწვე-
 ბოდა ხოლმე მხარ-თედოზე მამის გვე-
 რდით.

ყოველივე ეს მკაფიოდ მოაგონდა
 გიულის და გულს მოეშო: სახე გაუბ-
 რწყინდა, ტუჩები ღიმიად გაეპო და...
 მაგრამ ამავე დროს თვალწინ წარმოუდგა
 ალიას ფარეხი, და ღიმიად გაპობილი ტუ-
 ჩები დაეღრიალა...

— ჭარი, მიტროს დაუძახე, დაუძა-

ხე!.. თითონაც არ იცოდა გიულიმ, რად მიჰმართა ამ სიტყვებით ჭარის.

— აი! აი! აი!.. — ხმამაღლივ დაიწყო ყვირილი ჭარიმ...

მიტრუა კი უკან მოუხედავად გაჩქარებით მიდიოდა. ის ავიდა პატარა ბექობზე, დაეშვა კიდევაც. გიული მიტრუას ფეხებს ველარც კი ჰხედავს, რადგანაც ბექობის წვერს მუხლებამდის მოეთარა. მიტრუა მუხლებზე ვეგითაც ეთარება ბექობის წვერს...

— დაუძახე, დაუძახე!.. — ხმის კანკალით და ტანის თრთოლით ხელი მაგრად მოუჭირა ჭარის.

— მიტრო, მიტრო! — ჭარიმ უფრო ხმა-მაღლივ მოართო ყივილი, მაგრამ თავის ოცნებებში გართული მიტრუა ჩაეთარა ბექობს. გიულიმ ნაბდის ქუდს-ლა მოჰკრა თვალი...

მოღუნდა გიული, როდესაც ნაბდის ქუდიც მის თვალს გამოეცალა. მუხლები მოსწყდა და ძლივს მიათრევდა.

— წყარო ჯერ შორს არის, ორი ბექობი კიდევა აქვს გადასავალი. მოვეწე-

ვით!.. — წამოიძახა ქარიმ და გიულის უფრო ძლიერად გასწია წინ, ვიდრე პირველად, როდესაც გიული მუხლებ-მოკვეთილი თითქმის შესდგა.

— მოვეწევით?! — ნაღვლიანად დაეკითხა გიული და შესდგა.

— თუ არ მოვეწევით, იქიდან ხომ წინ შეგვხვდება?! უთხრათ, მოგვიცადოს!.. გიული უეცრივ გონს მოიყვანა ქარის სიტყვებმა.

— წავიდეთ! — წამოიძახა გიულიმ და ქარი თითქმის დაითრია.

რად უნდოდა გიულის მიტრუასთან ლაპარაკი?!.. თვითონაც არ იცოდა. რომ გეკითხნათ, ვერას გიპასუხებდათ. იქნება თავის-თავისთვისაც ვერ ეპასუხნა. უყვარდა მიტრუა?!. არა!..

მიეჩქარება გიული. ფეხდაფეხ ქარი მისდევს. თვალ-წინ წარმოუდგა ცხვარი, რომელსაც ის მწყემსიდა და ამ დროს წყაროდან მომავალა მიტრუა...

მკაფიოდ მოესმა თავისი სიტყვები: „ეი, წყალი დამალევენე, ძალიან მწყურრიანო...“ ჰხედავს ნათლად, მიტრუა

როგორ მაშინვე მივიდა იმასთან და საჩქაროდ კოკა ილიაში ამოიგდო: ჰხედავს აგრეთვე, თვითონ როგორ მოჰყუდა პირი და კოკიდან ცალმუხლზე. დაჩოჭილმა წყალი დალია.

ეს პირველი შეხვედრა იყო მიტრუასთან. მერე?.. მერე თითქმის ყოველდღე ხვდებოდა, რადგანაც გიულის მამის ბინა ალიას ბინის მახლობლად იყო...

ბექობს შეუდგნენ გიული და ქარი. გიული თითქმის მირბის. მხარდამხარ ქარიც მისდევს. მისი უდარდელი ცხოვრების მოწამე მიტრო იყო და იმასთან ლაპარაკით თითქოს დაუბრუნდებოდა წარსული, რომელმაც ასე უწყალოდ მოიშორა და ალიას ოჯახში ჩააგდო—ალიას მკერდს მიაკრო...

— ჰხედავ, გიული, მიტრუა როგორ დაგდებულა!.. — წამოიძახა ქარიმ, როდესაც ბექობის წვეროდან გადაიხედეს.

მიტრუა მართლაც პირქვე დაგდებულიყო. კოკა კი იმის იქით გაგორებულიყო.

გიული უეცრივ შესდგა. კინალამ

იქვე ჩაიკეცა უეცრივ, მუხლები ისე მოეკეცა.

— უი, ხომ არა მოუვიდა-რა! — წამოიძახა საშინლად შეწუხებულმა.

ქარის შეეშინდა გიულის სიტყვებისა და ფერ მიხდილმა მზერა დაუწყო შემკრთალს გიულის.

— გიული, რა მოუვიდოდა?! — ხმის კანკალით დაეკითხა ქარი.

გიული გონს მოვიდა, როდესაც ქარის გაფითრებულს სახეს თვალი მოჰკრა.

— წავიდეთ ჩქარა და ვნახავთ!.. — უპასუხა გიულიმ და თავი მოარიდა, რომ ქარის იმისი სახის ცვლილება არ ჰშთაბეჭდიყო...

ორივე ქალები სრიალით ჩავიდნენ დაბლა და მიტრუას უეცრივ თავს წაადგნენ. იმათი ფეხის მოძრაობა მწვანე ბალახზე ისე უხმო იყო, რომ მიტრუამ ვერ გაიგო ქალების მისვლა. რაკი მიტრუა არ გაინძრა მათ მისვლაზე, ქარიმ უეცრივ ხელი დასტაცა და დასქყვილა:

— მიტრო!..

შემკრთალმა მიტრუამ ამ მოულოდ-
ნელს ხელს ტაცებაზე და დაკვივლებაზე,
უეცრივ წამოიჩოქა და, რა გიული თავის
წინ დაინახა, მოდამბლავდა, წელი მოს-
წყდა და ფერ-მიხდილი გულ-ალმა გადა-
იქცა.

— რა მოგივიდა, მიტრო?! — თით-
ქმის ერთხმად დაეკითხნენ შეშინებული
ქალები...

— გული მიწუხდება!.. — წამოილულ-
ლულა მიტრუამ.

— წყალი!.. — წამოიძახა გიულიმ.

ქარმ არც კი აცადა სიტყვის გათა-
ვება. მაშინვე ლიტრით წყაროსკენ გაჰქან-
და და უკან აღარც კი იხედებოდა. გიუ-
ლიმ კი საჩქაროდ ზურგზე მიკრული თუ-
ლუხი მოიხსნა და დააგორა, რომელიც
მიტრუას კოკის გვერდით შედგა.

— გიული!.. — გულის სიღრმიდან
ამოიკვნესა მიტრუამ, როდესაც გიული
იმის გვერდით ჩაჯდა და შუბლზე ხელი
გადაუსვა, და წამოჯდა.

— აღიას როგორ მისთხოვდი!! — გა-
წაგრძო მიტრუამ და ნაზად ხელი შემოჭ-

ზვია გიულის. მაგრამ გიულიმ უნებურად მიტრუას ხელი მოიშორა და თავი ჩაღუნა.

— ნუ თუ ალია გიყვარს, გიული?! — ეკითხება თითქმის ჩურჩულით მიტრუა და ხელს მაინც არ აყენებს; ისევ ჰხვევს.

გიული კი იშორებს მიტრუას ხელს; მაგრამ არ ემორჩილებიან იმას თავისი ხელები. ოდნავ უფაცუნებს მიტრუას ხელებს, რომელიც ალერს უფრო ემგზავსებოდა, ვიდრე წინააღმდეგობას. მიტრუამ შემოურკალა ხელები, თითქმის კალთაში ჩაისვა გიული და მთლად გულში ჩაიკრა...

— გიული, როგორ არ გებრალეობდა შენი სილამაზე, შენი სიყმაწვილე, რომ ალიას კუთვნილებად გაჰხადე შენი თავი?! — თან ეუბნება მიტრუა გიულის.

პირველს მიაღერსებაზედვე გიულის უნდოდა ეპასუხნა მიტრუასთვის, რომ ის დამნაშავე არაა ამაში, რომ ის მამამ მიათხოვა, მაგრამ ხმის ამოდებას ვეღარ ახერხებდა. ამისათვის თავი ჩაღუნა და უნდოდა როგორმე გული მოებრუნებინა,

მაგრამ მიტრუას ტკბილი ხმა, იმის ალერსი ცეცხლში ნავთს ასხამდა. უფრო მოებჯინა ტირილი და, როდესაც მიტრუამ გულში ჩაიკრა, ქვითინი წამოსკდა...

— გიული, გიული!.. — მეტს ველარას ახერხებდა და გაშმაგებით ეკონებოდა მიტრუა გიულის თვალებს, ლოყებს, ტუჩებს, თითქოს ეს უებარი წამალი ყოფილიყოს გიულის დასამშვიდებლად. გიულიც აღარ ეწინააღმდეგებოდა. თავის მხრივ ეკვროდა, იმანაც ხელები შემოჰხვია მიტრუას და, თითქოს წვიმის შემდეგ მზემ დაფლეთილ ღრუბლებიდან გამოიქვრიტაო, მოღიმარი და ცრემლისაგან მთლად დასველებული ტუჩები საკოცნელად გაუწოდა. გონება დაბნეული მიტრუა დააკვდა იმის ტუჩებს. აქნობამდის მიტრუას ეგონა, ძალდატანებით ვკოცნიო, ვსარგებლომ ქალის სისუსტითა და მწუხარეობითო და ამისთვის, ცოტა არ იყო, გული ეჩრჩილებოდა. ეხლა კი, როდესაც გიულის გაწვდილი ტუჩები დაინახა, სიხარულით აინთო და მთლად შეუერთა



თავისი ტუჩები გიულის მთრთოლარე ტუჩებს...

ქარი კი გარბოდა, გარბოდა... აგერ, გორაკს კიდევაც გადაეფარა. იმის სურვილი იყო დროით მოეტანა წყალი, რომ მიტრუა განსაცდელისაგან დაეხსნა...

VII

ფარეხის წინ ძეძვით შემობაკილი იყო კარგა დიდი ადგილი, რომელსაც რამდენიმე ლასტის კარები ჰქონდა შეხმული. ყოველს კარებში ორ-ორი ადამიანი იყო ჩამომჯდარი დიდრონის ქვაბებით და ამ სალამოს გულ-მოდგინედ სწველიდნენ ცხვარს. პატარა ბავშვები ფარეხში გამო-მწყვდეულ ათას სულ მეწველ ცხვარში დარბოდნენ და ხან ერთ კარებთან მია-თრევდნენ დედა-ცხვარს, და ხან კიდევ მეორე და მესამე კარებთან, სადაც ქვა-ბებზე უკანა ფეხით ალაჯებინებდნენ, ცურზე ორივე ხელებს მაგრად უჭერდნენ და სწრაფის ნაკადულით რძეს ადენდნენ, რომელიც ქვაბებში ჩხრიალით ჩადიოდა და ქაფდებოდა. ყველანი საქმეში იყვნენ

გართლნი. ოჰანეზა კარავის გვერდით დადგმულ კოდთან *), რომელსაც პირზე რვა-კეცი ჯალაშა **) ჰქონდა გადაფარებული, დამკლავებული იდგა და ელოდა რძით სავსე ქვაბებს, რომლებსაც მიტრუა მოეზიდებოდა. ქვაბები აიძვებოდა თუ არა, მაშინვე მშველელნი გამოიტანდნენ ცოტა აქეთ და მიტრუას გარდასცემდნენ, რომელიც საჩქაროდ მიაბენინებდა კოდთან და, ოჰანეზას მიშველებით, კოდში ასხამდა.

იეთარი და ლეილას გარდა, რომლებიც ძროხებს სწველიდნენ და რძე ფარეხში შეჰქონდათ, რომ შემდეგ არაქანი მოეზადნათ და შეედღვიბნათ, ყველანი ცხვარს სწველიდნენ. აღია იჯდა მარტო უსაქმოდ. ის კარავის ახლოს დამჯდარიყო და მოწიწებით თვალყურს ადევნებდა გიულის, რომელიც კარავის ახლოს ბაკის კარებთან იჯდა და სწრაფად ანთა-

*) კოდი—ბოჩკა.

**) ჯალაშა—სქელი ლეჩაქი, რომელსაც გასაწურავად ხმარობენ.



ვისუფლებდა ცხვრებს... ჩამოწველილი ცხვრები, ხელიდან გაუშვებდნენ თუ არა, ფუნდრუკაობით მირბოდნენ და ფარეხზე ცოტათი მოშორებით, სადაც რამდენიმე ბოთვერა — ყელ-ჩანგლიანი ძაღლი უდარდელად წამოწოლილიყო და გულიანად ხვრინავდა, გროვდებოდნენ...

გიულიმ გაავსო ქვაბი. სწრაფად წამოდგა და წელში მოხრილი სავსე ქვაბით ოჰანეზასკენ მიძუგ-ძუგებდა. მიტრუა მაშინვე მიეგება და ქვაბის ჩამორთმევის დროს წასჩურჩულა: „არ დაგავიწყდეს, ამაღამ ფარეხს უკან გელიო!“ გიული თავ-ჩაღუნული შუა გზაში გაჩერდა. მიტრუამ სავსე ქვაბი ოჰანეზას მიშველებით კოდში ჩასცალა და ცალიერა ქვაბი უკან წამოუღო გიულის.

— გიული, უეჭველად გელი!.. — კიდევ წასჩურჩულა და ქვაბის მიწვდის დროს ხელზე ხელი მაგრად მოუჭირა.

გიული კანკალით მივიდა ბაკის კარებთან და არეულად ცხვარს წველა დაუწყო. აღია კი მაინც გიულის თვალს არ

აშორებდა და ჩაყვითლებულს კბილებს გარედ ჰყრიდა...

გაათავეს თუ არა წველა, და ოჰანეზამ უკანასკნელი ქვაბი კოდში ჩასწურა თუ არა, მაშინვე ათ-კეცი ჯალაში მოჰხსნა კოდს, ჯერ ისევ თბილ რძეს დედა მისცა და სუფთა კეტით დაურია. შემდეგ ოჰანეზამ ნაბადი გადაათარა კოდს და სხვა-და-სხვა სიდიდის ხის ჯამები გადმოალაგა და ჩაამწკრივა. მიტრუამ კი ჯალაში გარეცხა და კარავზე გაფინა, რის შემდეგაც კარავის წინ ოჰანეზას გვერდით ჩამოჯდა, და ორივემ იქაურობას თვალყურის დევნა დაუწყეს.

ლეილას და იეთარს მოეწველათ ძროხები. იმათი ადგილი ეხლა ხბორებს დაეჭირათ, რომლებიც შესჯდომოდნენ ქვეშ და დრო-გამოშვებით თავებით თავიანთ დედებს მუცელში უბრაგუნებდნენ, რომ მათთვის მეტი რძე მოეცათ. ძროხები-კი ზოგი ალერსიანად ჰლოკავდნენ თავიანთ ხბორებს, და ზოგი კიდევ წარბ-შეუხრელად ხბორების ბრაგუნზე იდგნენ და თავიანთთვის იცოხნებოდნენ...

— ეგააა, აი, დედის ჯიგარი!.. — დაიწყო ოჰანეზამ და ჩიბუხის ტარი ტუჩებით გამოიტკაპუნა: „ხბორები ძალაზე უჯლაგუნებენ თავებს, ისინი კიდევაც ჰლოკივენ“...

— ჩვენში ამბობენ, ალა: „ხელის გულზე შვილმა დედის გულისთვის ერბოკვერცხიც რომ მოიწოხო, მაინც დედის ამაგს ვერ გაღიხდის“, — უპასუხა მიტრუამ.

— ერბოკვერცხს კი არა და, ეხლანდელი შვილები დედის გულისთვის გახურებულ ზაფხულშიაც კი პირს არ შაიბანენ ცივი წყლით, თუმცა ეს ცივი წყალი მათვე გააგრილებს...

ოჰანეზა და მიტრუა რომ ამ ბაასში იყვნენ, შორი ახლოდან მოისმა ბლავილი. ამ ბლავილზე ათასს სულამდის დაწველილი ცხვარი წამოიშალა და შექმნა თავის მხრივაც ბლავილი. გარშემო ბლავილის მეტი აღარა ისმოდა-რა. დედა ცხვარი და ბატკანი სირბილით მიეგებნენ ერთმანეთს. მაინც ბლავილი კარგა ხნობამდის არ შეწყვეტილა. დედა-ცხვარი

ბლავილით თავის ბატკანს დაეძებდა, ბატკანი კიდევ თავის დედას...

— აბა, მიტრო, ჩაიხედე კოდში, ხომ არ შეყველებულა?—ამ ბლავილში მიჰმართა ოჰანეზამ მიტრუას.

— შეყველებულა!..—უპასუხა მიტრუამ, როდესაც კოდს ნაბადი გადაჰხადა და შიგ ჩაიხედა.

— მაშ მოვაკვერეულოთ!..— მძიმედ წამოიძახა ოჰანეზამ და დიდ ხის ჯამს ხელი წამოაფლო...

VIII

დაწყნარდა არე-მარე. ეხლა აღარც ცხვრისა და ბატკნის ბლავილი მოისმოდა. ეს ორი კვირა მეტია ცხვარს მიწურ ფარეხში აღარ ერეკებიან, რადგანაც ფარეხში მეტად სცხელოდათ. ცხვარი მთლად გარედ იყო, გარდა სამოცამდე დავარდნილი ცხვრისა. დანარჩენი ცხვარი კი: ჭედილა, თოხლი, დედა-ცხვარი და მოსაგები სულ ცალკე-ცალკე ჯგუფებად დაყოფილნი ცალკე ეყარნენ და ყველას გარს აქა-იქა მწყემსები შემოსწოლიყვნენ. მათ-



თან ერთად ალიას შვილებიც თავიანთ ცოლ-შვილით გარედ იწვნენ და ტკბილი ძილისთვის მიეცათ თავი. იეთარი, ლეილა და ქარი ფარების წინ იწვნენ ბაკში, სადაც ორმოცამდის ძროხა და ცხენი იყო გამომწყვდეული. იმათთან ახლოს ერთი მწყემსთაგანიც იწვა. ალიაკი ჯერ გარედ არა წვებოდა, რადგანაც სიცივეს იმიზეზებდა და, რასაკვირველია, გიულისაც თავისთან ფარებში იწვენდა. გიული ბევრჯერ ეწინააღმდეგა, ბევრჯერ გამოექცა კიდევაც გარედ და ქარის ჩაუგორდა, მაგრამ ალია მაინც არ ეშვებოდა. უეჭველად უნდა თავის გვერდით დაეწვინა. გიულის გული უწუხდებოდა ფარების სუნით; ზამთარში ისე შესამჩნევი არ იყო სუნი, როგორც გაზაფხულით, როდესაც მთლად მინდორი მწვანის სუნით იყო გაქდენთილი და გულს ატკბობდა, ფარები კი მწვირის სუნით. ამ ღამესაც გიულიმ გარედ ზოინდომა დაწოლა მაგრამ ალიამ ხელი წაავლო და გიული თრთოლით ფარებში შეიყვანა.

— არ გააკიო, გიული, შენი ქმარი! —

ჩვეულებრივად მიაძახა იეთარმა გიულის ზიზლით ამ ღამესაც და ზიზლით თვალი გააყოლა ფარეხში შემსვლელთ.

აღიას ბრაზი ყელში მოაწვა, როგორც ყოველთვის; ერთს წამს გაიფიქრა კიდევაც: „მივალ და წავალრჩობ იმ საზიზლარსაო“, მაგრამ ვერ გაბედა თავის აზრის განხორციელება და ისევ ყური მოიყრუა. ვითომ არც კი გაუგონიაო, ისე შევიდა ფარეხში, სადაც თითონ უკვე დაემზადებინა ლოგინი და მხრჩოლავი ლამპარი. შესვლის უმალ კარები მიჯარა და გულში ჩაიკრა გიული...

გიული შეურაცხყოფილად სთვლიდა თავის თავს, და დღე-მუდამ მასში მატულობდა ზიზლი აღიასადმი. ამ ღამეს ხომ გიულის მეტი დაემართა. როდესაც აღიამ ჩაიკრა გულში და თრთოლა აუვარდა, ხელები აღიას ყელთან მიტანა და შემოურკალა კიდევაც, რაც აღიას ესიამოვნა, უნდოდა მოეჭირა, ბრჭყალები შიგ გაეყარა და წაეხრჩო, მაგრამ უეცრივ მოაგონდა, რომ ამის გამო ზიზლს ჯვარს

აცვამენ, და ხელები აუკახკალდა, მოუ-
დუნდა...

ჩაწვენენ ორივენი ლოგინში. გიული
ზღარბივით იკუნტებოდა, ბორგავდა ალი-
ას ხელის შეხებაზე და ალერსზე და ნატ-
რობდა მის მალე დაძინებას. მაგრამ
აღია არა სცხრებოდა. ალიას კიდევ აუ-
ვარდა თრთოლვა, კიდევ გულში ჩაიკრა-
და მოდუნებული სხეულა უფრო მოუ-
დუნდა... შეუძლებელი-ლა იყო გიულის
მხრივ მეტის მოთმენა. ის გამოუსხლტა
ალიას და გარედ გავარდნას აპირობდა,
მაგრამ საუბედუროდ ფეხი საბანში გაე-
ხლართა და იქავე პირქვე დაეცა.

— აი, ჩემო ჯეირანავ, გაქცევა გინ-
დოდა?..— დაიძახა ალიამ და ისევ ლოგინ-
ში ჩაითრია... გიულიმ ეხლა სხვა საშუ-
ალებას მიჰმართა. ჩქარა თავი მოიმძინა-
რა და ალიას კითხვებზე ხმას არ იღებ-
და. რაკი ალიას გიული დაძინებული-
ეგონა, ის უფრო მორიდებით უსვამდა-
სხეულზე ხელს, ხანდისხან კიდევაც შეა-
ჩერებდა ხოლმე ხელს და ოდნავ-ლა უცა-
ცუნებდა თითებს.

ამდენმა მღელვარებამ ალია მითენთა; მერე იმ აზრმა, რომ გიულომ დაიძინაო, დაამშვიდა და ძილი წამოეებურა.

ალია, რაც გიულომ ცოლად მოიყვანა, არ იძინებდა, ვიდრემდის გიულის არ ჩაეძინებოდა. მხოლოდ როდესაც გიულო ჩაიძინებდა, მაშინ გულ-დამშვიდებით იძინებდა. ამ ლამესაც ასე დაემართა...

ალიამ ხვრინვა ამოუშვა. გიულის კი ტანი უთრთის. ალია ჯერ კიდევ მღვიძარე ჰგონია. ალიამ ხვრინვას უფრო მოუმატა. გულის ფანცქალით გიულომ ალიას ხელს, რომელიც მისს თეძოზე იყო დაბჯენილი, მძიმედ ასწია და, რომ ალიას ხელის ძირს დაშვება არ ეგრძნო, თავის თეძოს მაგივრად მუთაქის თავი შეუდგა ხელს.

გიულო უმოძრაოდ იდგა რამდენისამე წუთს და ყურს ალიას ხვრინვას უგდებდა. არ იცოდა როგორ გასულაყო გარედ. კარებიდან გასულიყო, კარი კრიალს მორთავდა, და ალიას უექველად გამოეღვიძებოდა. მაშ... გონება აღარ ემორჩილებოდა გიულის...

— გიულიჰჰ!.. — თითქოს შემთხვევითი ჰაერის რხევა არისო, ისე შემოესმა გიულის ფარების ბოლოდან, სადაც სანათური იყო. გიული ერთს წამს შეკრთა, თავი შეარხია და სწრაფ ფეხ-აკრეფით იქით გაექანა.

სხვას რომ ყური მოეკრა, გიულის გარდა, ამ დაძახებისთვის, ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ გიული მაშინვე მიხვდა.

გზაში კინალამ ცხვრებს არ შეჰსდგა ზედ. ცხვრებმა ფრუტუნის მორთეს. გიულის ფერი ეცვალა. წამს შესდგა, ყური წახარა და, რაკი ალიას წყნარი ხვრინვა ისევ შემოესმა, სიფრთხილით სანათურისკენ წავიდა.

— გიულიჰჰ!.. — იმავე კილოთი ჩამოსმა სანათურიდან ხმა.

— მიტრო! — წყნარადვე, იმავე სიფრთხილით გასცა პასუხი ქვევიდან გიულიმ და ხელები სანათურში აჰყო ..

IX

მიტრუაც დიდხანს წვალობდა კარავ-
 ში. ის ჩქარობდა, კვერეულს კვერეულ-
 ზე სწრაფად სწურავდა: მაგრამ ოჰანეზა,
 რომელიც მძიმედ, აუჩქარებლივ ჩვილი
 ყველით თავ-შედგმულ ხის ჯამებს აბრუნებ-
 და და თან აწვებოდა ორივე ხელების
 თითებ-გათარჩხული, მალი-მალ წაუბზუ-
 კუნებდა: „კარგად მოწურე, დაძინებას
 მოესწრებიო“ და ისევ ხელ-მეორედ უბრუ-
 ნებდა კვერეულებს. მიტრუა შიშობდა:
 „ვაი, თუ გიული გამოვიდვს, მე რაკი
 ვერ მიპოვის ფარეხის უკან, უკანვე
 შებრუნდება და შემდეგ როგორღა გამო-
 ვიყვანოვო.“ მიტრუას ცალი ყური გა-
 რედ ჰქონდა. გაათაჩუნებდა თუ არა რა-
 მე, მაშინვე თაბახს, რომელშიაც ხის ჯა-
 მებს სდგამდა ყველის მოწურვის დროს,
 დაავლებდა ხელს და გარედ მიაბენინებ-
 და, რომ დაეთვალაიერებინა, გიული
 ხომ გარედ არ გამოვიდაო...

— ვა, რა მალი-მალ გაარბენინებ ე
 თაბახს?!.— შეუტია ოჰანეზამ და შუბლი
 შეუკრა.

— მაშ, შრატს ნუ გავიტან?!.— წყრო-
 მითვე უპასუხა მიტრუამ.

— მამა-ცხოვნებულო, ყოველ წვეთს
 ცალ-ცალკე ხომ არ გაიტან?!.

— თაბახი ივსება და შენ თითო წვეთს
 ეძახი?!.

— რატომ მე არ მევსება?!.

— შენ რა!.. ჯერ ერთი კვერეულიც
 არ მოგიწურავს და მე აგერ მეხუთეს ვწუ-
 რავ!..

ოჰანეზამ გადახედა კვერეულებს და
 შუბლ-შეკრულმა მიჰმართა მიტრუას:

— კარგადაც მოგიწურავს, შენმა მზემ!
 ვერა ჰხედავ, შენი თითები 'ზედვე ეტყო-
 ბა?! კვერეული ისე უნდა მოსწურო,
 რომ გამოჩარხულს ჰგვანდეს!..

— ენდე და, შენ გამოჩარხე!..— წყრო-
 მით უპასუხა მიტრუამ და თაბახი მიაგ-
 დო.

მიტრუას თითო წამი სიცოცხლეს ერჩი-
 ვნა. ჩქარობდა, როგორმე დროით მოე-
 შორებინა თავიდან ეს საქმე და აქ კი
 „გამოჩარხვას“ ეუბნებოდნენ...

რასა სწყრები, შე კაი მამას შვილო, შენთვის გეუბნები?! — დაყვავებით შეეხმარა ოჰანეზა, რაკი შეატყო, რომ მიტრუას გული ყელში მოებჯინა.

-- მიტრო, შრატს რას უშვრები?!. — ცოტა სიჩუმის შემდეგ შეეკითხა ოჰანეზა.

— ძაღლების გეჯაში ვცლი. — ცოტა მომბაღად უპასუხა მიტრუამ.

მიტრუამ თავის მოწურულ კვერეულებს გადაჰხედა და თითონვე დაირცხვინა. მართლაც ძალიან აჭიჭყნილი იყო კვერეულები. რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ ხელმეორედ გულმოდგინედ დაუწყო მოწურვა და მართლაც „გამოჩარხა“.

ოჰანეზა კი, ამ დროს, ცალი თვალით უცქეროდა და ტუჩებზე სიამოვნების ღიმი უკრთოდა, რომ მიტრუას რიგიანად მუშაობა დააწყებინა...

— აჰა, ეხლა კი დავიძინოდ!!. წამოიძახა ოჰანეზამ, როდესაც კვერეულები მეორე კოდში ჩააწყეს და იქაურობაც მიაღაგ-მოაღაგეს.

ოჰანეზამ იქვე კარავში გაიშალა ლო-

გინი; მიტრუამ კი გარედ გაიტანა თავისი...

— მიტრო, რატომ აქ არ წვები?!

— გარედ დავწვები!

— შენი ნებაა!.. დილაზე წყალი კი არ დაგავიწყდეს!..

— არ დამავიწყდება.

ოჰანეზას მაშინვე ჩაეძინა. მიტრუამ კი ლოგინი კარავის მოშორებით გაიტანა, გაშალა და მაშინვე გულალმი მოსხებით დაეცა.

წამს ყველაფერი დაავიწყდა, ისე გაიტაცა ცის კამარამ, რომელზედაც თითქოს მადლიან მფარცხავს უხვად მოუფანტნია თესლი ხნულშიო. მთლად ძირისძირობამდის მოქედილი იყო ცა მოციმციმე ვარსკვლავებით. მიტრუა შესცქეროდა ცას და თვალები აქა-იქა დაუჩბოდა. ვერც ერთს ვარსკვლავზე ვერ გაეჩერებინა თავისი თვალები. დაეძებდა უმჯობესს, უფრო უპრჭყვიალესს, მეტ მშუქოვანს, რომელსაც მიეზიდნა მისი არსება, შეებოჭნა იგი. მაგრამ... უეცრივ სხეული აუთრთოლდა, სწრაფად წამოდ-

გა ფეხზე და გაშტერებით ფარებს მზე-
რა დაუწყო. უეცრივ მოსხლტა ადგილი-
დან და ნიავსავით, უჩუმრად მივიდა ფა-
რების სანათურთან და წაპირქვავდა.
მთლად სმენად გარდიქმნა...

წყნარად გულიანი ხვრინვა შემოესმა
ფარებიდან. მიტრუა დაიბნიდა. ეგონა, —
გიული ხვრინავსო. უცბად გაუელვა თავ-
ში მიტრუას: გიული გამოვიდა გარედ,
მე ვერ მნახა და ისევ დასაძინებლად შე-
ვიდა ფარებშიო“.

— გიულიჰჰჰჰ! — უეცრივ ამოსკდა გუ-
ლიდან მიტრუას, და ტანის თახთახით
მოელოდა ფარებიდან ფაჩუნსაც კი.

მის პასუხად ცხვრებმა ფრუტუნნი შეჰ-
ქმნეს. მათ ფრუტუნში ხვრინვაც მოესმა.

გულ-ჩაწყვეტილმა კიდევ ჩაიკვნესა.
კიდევ ახსენა გიულის სახელი, თითქმის
ივალ-ცრემლიანმა და ტანი ახარა ასად-
გომად რომ ამ დროს სანათურიდან
წყვილი მკლავი ამოცურდა...

მაშინვე იცნო მიტრუამ მკლავები და
მაგრად წაჰკიდა ხელები, რომ უკანვე არ
ჩაბრუნებულიყვნენ.

თვალის დახამხამებაზე ამოიტაცა ვიუ-
ლი და გაშმაგებულის კოცნით ლოგინის-
კენ გააქანა...

დაბნელდა ცა. დამუნჯდა ბუნება. ყო-
ველივე საგანმა მათთვის არსებობა დაჰ-
კარგა. ქვეშ ლოგინის არსებობასაც კი
ველარა ჰგრძნობენ... ტუჩებს გააშორებ-
დნენ მხოლოდ იმისთვის, რომ იმავე წამს
ამოსუნთქვის შემდეგ ისევ შეერთებინათ...

ასე გადახვიულები იხდნენ და, დიდ
ხანს იყვნენ, თუ ცოტა ხანს, არა გაუგი-
ათ-რა. ვიული მისუსტდა და, რიადესაც
ტუჩები გააშორეს, მუთაქაზე თვალეზ
მილულოლი გადაესვენა. მიტრუას ამაზე
უმშვენიერესი არა ენახა-რა. პერანგის
ამარა, ვიული მოდუნებული, იყო მისვე-
ნებლი ნეტარი გრძნობისაგან მითენთი-
ლი. მისი მკერდი ოდნავ ადიოდ-დადიო-
და და ოდნავ არხევდა პერანგს, რომე-
ლიც ისე გადაჰფარებოდა, რომ სხეულის
მოყვანილობა და მისი აღმართ-დაღმართი
მკაფიოდ იხატებოდა.

აღტაცებაში მოდიოდა მიტრუა მისი
მკერდის მოძრაობით. მაგრამ ერთი რამ

აჩრდილებდა მის აღტაცებას: ეს პერანგი, რომელიც ჰფარავდა გიულის მკერდს... ველარ მოითმინა. პერანგის ბოლოს მოჰკიდა ორივე ხელები და სწრაფად გაჰხია ბოლოდან თავამდის და, თითქოს თვალით შექება უნდაო, ისე დააშტერდა, როდესაც გიულის ჩამკვრივებული მკერდი პერანგისაგან განთავისუფლდა.

გიული კი იწევ ისე უნძრევლად იყო და თვალებ მილულული ოდნავ ჰსუნთქავდა. თითქოს მისძინებიაო, ისე უმოძრაოდ იყო მისვენებული. მაგრამ გიულის არ ეძინა. მხოლოდ მოითენთა სიამოვნებით და განძრევა აღარ უნდოდა, რომ ოცნება, თუ სიამოვნება არ მოჰშორებოდა. მთელი ექვსი თვე იტანჯებოდა აღიას ხელში, ზიზღით ითმენდა მისს ხელის სმას, მისი ცოლების, შვილების და რძლების დაცინვას, კიცხვას და ხშირად ლანძღვასაც, და ეხლა, ექვსი თვის შემდეგ, წილად ხვდა იმისთანა კაცთან ყოფნა, რომლის ნახვაც, სიახლოვეცა და ხელის ხლებაც ესიამოვნებოდა. ბევრი ტანჯვის შემდეგ ცოტაოდენმა სიამოვნე-

ბამაც დაბნიდა და იმას ეშინოდა არ მოესპო ეს ცოტაოდენი სიამოვნებაც .. თავს მეხი დაეცა მიტრუას...

— ოოო!.. მიტრო!.. — გიულიმ მწვავედ წამოიკვნესა და თავის ბრჭყალები მაგრა ჩასჭიდა მიტრუას მკერდს.

გიულის ხმაზე იქვე ახლოს მძინარე ძაღლი წამოყუნცდა წინა ფეხებზე. ყურების სცქვიტა ღ რამდენჯერმე წამოიყეფა...

— არიქააა! — მეორე მხარიდან დაიძახა ძაღლის ყეფაზე გამოღვიძებულმა მწემსმა და გვერდი იცვალა.

თხუთმეტამდე ძაღლმა ამ დაქსევაზე ყეფა ასტეხა და თვალების ბრაილი დაიწყეს, რადგანაც არ იცოდნენ, საით გაქანებულიყვნენ

თითქმის ყველას გაზოღვიძა ძაღლების ყეფაზე, მაგრამ რაკი ძაღლებმა ყეფა ჩქარა შესწყვიტეს, ისევ მიწვნენ და ხვრინვა დაიწყეს.

ძაღლების აღიაქოთი არც კი გაუგიათ. მიტრუა და გიული შეხორცებულები ერთად იწვნენ და განძრევაც აღარ უნდოდათ, სხეული ისე მოელეშათ. მათი სურ-

ვილი იყო, ბოლო არ ჰქონოდა ამ ნეტარ მდგომარეობას...

მაგრამ დრო არ იცდიდა. იქვე ფარების ახლოს მამალმაც იყივლა. სულ ერთის წუთის შემდეგ ფარების კარი გაჭრიალდა და მკაფიოდ შემოესმა ალის სიტყვები.

— იეთარ, იეთარ,— გიული რა იქნა?!

— ალლაჰმა ნუ იცის შენი თავი! — შეუტია იეთარმა და გაჯავრებულმა რილასიც ბუტბუტი დაიწყო.

შედრწუნდნენ ორივენი და სწრაფად, თითქმის ბობლით, მივიდნენ ფარების სანათურამდის.

— გიული, ერთი ორი კვირის შემდეგ, ჩვენ ველარავინ დაგვაშორებს! — ალგზნებით წამოიჩურჩულა მიტრუამ და გულში ჩაიკრა.

— შენ იცი! — თვალ-ცრემლიანმა გიულიმ გულ-ნაკლულად წაუჩურჩულა და სანათურში ფეხები ჩაჰყო.

მიტრუამ ხელები დაუჭირა და მძიმედაჩაუშვა ფარებში ძვირფასი განძი. იმის გული თან ჩაჰყვა...

ასტყდა ბატკნისა და დედა ცხვარის
 ბლავილი. მეცხვარეებმა დაარჩიეს ცხვა-
 რი ბატკნისაგან და საძოვრად გაირეკეს,
 რომ დილით სადილოობის დროს ისევ მოე-
 რეკათ და დაეწველათ.

აღია თითქმის ცხვრებშიც კი დაეძებდა
 გიულის. გაბრაზებული შევიდა ფარეხ-
 ში, რომ ძირის-ძირობამდის დაეცლო.
 ანთო ლამპარი და აღია განცვიფრდა,
 როდესაც გიული ლოგინში დაინახა.

— გიული?..

— რა გინდა?

— სად იყავი?...

— სად უნდა ვყოფილიყავი?!

— მე გეძებდი, გეძახდი...

— მერე რა?! შენ რომ გახვედი, ფარე-
 ხის ბოლოს ვიყავი.

— რატომ ხმა არ გამეცი, როდესაც
 გეძახდი?

— „რატომ ხმა არ გამეცი, როდესაც
 გეძახდი“ — გააჯავრა გიულიმ აღიას და
 შემდეგ განაგრძო: — იმისთვის არ გამეცი,
 რომ შენი წვალემა მინდოდა.

— აი, შე ეშმაკო, შენა!.. — ღიმილით უთხრა ალიამ და ლოგინში ჩაჯდა.

— დაწეჭი, რაღა, ჩემო ალი!..

აღია განცვიფრდა, ისე ალერსიანად უთხრა გიულიმ. მთლად გადარეული აღია მაშინვე ჩაწვა ლოგინში და სრესა დაუწყო...

— ჩემო ალი!.. — ღნობიერად წამოიძახა გიულიმ და მის წვერზე კოცნით განაგრძო უფრო მომხიბლავის კილოთი: — მეძინება, გენაცვა, ნუ გამაღვიძებ...

აღია დაიბნადა გიულის ალერსით. პირველად მიეაღერსა გიული იმ ღამეს აღიას, და იგი მზად იყო ამ ალერსის გულისთვის თავი შეეწირა...

გიულიმ ხელის გული ყურის ქვეშ ამოიღო და ჩქარა ტკბილად ქშინვა დაიწყო. ღრმად, ღრმად ჩაეძინა მოქანცულს გიულის. მხოლოდ ტუჩებზე სიამოვნების ღიმი უკრთოდა...

აღია კი განძრევასაც ვერიდებოდა, რომ გიული არ გაეღვიძებინა და მხოლოდ მის ქშენვით, მის სიახლოვეთ სტკბებოდა...

X

ის იყო მიტროა მორჩა ყველაფერს: დარეცხა, დაასუფთავა იქაურობა და კარავის ცოტა დაშორებით მყუდრო ადგილას მწვანეზე გადაგორდა. მაშინვე თავის მომავალზე დაიწყო ფიქრი, თავის გაჭირვებულს გარემოებაზე. თუმცა პირველში ძალიან ადვილად შეადგინა გეგმა, რომლის განხორციელებასაც კიდევაც შეუდგა და სწორედ ეხლა შეეპარა ეჭვები და აღარ იცოდა, რანაირად მოეგვარებინა. ნატრობდა, რომ დროით შელამებულიყო, რომ გიულისთან მოელაპარაკნა და იმის რჩევით და დახმარებით ესარგებლნა. მთელი დღეა, მუშაობის დროსაც კი, სულ ერთსა და იმავე საგანზე ფიქრობდა; და რაც მეტს უკვირდებოდა საგანს, მით უფრო იბნეოდა, იკარგებოდა...

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო!..— წამოიძახა მიტრუამ და თვალები მაგრად ჩაიკულიტა. თითქოს თავიდან სიმწვავე სულ უნდა გამოეკულიტაო.

— მიტრო!.. — შემოესმა უეცრივ ვილაციის ხმა.

მიტრუა შეეჩოლდა ამ ხმაზე და სწრაფად წამოიჯდა.

— ქერბალაი, შენაა!! — უცნაურის ხმით შეეკითხა მიტრუა ქერბალაის, რომელიც თავს წამოსდგომოდა.

— მიტრო, ისე რა გაგიჭირდა, რომ ეგრე გულ-ნატკენად ღმერთს შეჰბღავლე?! — ღრექით დაეკითხა ქერბალაი და თვალები კი ისარივით გაუყარა.

მიტრუამ ვერ შეუძლო ქერბალაის თვალებს, გაწითლდა, თავი ძირს დახარა და ძლივს იმტყუნა:

— ისე!.. შინაურობა მომაგონდა. დღეს ჩვენი დიდი-ოთხშაბათია. ამ ღამეს ჭიაკოკონას ვანთებთ და ზედა ვხტებით. მეც ბევრჯერ მიხტუნავია პატარაობაში. ის მომაგონდა, მაშინ უდარდელი ვიყავი, მხიარული, დედ-მამა თავს დამტრიალებდა. ეხლა კი... ხომ ჰხედავ, მოჯამაგირე ვარ და სხვის წარბის მოძრაობას შევცქერო...

ქერბალაი თითქმის რწმუნდებოდა მი-

ტრუას სიტყვებით, ბოლოს და ბოლოს ისე გულ-წრფელად ისროდა სიტყვებს. ქერბალაის ეგონა, მიტრუა მართლა მოგონებით იყო შეწუხებული. მაინც გადასწყვიტა ქერბალაიმ პირდაპირ ლაპარაკი, რომ სამუდამოდ დარწმუნებულიყო მის უდანაშაულობაში.

— მიტრო, ხომ იცი, გიული ეს ორი დღეა დაიკარგა?..

მიტრუა დაიბნა. სრულებით არ მოელოდა ამას იმის შემდეგ, რაც ზევით იმტყუნა და ისე ხელოვნურად.

— ვიცი, ვიცი! . მერე?!— დაბნევით უპასუხა ქერბალაის.

— მერე ისა, რომ გიული სადაც არის, შენ იცი!..— მოსხვებით უთხრა ქერბალაიმ და უფრო დაჟინებით ცქერა დაუწყო.

ცივმა ოფლომა დაასველა მიტრუა. „დავიღუპე“ . . — უსიტყვოდ წამოიძახა და მაინც სიცრუეს მიჰმართა:

— ნეტავი ვიცოდე გიულის ბინა?! . მაშინ... ველარა მოეხერხა-რა და თავი უფრო დაბლა დახარა მიტრუამ, რომ

მისი სახის კრთომა ქერბალაის არ შეემჩნია.

ქერბალაი თითქმის დარწმუნდა, რომ გიული მიტრუასგან იყო გატაცებული, და ამისთვის, რომ მისთვის ნათელი ყოფილიყო, უფრო მისახვედრად უთხრა:

— ეს არის ეხლა მამა-ჩემმა ყველა შვილები შეგვკრიბა. „საოჯახო შერცხვენააო“.—დაიწყო მამა-ჩემმა.—მართლაც საოჯახო შერცხვენაა. ჩემო მიტრო! ჩვენ ვერ მოვითმენთ ოჯახის შერცხვენას!.. ოჯახიდან ქალი მოგვტაცონ?!. ამაზე მეტი თავზე ლათის დასხმა-ლა გინდა?.. თუმცა ყველა ჩვენის ოჯახის წევრნი მოხარულნი არიან, რომ მამა-ჩემს ასეთი მარცხი დაემართა, მაინც საწყენოდ აქვთ ყველას. შეურაცხყოფაა ოჯახისა...

— მართალს ამბობ, ჩემო ქერბალაი, ოჯახის გალანძღვა არის.—გააწყვეტინა ლაპარაკი ქერბალაის მიტრუამ.

— ჩვენს ახლოს ბინა არა არის-რა, — განაგრძო ქერბალაიმ: — ჯერ გიულის დაკარგვა არავის გაუგია. ჩვენ გვინდა



გიული ისე მოვიყვანოთ, რომ არავინ იცოდეს...

— მერე, საიდან მოიყვანო?!— განცვიფრებით დაეკითხა მიტრუა.

— შენის საშუალებით.— გადაქრით უთხრა ქერბალაიმ და განაგრძო:— ამაღამ შენ გიულისთან წახვალ; ჩვენ მოგყვებით უკან, და, სადაც არის, ვიპოვით. თუ ძალას იხმარ, ჩვენც რამდენიმე ძალას ვიხმართ და ძალით გაგანადგურებთ...

— საწყალი გიული!..— უნებურად წამოიძახა მიტრუამ.

ეხლა კი ეჭვის შეტანაც აღარ შეიძლებოდა. ქერბალაი დარწმუნდა; მიტრუას რაც უნდა ეთქვა, ველარ გადაარწმუნებდა ქერბალაის. მიტრუაც დარწმუნდა, რომ ყველაფერი შეუტყვიათ. საგონებელს მიეცა მიტრუა. ამაღამ რომ არ წასულიყო, გიული გაგიჟდებოდა; თუნდაც არ გადარეულიყო, მშიერ-მწყურვალნი რას იზამდა?!— გარედ ის ვერ გამოვიდოდა და თუ გამოვიდოდა, მაშინ ძნელი-ღა იყო იმისი დამალვა. მაშ რა ექმნა?!.

მიტრუა ჩავარდა ამ წვალებაში და აღარ იცოდა რა ექმნა. გულში იბრუნებდა ამ მწვავე აზრებს და უფრო ჰქენჯნიდა. ქერბალაი მაინც აქ არ იჯდეს, რომ ჰაერისთვის მაინც შეეჩივლა თავისი გარემოება. იქნება, ცოტათი შემცირებულიყო მისი ტანჯვა, ჰაერის სიოს შთაეგონებინა რამ. მაგრამ ქერბალაი აქ იასაულივით იჯდა და პირში შესცქეროდა. ტუჩების განძრევასაც ვერ ახერხებდა. მიტრუა არ უცქეროდა ქერბალაის, მაგრამ ჰგრძნობდა კია, რომ იგი თვალს ადევნებდა.

მართლაც, ქერბალაი გაშტერებით ადევნებდა მიტრუას სახის მოძრაობას თვალს და ტუჩებზე ღიმი უკრთოდა.

მიტრუას სუნთქვა შეუდგა. საჩქაროდ წამოდგა და წასვლა დააპირა, რომ ცალკე თავის თავს გამოლაპარაკებოდა.

— მიტრო, მოიცა! — წამოიძახა ქერბალაიმ და ჩოხის კალთა დაუჭირა.

— თავი დამანებე! — წყრომით უთხრა მიტრუამ და ჩოხის კალთა ხელის დაქნევით გააშვებინა.

— მიტრო!.. — წამოდგა ფეხზე ქერბალაი და მიუახლოვდა.

— სულთა-მხუთავი ხომ არა ხარ, რა გინდა?! — შეუტია მიტრუამ და თვალვანთებულმა ისე დაუწყო მზერა, თითქოს ხელად ქერბალაის წაღრჩობა უნდაო, რომ ერთი მტრით ნაკლები ყოფილიყო.

— ნუ მიწყრები, ჩემო მიტრო! — ტკბილად უთხრა ქერბალაიმ და მხარზე ხელი დაადო.

— მე არ გიწყრები!.. გასაწყრომი რა მაქვს?! — უპასუხა ლულ-ლულით მიტრუამ და იმავე სახის გამომეტყველებით ელოდა, რითი გათავდებოდა ქერბალაის საქციელი.

— ყველაფერი გითხარი. ეხლა რას აპირობ?!.

— რას მიეღებ-მოეღები, რა მითხარი?!. ან რას უნდა ვაპირობდე?!. გიული გაგექცათ, მე რა საქმე მაქვს?! — ისე დაიწყო, ვთომც იმას სრულებით არ ეკითხება გიულის საქმე და არც რამე იცის გიულის შესახებ.

— მიტრო, მოიგონე შენი სიტყვები: „ჩემს თავს ისე არ ვენდობი, როგორც შენაო“.

— მახსოვს! მერე რა?!

— მერე ისა, რომ რატომ გულ-ახდით არ მეტყვი?..

— რა უნდა გითხრა, როდესაც არა ვიცი რა?!

— მაშ კარგი. მე გეტყვი: გახსოვს, პირველს დღეს ფლავი რომ არ სჭამე და წყალზე წახველი. მერე წყალზედვე იეთარმა გიული გამოჰგზავნა. გიულის ფარიც გამოჰყვა...

— მერე, მერე?!—უნებურად წამოიძახა მიტრუამ, და სიწითლე ყურებიდან შეეპარა.

უეცრივ თვალწინ წარმოუდგა პირველი ხვევნა და ..

— მერე, მოითმინე და ყური დამიგდე: თქვენ რომ წახველით, ჩვენ მხიარულად ლანგრები დავლოკეთ. მხიარულადვე გარედ გამოველით და დამაძღრები ვმასლაათობდით. მე მამა-ჩემს თვალ-ყურს ვადევნებდი. ის თანდათან იღრუბლებოდა და

წყაროსკენ მალი-მალ კისერს იღრეცდა...
 „ბალარ, — დაუძახა ჩემს ცოლს მამა-ჩემმა:
 „შენც რომ წყალი მოიტანო, არ მოგვე-
 ქარბებაო“. — უთხრა მამა-ჩემმა და ისე
 გაღებრილა თვალები, რომ უარს ვერ
 ეტყოდა ჩემი ცოლი. იეთარმა ღრეჭა
 დაიწყო, რამაც მამაჩემს გულმუცელი
 აუძღვრია. ბალარმა კი თულუხი გამოი-
 ტანა ფარეხიდან. მაშინვე მიუხვდი მამა-
 ჩემს, წყალი რისთვისაც უნდოდა. მაშინ-
 ვე წამოვდექი და ჩემს ცოლს ხელიდან
 თულუხი გამოვგლიჯე. „მე წავალ წყალ-
 ზე, გავლა ნინდა-მეთქი“. წამოვიძახე და
 წამოვედი. ჩემი ცოლი ხეპრეა. ვიცოდი,
 გიული შეგხვდებოდა. დიდი ხნის უნახავს
 გული აგიტოკდებოდა და ჩემი ცოლი კი
 თავის უგუნურობით ხელს შეგიშლიდა.
 ამისთვის მე წამოველი. არც მოვტყუვდი.
 გადმოვდექ თუ არა პირველს ბექობს, შენ
 და გიული გადახვეულები იყავით, ქარი
 კი თავ-გადაგლეჯილი გარბოდა. ჩემი ცო-
 ლი რომ წამოსულიყო, თავს წამოგადგე-
 ბოდათ თავის უგუნურობით და ხელს
 შეგიშლიდათ. მე კი მაშინვე გზა აგიქ-
 ციეთ...“

მიტრუა მთლად გაწითლდა და თვალები აენტო.

„მე ცოტა თქვენზე აღრე დავბრუნდი და მამა-ჩემი დავამშვიდე. იმას აღარავითარი ექვი აღარ ჰქონდა, როცა თქვენ წყალი მოიტანეთ. იმ ღამეს შენ და გიული ერთად იყავით. ხომ გახსოვს?!. მე თქვენი მეთვალ-ყურე ვიყავი... შემდეგ აღარა ვიცი რა. თავი მიგანებეთ...“

— მაშ, სულ შენ გამოგიქვეყნებია და ხელში მიგიცივარ! — დაიღრიალა მიტრუამ და მკლავი მაგრად დაუჭირა.

— გამოქვეყნება რომ მდომნოდა, მაშინვე გამოვაქვეყნებდი და არც მოგატაცებინებდი გიულის. მე თუ თვალ-ყურს ვადევნებდი, მხოლოდ იმისთვის, რომ თუ, ვინიცობაა, სხვაც დაგინახავდაო, მათთვის თვალი ამეხვია... შენი დალუპვა რომ მდომნოდა, არც ასე გელაპარაკებოდი. შენთან არ მოვიდოდი და არ გეტყოდი, რომ თვალ-ყურს ვადევნებთ-მეთქი...

— ქერბალაი! ქერბალაი!.. — უეცრივ

გონს მოვიდა მიტრუა და ქერბალაის მხურვალედ გადაეხვია...

— ეხლა მაინც მითხარი, რას აპირობ?! — დაეკითხა ქერბალაი, როდესაც მიტრუას მკლავებისგან განთავისუფლდა.

— ქერბალაი, არ ვიცი, რას ვაპირობ, ტვინი ისე მაქვს არეული, რომ არ ვიცი, რას ჩავიდენ და რას არა. ამას კი გეტყვი, თუ ამალამ გიული არ ვნახე, ის გადაირევა. მშიერ-მწყურვალე მოკვდება.

— თუ ამალამ წახვალ გიულისთან, დაილუპებით ორივენი. დღეს მამა-ჩემმა ყველას ერთად თავი მოგვიყარა და გვითხრა: „ჩვენი ოჯახი, მგონი მიტრუამ შეურაცკყოფო. მოჰკალით, დააღრჩეთ, თუ მართლა ეგ არის ჩვენი ოჯახის შემარცხვენელიო. თუ მე ცოლი მომტაცა, თქვენ დედა გაგიუბატიურათო. გიული თქვენი დედა არისო...“ ყველანი შეგინებულად სთვლიან ჩვენს ოჯახს იეთარის გარდა. იეთარს კიდევაც უხარიან. მეც ისე ვაჩვენე მამა-ჩემს თავი, ვითომც გაბრაზებული ვარ...

— ვის გაუცივარ, ვის?! — წამოიძახა მიტრუამ და კბილები გააკრაქუნა.

— მგონი არავის: მამა-ჩემს ეჭვი ჰქონდა შენზე როგორც დღეს ჩვენ გვითხრა, ეშმაკურად გამოეკითხნა ოჰანეზასთვის. იმას ეთქვა: „წუხელს გარედ გაველ და მიტრუა სადღაც დაკარგულიყო“. ოჰანეზამ, მგონი, გიულის დაკარგვა არც კი იცის. თუ გკითხოს რამე, არა უთხრა-რა...

— მიტრო! — შეაწყვეტინა ლაპარაკი ოჰანეზას ხმამ.

— შეილო მიტრო, — დაიწყო ოჰანეზამ, როდესაც მიტრუა მივიდა იმასთან და ცალკე გავიდნენ... ქერბალოაი კი გორაკს მოეფარა.

— შეილო მიტრო, — ისევ ამ სიწყევბით მიჰმართა მიტრუას: — ეს არის ეხლა იეთარმა მიაშბო გიულის დაკარგვა...

— მერე, მე რა?! — მკვანედ გააწყვეტინა სილყვა მიტრუამ.

— კიდევ ეგ არის, რომ შენ რა, მაგრამ შენზე მოუტანიათ ეჭვი.

— ჩემზე?! — გაიკვირვა მიტრუამ.

— ჰო, შენზე და ამაღამვე ქალაქში უნდა წიხვიდე. მაინც ყველები უნდა გამეგზავნა ხვალ საღამოთი და...

— ჰო და ხვალ საღამოთი წავიღებ!

— მოჰშორდი, თუ ღმერთი გწამს შარსა და შამაათსა. თათრების ამბავი ხომ იცი, რჯულამდის ჩაყვებიან და მგონი სისხლიც გაგიშრონ. შენს მაგივრად ლექსუა გამოგზავნე. შენ იქ დარჩი

— ამაღამ არ წავალ!.. — გადაქრით უპასუხა მიტრუამ და განაგრძო: რა ვუყო, რომ მაგათ ექვი შემოიტანეს?!. თუ კი მე უბრალო ვარ, მაგათ რაც უნდა იფიქრონ.

— გირჩევ...

— ხვალ წავიღებ ყველებს.

— შენი ნებაა, მაგრამ...

XI

— ქერბალაი, დაილუპება თუ ამაღამ არ წავედი! — შუბლის მოქმუნხვით წამოიძახა მიტრუამ და სახრით ქექვა დაუწყო ბალახებს.

— იცი, მეგობარო, რას გირჩევ, —
 ცოტა სიჩუმის შემდეგ მიჰმართა ქერბა-
 ლაიმ მიტრუას: ჩვენ დღესვე, როგორც
 შენტვის ოპანებას ურჩევია, ქალაქისკენ
 წავიდეთ. ეხლავე ყველები დააბარგე.
 ნულარ დაახანებ.

— რას ამბობ, ქერბალაი?! აკი გეუბ-
 ნები: „ამალამ თუ გიული უნახავი დარ-
 ჩა, გადირევა მეთქი“!

— მეც ამისთვის გეუბნები და ქალაქ-
 ში წასვლას გირჩევ, რომ უნახავი არ
 დარჩეს გიული.

— ვერ გამიგია.

— ამას რა გაგება უნდა! ჩვენ ეხლავე
 წავალთ. შევამდება თუ არა, შენ გიუ-
 ლისაკენ წახვალ, მე კი მოგიცდი სადმე.
 მეთვალყურედ, ვეცდები, მე წამოგყვე.
 მეც დეკეულებას წამოვლაღავ ქალაქში
 გასასყიდად.

— კარგი, თუ შენ გამომყევი! მაგრამ
 სხვა რომ გამომაყოლონ, მაშინ?!. — ცო-
 ტა ჩაფიქრების შემდეგ დაეკითხა მიტ-
 რუა.

— აკი გეუბნები: „ვეცდები მე გამოგ-

ყვე“ და, თუ ისე მოხდა, როგორც შენ ჰფიქრობ, მაშინ, ჩემო მიტრო, ერთი-ღა დაგრჩენია,—მასწავლო სადაც არის გიული და, ძმობას გეფიცები, დილაზე შენზე აღრე გიულის ქალაქში მივიყვან და, როდესაც შენ მოხვალ ქალაქში, ჩაგაბარებ.

მიტრუამ, ცოტა არ იყოს, ექვის თვალთ შეჰხედა და დიდხანს, ასე გაშტერებით თვალი თვალში გაუყარა ქერბალაის.

— რატომ აგრე ექვის თვალთ მიყურებ, მიტრო?!

— რა ვიცი!

— შენი ნებაა.

მიტრუას მეტი გზა არ ჰქონდა. გულის მოკუმშვით დაეთანხმა ქერბალაის და ასე გამოეხმაურა:

— მართალს ამბობ, ქერბალაი!.. მეტი ხსნა არა მაქვს. გასწავლი სადაც გიული არის, მაგრამ... — შუბლი უნებურად შეეკუმუხვნა, და სიტყვა შეუწყდა.

მიტრუას გული უფრო მოეკუმშა და ცივი ოფლი გადმოსკდა...

— ეჰ! — გულის სიღრმიდან ამოჰსკდა კვნესა, და მთლად ღმერთს მიანდო შედეგი.

— მიტრო, — დაიწყო ქერბალაიმ, როდესაც მიტრუას ყოყმანი შეამჩნია: თუ გული გეთანაღრება, ნურას მეტყვი და ისე მოიქეცი, როგორც შენმა ჭკუამ გასკრას.

— გეტყვი თუ არ გეტყვი, ეხლა სულ ერთია, ჩემო ქერბალაი! ეხლა შენ ხელთა ვარ.

— მაშ დროით, თორემ შეგვნიშნავენ.

— ხოშ იცი იოანე ნათლიმცემლის საბერო. ჰო და, იქ კლდეებში ბევრი გამოქვაბული სენაკებია. საყდრის ხელ-მარჯვნივ — აქედან რომ მიდიხარ — ერთ ამ სენაკთაგანშია. აღმოსავლეთით მესამეა. შელაძდება თუ არა, გიული კარებში დადგება. მიაგნობ. მისვლისას ერთი ორჯერ წაუსტვინე და გიულიც სტვენითვე გაგცემს პასუხს...

— კარგი. მაშ დაეჩქარე! — სიტყვა შეაწყვეტინა ქერბალაიმ და უეცრივ გატრიალდა.

დაღონებული მიტრუა დიდხანს უმზერდა ბინისკენ მიმავალს ქერბალაის და ადგილიდან არ იძროდა. თანდათან გული ბრაზით ევსებოდა და ექვი ეპარებოდა, რომ ქერბალაიმ, ვია თუ, მიმტყუნოსო. რაც დრო გადიოდა, და ქერბალაი გორაკს ეფარებოდა, მიტრუა მოსაზრებას ჰკარგავდა, და მის გონებას მხოლოდ ერთი, ერთი ფიქრი — ვაი თუ მიღალატოსო — იპყრობდა. .

— დავაღრჩობ, ძალღივით დავაღრჩობ, თუ... — ველარ დაათავა. თითები ერთმანეთში გადახლართა და, თითქოს აღრჩობს ვისმეო, მაგრად დაუწყო სრესა.

— ქერბალაი!.. — წამოიყვირა ერთბაშად, როდესაც ქერბალაი გორაკს მოეფარა და მისკენ მოჰკურცხლა.

— დავაღრჩობ, დავაღრჩობ, თუ მიღალატე! — ბუტბუტებდა მიტრუა, მაგრამ ქერბალაის იმის სიტყვები არ ეყურებოდა.

მირბოდა მიტრუა და ქერბალაის მოწვევას, ვიდრემდის ის ბინაში მივიდოდა,

ჰლამობდა, რომ ჩაეგონებინა იმისთვის: თუ მილალატე, დაგალრჩობო“...

— მიტრო?!—გორაკის მეორე მხარეს გადაჰხედა თუ არა, ოჰანეზა წინ დაუხვდა.

— დაგალრჩობ, დაგალრჩობ!..

— მიტრო?!.. — ხელმეორედ დაუძახა გაოცებულმა ოჰანეზამ და გზა გადაუჭრა.

მიტრუა შესდგა ოჰანეზას დანახვაზე და დაეკითხა:

— ქერბალაი ხომ არ შეგხვედრია?!

— როგორ არა, აგერ ფარეხში არ მივიდა!—ტკბილად უპასუხა ოჰანეზამ და ხელით ახიშნა ქერბალაი.

— ჰო!... აგერ, ფარეხში არაა!..—წამოიძახა მიტრუამ და აღგზნებულ თვალებს ზევით ქუთუთოები ოღნავ წამოათარა.

ხათანგში მომწყვდეულ თავესავით ფორთხალობდა მიტრუა; ყველგან შეელობილი დაუხვდა გზა, და მოქანცული დაჰმორჩილდა თავის ხვედრს...

— რაც მოსახდენია, დეე, მოხდეს! —

გულის ტკენით წამოიძახა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ და ოპანეზას შეჰხედა.

— მიტრო, იმისთვის დაგეძებდი, რომ კიდევ მერჩია ამაღამ ქალაქში წასვლა. — უთხრა ოპანეზამ, როდესაც მიტრუამ ლმობიერად შეჰხედა, და სრულებით არ აგრძნობინა, რომ იმისმა უკანასკნელმა სიტყვებმა ყველაფერი გამოამჟღავნა.

— მართალს ამბობ, ოპანეზ! წავიდეთ, ყველები დავაბარგოთ და გზას გაფუდგები-

— ჰოო, გიშველა ღმერთმა!..

მეტეი აღარა უთქვამს-რა. მაშინვე კარავისკენ მხარ და მხარ ამომდგრები ჩქარის ნაბიჯით წავიდნენ და, როდესაც კარავთან მივიდნენ, ურემზედ ყველის დაბარგებას გულმოდგინედ შეუდგნენ

იმათ მუშაობას გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ალია, რომელიც ფარების წინ იჯდა. ველარ მოითმინა და დაეკითხა:

— ოპანეზ, ქალაქში ხომ არ გზავნი ყველს?

— ჰო!.. — მოკლედ უპასუხა ოპანეზამ.

— ვის მიაქვს?!
e

— მიტრუას.

— როდის?!

— ამაღამ.

ხმა გაკმინდა ალიამ. თვალები უეცრივ აენტო და ფეხ-აკრებით ფარეხში შევიდა.

— მომეცათ თოფი! — ფარეხში შესვლის უმაღლესი წამოიძახა ალიამ და იქვე ბოდს ხელი მაგრად მოჭხვია.

— თოფი რად გინდა?! — შეეკითხა ისმია, რომელიც ეს ორი დღეა თავ-გადაგლეჯით გიულის დაედებს და ცხვარში აღარ დადის.

დაღალული აქეო-იქით ხეტიანით მხართეძოზე წამოწოლილიყო და ალიას ხმა რომ გაიგონა, უეცრივ ფეხზე წამოვარდა...

— მინდა მოვკლა, მოვკლა! — დაიძახა და ბოდს ხელი უფრო მაგრად შემოურკალა.

— ვინ?..

— ვინ და ჩემი დამლუბველი!.. ჩემი... მიტრუა, მიტრუა!.. — უკანასკნელი სიტყვები ჩურჩულით-და წამოიძახა, რადგანაც სიბრაზით გული ყელში მოებჯინა.

— მამი, ჯერ მოიცადე. აჩქარება არ ვარგა ამ საქმეში. ხომ გადავწყვიტეთ თვალ-ყურის დევნა. ვადევნოთ, და თუ მართლა მაგისაგან ვართ შერცხვენილნი, გეფიცები, პირველად მე გავუყრი ყელში ამ ხანჯალს!..

— ეგაა, ეგაა ჩემი დამლუბველი! გული მეუბნება და არც მატყუებს ხოლმე. ყული ტყუილად გავგზავნეთ გიულის მამასთან. გიული არ გაიქცეოდა... ის განგებ არის წაყვანილი, მოტაცებული, თორემ თითონ არ წავიდოდა. აღლაჰსა ვფიცავ, ეს ასეა. ამ ბოლოს ძალიან შევუყვარდი. სულ ჭირსა მჭამდა. თითონ არსად წავიდოდა, არა!..

— იქმნება სხვამ მოიტაცა და მიტრუას სულ ტყვილად აბრალებ.

— გიული!.. ჩემო გიული!.. პატარა ჯეირანო. სადა ხარ?!—ლმობიერად წამოიძახა და თვალები ცრემლებით აევსო.

ისმაილას შეებრალა მამა, თუმცა-კი წინად იმისი ასეთი გატაცება სიცილსა ჰგვრიდა და თანაგრძნობით მიჰმართა:

— მამი, მე მოგიკვდე, თუ გიული არ გიპოვოთ!

— შვილო, ისმაილ, შენ იცი!.. — სლუკუნით წამოიძახა და ისმაილას მხარი ცრემლებით დაუღობო.

— ალუუ!.. — თავისთვის წამოიღულღულა აქნობამდის გაჩუმებულმა იეთარმა და მუჯლუგუნი წაჰკრა თავის რძალს ქუქაზბანს, რომელიც იეთარივით გაჩუმებული ისმენდა მამამთილისა და თავის ქმრის ბაასს.

ორივე მანდილოსანთ ჩუმი, თავდაჭერილი ფრუტუნის აუტყდათ.

— გაიგეთ? — ამ დროს დაინახა ქერბალაიმ კარებიდან: მიტრუა ქალაქში მიდის.

ქერბალაის ხმაზე მამა-შვილნი გაშორდნენ ერთმანერთს. ალიამ თვალები მოიწმინდა და მოაგონდა რომ ამ ამბის სათქმელად შემოვიდა ესაც.

— ჰო, გავიგე!..

— გავიგე და რას აპირობთ?!

— მე არა გამიგია რა! — სთქვა ისმაი-

ლამ და თვალი გადაავლო მამას და ძმას.

— აგერ, ყველს აბარებენ.

— მე ამ ამბის სათქმელად შემოვედი წელან და ბრაზმა სულ გადამავიწყა.

— იმის მაგივრად, რომ ეთქვა რამ, მაგან ტირილი დაიწყო და ისმაილაც ააღელვა, — წამოილაპარაკა იეთარმა.

— იეთარ, გულს ნულარ მოიკლავ მაინც!..

— ჰო, ემაებს თავი დაანებე! ისა სჯობია, მოვიფიქროთ რამე.

— მართალს ამბობ, ჩემო ქერბალაი!..

XII

დილა აღრიანათვე სემინარიის გვერდით ქუჩა ახმაურდა. კაცს რომ ყური დაეგდო, ერთ გარკვეულ ხმას ვერ გაიგონებდა. აღამიანთა და პირუტყვთა ხმა ერთმანეთში ირეოდა და უცნაური, გაუგებარი გრგვინვა გამოისმოდა. ვაჭრებს გამოეტანათ სანოვაგე: ყველი, ლორი, მწვანილი, სააღდგომო ნამცხვარი, დაკლული ინდოური, გოჭი და რაც ძალი

და ღონე ჰქონდათ აქა-იქა ადგილებიდან გაჰკიოდნენ. ზოგნი დაკლულ გოჭებს და ინდაურებს ხელით დაარბევინებდნენ და არა ნაკლებ მაგიდევებთან მოვაჭრეებზე გაჰკიოდნენ და ხან ერთს მსყიდველს გაუშვერდნენ გაყვლეფილს გოჭს, და ხან მეორეს. უფრო მომეტებულად ცოცხალი გოჭები უკანა ფეხებით ეჭირათ, რომლებიც საშინლად ჭყვიტინებდნენ, რითაც ჭვეყანას ამცნობდნენ ადამიანის უდივრად მათთან მოპყრობას; მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა.

მსყვიდველნი, გაბრუებულნი ამ გრგვინვით, დადიოდნენ და აღარ იცოდნენ, დაავიწყდათ კიდევაც რის სასყიდლად გამოვიდნენ. აქეთაც ეწევიან და იქითაც ჩარჩები, — წინაც და უკანაც. ყიდულობს ყველაფერს, რასაც აწვდიან. სანოვაგის სიკეთის გასინჯვასაც კი ველარ ახერხებს. ერთად-ერთი სურვილი იმისი — ეს — დროით განშორდეს ჟრიამულს, თავის გამაბრუებელს ხმაურობას. აგერ სამარხვო ზარის რეკაც გაისმის, მაგრამ არავის ეყურება. ისევ ყიჟინი, ჭყვილი, ჭყვიტინი

და ზღავილი. ხალხის მოძრაობას არ აყენებს არც სასტიკი ქარი, რომელიც განთიადისას ამოვარდა და აქაურობას ანგრევს, ჰსუსხავს და სულდგმულთ სისხლის მოძრაობას უყენებს. მიტრუაც გათვაციცებით დარბის აუარებელს ხალხში და ხან ერთ ჩოხიანთან გაჩერდება, ღ ხან მეორესთან. ყველები ჩააბარა თუ არა ბაყალ გეუას, აღარც კი დააცადა გამოეკითხნა რამ, მაშინვე ხალხში გაერია და თავ-გადაგლეჯით დაეძებდა ქერბალაის. იმას არც ღრიანცელი ესმის და ვერც სუსხიან ქარს ჰგრძნობს ..

მთელს ღამეს თვალი არ მოუხუჭნია. გამაღებით მოერეკებოდა ურემს. ისმაილი, რომელსაც დეკეულობა მოუდიოდა გასასყიდად, ბევრჯერ შეემუდარა: „დავისვენოთ, რას მივეჩქარებით! დილაზე მაინც ადრიანად შევალთ ქალაქშიო“, მაგრამ მიტრუას თითქოს არც კი ეყურებოდა ისმაილის სიტყვები. მხოლოდ ერთხელ უპასუხა: „თუ გინდა, შენ დაისვენე, მე კი არ შემიძლიანო“. ისმაილი დიდის სიამოვნებით ჩამორჩებოდა და მწყემსურ

ძილს გამოაცხოებდა; მაგრამ ოჯახური თათბირ-დადგენილობით ისმაილი მეთვალყურედ იყო გამოგზავნილი, და ამის გამო ვერ შორდებოდა. მიტრუამ მოკლე გზებით ატარა ურემი და, ჯერ არც კი ერაჟრაჟენა, რომ წმ. ბარბარეს საყდარს დაუახლოვდა. აქ კი შეაყენა ურემი, ხარები გამოუშვა და აქეთ-იქით ხეტიალი დაიწყო. ისმაილამ მწყემსები გაიხმო და ჩუმად დაარიგა ერთი მათგანი, რომ შორი-ახლოს ედევნა და თვალი არ მოეშორებინა. თითონ კი ურემის 'ქვეშ წაეგდო და აქედან უპირობდა თვალყურის დაქვრას, მაგრამ სწრაფად ხვრინვა ამოუშვა...

„ამ გზას ვერ ასცდება“, — ფიქრობდა მიტრუა ხეტიალის დროს: „აქეთ გამოივლის და თვალს მაინც მოვკრავ, თუ ეს ოხრები მითვალყურებენ და გამოლაპარაკებას ვერ მოვახერხებ...“

— ოხ, რა ძნელია, ეს ოხერი ლოდინი!.. — დაიძახა კარგა ლოდინის შემდეგ და დედამიწას დაემხო.

დიდხანს, დიდხანს ასე დამხობილი დედა-მიწის პირას გაიცქირებოდა ყარაი-

ისაკენ, მაგრამ ვერაფერს დაინახა. უეცრივ ზეზე წამოვარდა, ურემთან მიიღბინა და დაიძახა:

— წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ, თორემ დაგვიგვიანდება.

ხმაურობაზე ისმაილას გამოელვინა, ფშმულით ურემის ქვეშიდან გამოძვრა და წაიბუტბუტა:

— შენც რა დაგემართა?! ბავშვივით ერთს წამს გუნებას იცვლი.

— ჩემო ისმაილა, ვერა ჰგრძნობ ამ ქარის სუსხს, და არ გეყურება სისინი?! მე ვიცი მოუმატებს და მაშინ ამ ღია ადგილას ამოგვაშეშებს ჩვენცა და საქონელსაც!

— მაგას კი მართალს ამბობ!

თუმცა ისმაილას ქარი მოუმიზეზა, ნამდვილად კი სხვა იყო მიზეზი ასე უეცრივ ურემის შებმისა. აქნობამდის მიტრუას ეგონა ქერბალაი ამ გზით წამოიყვანდა გიულის. მაგრამ აქ უეცრივ მოაგონდა, რომ უფრო მარჯვე გზა იოანე ნათლიმცემლის საბეროდან კახეთის გზატკეცილისკენ იყო. „იმ გზით უფრო წავი-

დოდა ქერბალაი, — გაიფიქრა მიტრუამ, —
 რომ გზაში ბინები ნაკლებად შეხვდე-
 ბაო“.

ქარმა მართლა უმატა. ჩქარა სასტი-
 კად დაჰბერა და კორიანტელი ააყენა.
 მგზავრები თვალის ახელას ველარ ახერ-
 ხებდნენ, რადგანაც პირდაპირი ქარი
 იყო და თვალებში მტვერს აყრიდა..

— უჰ, რა არამი ქარია!.. — წამოი-
 ფშმუვლა ისმაილამ და ზურგი შეუქცია
 ქარს.

— ჰო, ველარასა ვხედავ!.. — უბასუხა
 მიტრუამ და იმანაც ზურგი შეუქცია.

ასე ზურგ-შექცეული მიერეკებოდა ხა-
 რებს, ვიდრემდის ნავთლულის თავს კახე-
 თის გზაზე არ გადმოვიდა. აქ კი შეაყენა
 ურემი. აქეთ-იქით მიიხედა, მერე თვალე-
 ბი კახეთის გზას გააკრა...

უკვე გაფითრებულიყო ცა. სინათლეს
 კუმეტი გაეპო და არე-მარე გამოექანდა-
 კვინა. საგნები კარგად ირჩეოდა.

— ჰააამოო! — ტანის ფრჟოლით დაჰ-
 სტყვივლა ხარებს და ერთი ისეთი ჯაღუ-
 ქირა სახრე ხარს, რომ ხარი ხელნას მიე-

კრა და ასე გვერდ-გვერდ ხელნაზე მიკრულ-
ლი რამდენიმე წამს მიდიოდა.

მიტრუას იმედი ჰქონდა, გზაში უეჭვე-
ლად ჰნახავდა გიულის. ეს იმედი ისე
ძლიერი იყო, რომ ერთს წამსაც ეჭვი არ
შეჰპარვია, და, აი, როგორ გაუმართ-
ლდა ეს იმედი. თითქმის ქალაქში შე-
მოვიდა, და ის კი არსად იყო, თვალი-
ვერ დაჰკრა. მწვავე იყო ამისთვის იმე-
დის გაცრუება. იმდენად მწვავე, რომ
გონება აერია და ისე ძლიერად გადუ-
ქირა სულ უნებურად სახრე ხარს, თით-
ქმის ძლიერის დარტყმით იმედს ისევ და-
იბრუნებდა. მართლაც სიმწვავე სახრეს
გაატანა. გაბრუნდა მიტრუა და გაშტე-
რებულ იჯდა ურმის თავზე...

ჰქროდა-ლა ქარი?..

აღარა ეყურებოდა-რა. გონს მხოლოდ
სირაჯხანის თავდაღმართში რომ ჩადიო-
და ურემი ისმაილას წინამძღოლობით, მა-
შინ მოვიდა. შუბლზე ხელი მოისვა, და
მოაგონდა, რომ ქერბალაი გზაში არ შე-
ჰხვდა. უნდა ენახა კია. ნავთლოულის თავ-
ში აქეთ-იქით იცქირებოდა და მერე რა.

მოხდა?.. აღარა ახსოვდარა. საშინლად გაიკვირვა, რომ ურემი სირაჯხანის თავდაღმართში ნახა. ასე უეცრივ ურემი აქ როგორ გაჩნდა?!

— ისმაილ, მეიდნისკენ წავიდეს, მეიდნისკენ... — დაუძახა მიტრუამ ისმაილას, როდესაც იმან ხარები რიყის ქუჩისკენ მოიბრუნა...

— ოჰ, გამოიღვიძე?! რა დაგემართა კაცო. ისე რამ გაგაშეშა?!. რამდენჯერმე დაგიძახე, ურემი კინალამ გზის თხრილებში არ გადაბრუნდა. მაგრამ შენ გახევებული იჯექი. მელა გამოვრეკე. — ჩაეკითხა ისმაილა და ხარებს ჩამოეცალა.

— რა ვიცი! — მოკლედ უპასუხა მიტრუამ.

— მე საქონელს რიყეში შევრეკამ გასასყიდად. ურემზე, აი, მამედა წამოგყვება.

— კარგი!

მიტრუა მთლად გამოერკვა. ხარებს შეეხმაურა და ურემი თათრის მოედნისკენ წაიღო. „იქნება ქერბალაი დუქანშიაც მელისო“, — გაიფიქრა იმან: „და მე კი ტყუილ — უბრალოდ თავბრუ დამეხვა“...

მომხიარულდა მიტრუა. ხარებს აღერსით ხელი გავაზე გადასდო, თითქოს თავისი სასტიკობა ამით უნდოდა გაექარწყლებინა და აღერსითვე წასძახა:

' — აბა, თქვენი ქირიმე, ააჩქარეთ ფეხი, თორემ...

ზუზუნებს, ზუზუნებს ქარი. სასტიკად უსტვენს... ამ გმინვას ბანს აძლევს აღიდებული მჩქეფარე მტკვარი. რიყის პირას, თითქოს საბრძოლველად ემზადებაო, ტრიალებს, გმინავს, ძალას იკრეფს და იერიში მიაქვს ზღუდეზე, რომ ერთბაშად ჩანთქას, შემუსროს და კალაპოტი გაიგანიეროს, სამფლობელო გაათართოვოს, მაგრამ ამაოდ. კიდენი სალის კლდისანი გულ-გრილად უხვდებიან განრისხებულს ტალღებს, რაც უფრო აშფოთებს მტკვარს. აქაფებული, აღშფოთებული ამგვარ მედიდურობით ღრიალით მიქანაობს, რომ შემდეგი ზღუდე მაინც მიღეწოს; მაგრამ იქაც ისევ ის გულ-გრილი წინააღმდეგობა და ისეთივე გამარჯვება გულ-ქვასი. მთლად განადგურებული მტკვარი მეორე ხიდ ქვევით გატვრენი-

ლი — მიქანავს, რომ თავის სირცხვილი დამალოს, გააქარწყლოს ..

მიტრუამ ხარებს ხელი ანება, როდესაც ხიდზე შეაყენა ურემი, მარჯვენა მხარი ფარად აიფარა და ქუდი მოიხადა.

ოჰიჰოჰო, რა ქარია! — წაიბზმულია მიტრუამ და მარცხენა ხელით ხარს სახრე გადაჰკრა.

— მოეფარა მიტრუა სახლებს. სიონისკენ ჩაუხვია. ველარ ჰხედავს სტიქიონის სასტიკ ბრძოლას. თითქოს ქარმა იყუჩა, მიტრუას გონება უფხიზლდება, სახე უცინის. ეხლა მიეჩქარება დუქნისაკენ, სადაც ქერბალაის ჰნახავს და გიულის ამბავს შეიტყობს; იქნება გიულიც ნახოს!..

ჰაამო, ჰაამო!.. — აღერსით აჩქარებს ხარებს, ნატრობს ფრთების გამოსხმას, ნაგრამ ხარები ჩვეულებრივად, თავისებურად კუდის ქნევით მიიზლაზებიან სიონის აღმართზე...

— ცოტალაა, ცოტალა!.. — უსიტყვოდ გაიძახის მიტრუა და ხარებს უფრო ჰჯმუჯნის, ეხვევა, ..

მაგრამ კიდევ იმედის გაცრეება. ქერბა-

ლაი იქ ვერ ნახა. ხმის ამოუღებლივ; ყველები დუქანში შეზიდა; ხმის ამოუღებლივ გამოეშურა ბაზრისკენ და აგრეთვე ხმის ამოუღებლივ დაეძებს ქერბალაის აუარებელს ხალხში.

მოიქანცა მიტრუა ამ ღრიანცელით. თითქმის ათჯერ შემოიბრინა მთელი სავაჭრო მოედანი. მაგრამ ქერბალაის მგზავსი ვერავინ ნახა...

— მაშ მომატყუილა, მომატყუილიმ?? — სიტყვა ველარ დაათავა, და სასოწარკვეთილმა პუშკინის ბალის ღობეს ზურგი მიჰყუდა.

რა აზრმა არ გაურბინა თავში?.. ყველა აზრი კი ერთი მეორეზე ძლიერად სტანჯავდა და სხეულს უდაგავდა...

— არა!.. არა!.. ეგ შეუძლებელია! — წამოიღრიალა მიტრუამ, როდესაც მისდაუნებურად გაურბინა თავში იმ აზრმა, ვითომ ქერბალაიმ გიული ისევ ბინაზე წაიყვანაო.

— მერე მზის ცქერა აღარ უნდა?! — განაგრძო აღშფოთებით მიტრუამ და ისევ ძებნა დაუწყო...

XIII

რაკი თფილისში საქონელიც მოუდი-
ოდათ გასასყიდად, თათბირის დროს ისმაი-
ლას მიანდეს მიტრუასთან ერთად წას-
ვლა, რადგანაც მხოლოდ ისმაილას დაუ-
დიოდა გასასყიდად საქონელი. იმ თავითვე
ისმაილა განაგებდა ამ საქმეს. ქერბალაის
კი ჯერ ერთი ხბოც არ გაიყიდნა და
ამისთვის ის არ გააყოლა მიტრუას, თუმ-
ცა კი ყველას სურვილი იყო ეს...

— მე ვერ მოვდივარ შენთან, მიტრო,
მაგრამ არა უშავს-რა!—თათბირს შემდეგ
ქერბალაიმ მოახერხა ჩუმად წალაპარაკე-
ბა:—ძმობას გეფიცები, რომ გზაშივე და-
გახვედრებ გიულის.

მიტრუას არ ესიამოვნა ეს ამბავი. ამა-
ლამ ქერბალაი რომ წაჰყოლოდა, თვი-
თონ წავიდოდა გიულისთან, მაგრამ რა
გაეწყობოდა. დაჰმორჩილდა ხვედრს. ქერ-
ბალაის სიტყვებით დაიმედებული ისმაი-
ლასთან ერთად თფილისის გზას გაუდგა.

ქერბალაი კი, რა წამს ყველამ მიიძი-
ნა, წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და ის იყო

გამგზავრებას აპირობდა, რომ ფარების მეორე მხარეს აჩრდილსავით ვიღაც დაიარებოდა. თვალები დააშტერა და აღიაცნო. „საწყალს ველარ მოუსვენია!“ უნებურად წამოიძახა ქარბალაიმ.

აღია კარავის კარებთან მივიდა და ჩურჩული დაიწყო:

— ოჰანეზ, ოჰანეზ!..

— ჰმ, ჰმ!..— მოისმა ოჰანეზას ძილისაგან გამოურკვეველი ბზმუილი.

— ოჰანეზ, ოჰანეზ, მე ვარ!..

— ალი, შენა?!.

— ჰო...— მოკლედ უპასუხა და კარავში შევიდა.

— ამ დროს რად გარჯილხარ?..— გაკვირვებით ჰკითხა ოჰანეზამ და მხრჩოლავი თუნუქის ლამპარი აანთო.

— რა ვიცა, არ მეძინება!.. ადამიანთან ლაპარაკი მომინდა!..

— დაბრძანდი, დაბრძანდი!..

— ჩემს ცოლ-შვილს ხმას ვერ გასცემ, მგლებივით მიცქერიან; ამისთვის შენ მოგნახე.— დაიწყო აღიამ და ოჰანეზას ლოგინზე მოიკალათა.

ქერბალაის ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია. ის გაუნძრევლად იდგა და სახე თან-და-თან ეღრუბლებოდა. ალიას ყოველი სიტყვა, იმისი მოძრაობა გულის უფხაჭნიდა და სიბრალულს უღვიძებდა. ის ზიზღი, რომელიც ქერბალაის გულში ჰბუდობდა მამისადმი, თან-და-თან ქარწყლდებოდა. წინად, როდესაც ალია მიეაღერებოდა გიულის, ქერბალაის ზიზღს ჰგვრიდა, მწარედ კბილებს გააკრაჭუნებინებდა ალიას ამგვარი საქციელი; ეხლა კი იმისი ხმა, მოძრაობა, ჩამომხმარი სახე გულს სიბრალილით უვსებს...

„საწყალი, ამ ორ-სამ დღეში რანაირად ჩამოხმა, განადგურდა.—ჰფიქრობდა უნებურად ქერბალაი.—ან კი რა დააშავა ისეთი?..“—უეცრივ ეღვასავით გაურბინა თავში ამ კითხვამ: „განა სხვები კი ასე არ იქცევიან?.. ცალი ფეხი...“

— ცალი ფეხი სამარეში მიდგას. ერთად-ერთი სიამოვნება ჩემი გიულისთან ახლოს ყოფნა იყო და ესაც შეჰპურდათი.. ესაც...—შემოესმს ქერბალაის მამის თითქმის ქვითინი.

ამას კი ველარ გაუძლო. იმასაც თვალებზე ცრემლი მოადგა. ერთი ნაბიჯი წინ გადადგა და მამისკენ გაქანება დააპირა, რომ ენუგეშებინა, ეთქვა: „ეხლავე აქ გავაჩენ გიულისო“. მაგრამ ამავე დროს მიტრუა წინ აემართა...

— ააა!.. მწვავედ წამოიშმუვლა ქერბალიმ და თავის მკლავს მაგრად, მაგრად ღრღნა დაუწყო...

— შინაურებმა დამლუპეს, ჩემო ოპანეზ, თორემ გარეშე რას მიზამდა...

— ააა!.. — უფრო მწვავედ დაიბღმუვლა და იოანე ნათლის-მცემლის საბეროესკენ რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოჰკურცხლა...

XIV

შებინდდა თუ არა, გიული სენაკის პირას გამოდგა და აღგზნებული თვალებით მზერა დაიწყო იქით, საიდანაც მიტრუა უნდა მოსულიყო. კარგად იცოდა, ჯერ ადრე იყო, ჯერ მიტრუა აგრე მალე ვერ გაათავებდა საქმეს; მერე ვიღრემდის სხვები არ დაიძინებდნენ, ის ვერ

გაჰბედავდა წამოსვლას, მაგრამ გული არ უთმენს. ჯერ დღევ, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ის დღე ვერ მოვიდოდა, მალიმალ ქურდულად გამოიხედავდა ხოლმე, და ეხლა ხომ, როდესაც დარწმუნებული იყო იმას ვერავინ დაინახავდა, რა დაუშლიდა გარედ ყოფნას.

ეს მესამე დღეა სენაკში იმყოფება, და ჯერაც არ მოსწყენია მარტოდ ყოფნა. მარტო ღამ-ღამობით ჰხედავს თავის მიტრუას, რომელსაც მიანდო თავისი სული და გული და, ისაც ცოტა დროთი, სულ რამდენიმე საათით და ამათიც კმაყოფილია, მხიარული. წელიწადიც რომ გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა, მაინც კმაყოფილი იქმნება, მაინც ღმერთს მადლობას შეჰსწირავს. მარტო ერთი რამ აჩრდილებს იმის გონებას. ეს - ალიაზე მოგონება. ჩაფიქრდება თუ არა, ეს კი ხშირად ემართება, რადგანაც აქ მეტი არა დარჩენია-რა. მაშინვე ალია წარმოუდგება თვალწინ, ის ეხვევა, გულში იკრავს და „გიული, გიული“-ს ჩაჰჩურჩულებს. ყოველ მოგონებაზე უნებურად

სხეული უხტის, კრთება და, რომ განდევნოს არა სასიიმოვნო მოგონებანი, ქურდულად 'გარედ გამოიხედავს. ალიას ოჯახის მოგონებაც უწყლავს გულს. ერთად-ერთი არსებაა ალიას ოჯახში, რომლის დაკარგვაც ეძნელება. ეს—ჭარია. წარმოუდგებოდა თუ არა ქარი, ღრმად ეწაფებოდა იმაზე მოგონებას და გამორკვევა ენანებოდა. უნდოდა სულ იმაზე ეფიქრნა. „ახ,, — ხშირად წამოიძახებდა ხოლმე, — „ჭარიც რომ ჩემთან იყოს, მაშინ“... აღარ ათავებდა სიტყვას. თვალეზე მომდგარ ცრემლებს გამოიჟურავდა და ძალ მიხდილა ზურგს კედელს მიაყუდებდა. მამის ოჯახში, როდესაც ეთხოვებოდა, ისე არავინ დაჰნანებია, როგორც ეხლა ქარი. რამდენჯერ მოუმშრალეგია გიულისათვის ჭარის ცრემლები; რამდენჯერ ჭარის აღერსს გამოუყვანია სასოწარკვეთილებიდან, გული გაუმხიარულეგია?!.. ის იყო ალიას ოჯახში ამის მფარველ ანგელოზად. „საწყალი ქარი“, — ყურებში უდგია მიტრუას სიტყვები, რომლებითაც იმან უპასუხა მოტაცების შემ-

დეგ პირველ შეხვედრაზედ, როდესაც გიულიმ ჭარი იკითხა, „მთელ დღეს ცრემლი არ შეჭმრობიაო!“ უეჭველად ჭარისაც წამოვაყვანინებ მიტრუას!“ — წამოიძახებდა ხოლმე ამის შემდეგ გიული და ამ იმედით გამხიარულებული ახლა მიტრუას გონებით ეაღერებოდა...

— ეხლა დაიძინებდნენ! — წამოილაპარაკა გიულიმ, როდესაც კარგა შეღამდა, და კუმეტი თვალები არე-მარეს გადაავლო.

ბნელი ღამე იყო. ბნელიც რომ არა ყოფილიყო, მაინც გიული დიდ სივრცეს ვერ გადაავლებდა თვალს, რადგანაც წინ მთები ჰქონდა აფარებული, და ამისკენ გზა მხოლოდ მიხლაკნილ ხევით მოდიოდა. გიულიმ ამ ხევს გააყოლა თვალი, როდესაც თვალის გადავლების დროს მხოლოდ შავად ამართული კლდეები დაინახა. თვალის დაუხამხამებლივ კარგა ხანს უცქეროდა ხევს, მერე რამდენიმე ნაბიჯი ძირს ჩამოდგა სიფრთხილით, რადგანაც ვიწრო ბილიკი მიდიოდა ძირს, ხევისკენ და ჩამოჰდა. ძირს ჩაიხედა და

შეერქოლდა. ძირს წყვდიადი, შესაზარი სიბნელე სუფევდა. გიული შეუჩვევარი იყო ამ გვარ სიბნელეს, ამ გვარ ადგილებს. მართალია, ბევრჯელ უნახავს ამგვარი ადგილები, უფრო უარესიც და უარეს ლამესაც, მაგრამ სხვებთან ერთად. მარტოკას კი არას დროს...

— ეხლა მოდის!.. — გასამხნევებლად წამოიძახა, თავი მაღლა აიღო და კლდეს მიჰყუდა.

ერთს წამს უაზროდ ატარებდა ცის ნაგლეჯზედ მხედველობას. არა მოჩანდა-რა ყოძრალი ნაბდის მეტი, რომელიც ცას გადაჰკროდა. უეცრივ თვალი მოჰკრა ცის ნაგლეჯის ნაპირას ოდნავ მბუჟტავ ვარსკვლავს. ესიამოვნა, თვალები ოდნავ მიელოულა ცოტა მზერის შემდეგ, და ტუჩები ღიმიად გადაექცნენ. გონება კი მიტრუას გვერდში ამოუდგა. მოდიან ორივენი. გამოიარეს ნაცნობი ადგილები. წყაროსკენ ბექობი ჩაიარეს და ძირს, მეორე ბექობის დასაწყისში, შედგა იმისი გონება. აქ, ამ ადგილას იგრძნო პირველად, თუ რა იყო თავდავიწყებული კო-



ცნა სიყვარულ მოდებული ადამიანისა; აქ, ამ ადგილას პირველად იგრძნო, თუ სიცოცხლე რა ტკბილი ყოფილა, როდესაც ორი სიყვარულით მთრთოლარე გული შეერთდება... საუკუნოდ ამ ადგილს დარჩენა. ემუდარება მიტრუას: „მოიცა, მიტრო, ჩემო კარგო, აქ... აქ, მინდა დავრჩე შენთან ერთად! შენთან ერთად აქ მინდა დავიმარხო!..“ მაგრამ მიტრუა არ ეთანხმება. ამას ყურს არც-კი უგდებს და ჰშორდება ამ ადგილს.

— მიტრო, მიტრო!.. მისძახის გიული და სასოწარკვეთილებას ეძლევა.

— ღმერთო, საით გაუხვია?! მე დავა ვიწყდი კიდევაც!.. მიტროოო!..

— ნაუუუ!.. — მოისმა სამგლოვიარო შუალამის ზარის რეკა შორი ახლოდან.

— ჰა?! — წამოიძახა დაფეთიანებულმა გიულიმ და თვალები დააქყიტა.

ზარის უკანასკნელი გუგუნის ისევ გაისმოდა მიდამოში.

— რაა?... — დაეკითხა თავის-თავს და თვალების ცეცება დაიწყო.

მისუსტდა ზარის ხმა. ოდნავ ხმა-ლა-

მოისმის. სწორედ ამ დროს განმეორდა „ნაუუ“ ძლიერად. გიული დამშვიდდა. იცნო ზარის ხმა. ძალიან ხშირად გაუგონია ეს ხმა აქ ყოფნის დროს. გაეხარდა კიდევაც, რომ ამის გარდა სხვებსაც არ სძინავთ. თავი ისევ კლდეს მიჰყუდა და თვალები მილულა. გონება ისევ მიტროსკენ გაქანდა. სულ ახლო შეეფეთა მიტრუას. რამდენიმე წუთიც და გონებასთან ერთად თითონ გიულიც მოეხვევა, გულში ჩაეკვრის თავის საყვარელს მიტრუას...

ზარი კი ისევ ისე გუგუნებს. ხან მისწყდება მისი გუგუნი და ხან კი უეცრივ ძლიერად გამოეხმაურება მიდამოს...

— ჩემო მიტრო, ჩემო... მოხვედი?! — აცმაცუნებს ტუჩებს გიული.

ამ დროს ფეხ-აკრებით ხევში შემოვიდა ქერბალაი და პირდაპირ წამოვიდა. მივიდა ბილიკთან, რომელსაც კლდეზე სენაკთან აჰყვანდა და წაუსტვინა.

— მიტრუა, მიტრო!... — ოდნავ ჩურჩულებდა გიული და ეხვევა მიტრუას...

ქერბალაი კი შედგა. ყური დაუგდო, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

ზარს მაინც ჰრეკენ. ისევ-ისევ გუგუნია გაისმის მიდამოში...

„ავალ ზევით. იქნება ჩაეძინა, ზევით დავუსტვენ და იქნება მაშინ მომცეს პასუხიო“.

ქერბალაი ნავალი იყო. კარგად იცოდა აქაური სენაკები. ხშირად დაუბრუნია და ამისთვის თამამად შეუდგა კლდის ბილიკას. უნიშნოდაც აივლიდა, მაგრამ არ იცოდა რომელ სენაკში შესულიყო, რადგანაც ამ ბილიკს ბევრ სენაკისკენ მიჰყვანდა.

კარგა ზევით რომ ავიდა, შესდგა. აქ ბილიკა იყოფოდა. აღარ იცოდა საით წასულიყო. ისევ წაუსტვინა ძლიერად.

— მიტროო!.. — გაახილა თუ არა თვალები დასტვენაზე, დაინახა იქვე ახლოს და სწრაფად გულში ჩაეკრა.

— მიტრო, მიტროო!.. — ჩურჩულებდა გიული და თან მხურვალედ ჰკოცნიდა ქერბალაის.

ქერბალაი პირველად შეკრთა. უნდოდა

მოეშორებინა და აეხსნა, რომ ის მიტრუა არ იყო. მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც მკლავში ხელი წაავლო და მოშორება დააპირა, გიული მხურვალედ დაეკრა ქერბალაის ტუჩებს. რა დაემართა ქერბალაის?! მოშორების მაგივრად ხელები მაგრად მოჭხვია და გონება მიჭხდილმა მაგრად, მაგრად ჩაიკრა გიული გულში. ქერბალაის ცოლ-შვილი ჰყავს. თითქოს უყვარს კიდევაც. ცოლსაც უყვარს. მაგრამ ცოლის კოცნით ასე არას დროს არ აღელვებულა, ასეთი სითბო, ნეტარი სითბო, სხეულის მომშლელი სითბო არას დროს არ უგვრძნია. განა ცოლს არ უკოცნაა ამისთვის?! თითონაც უკოცნია!.. მაგრამ რა?! ცოლის კოცნა ოდნავ, კივად ტუჩების შეხებაა; ლოყაც კი ძლივს ჰგრძნობს. ეხლა კი ისეთი ძლიერებით, ისეთი სითბოთი იყო კოცნა, რომ ყოველმა მისმა სხეულის წერტილმაც კი იგრძნო; ყოველი წერტილი მონაწილეობას იღებს ამ კოცნაში. ქერბალაი მხოლოდ ერთს-ღა ჰგრძნობს, რომ გიულის მთელი ძალა იმაზე გადმოდის და იმისი კი-

დევ გიულისაზე. ძალების ასეთი მოგზაურობა კი ნეტარებას ჰბადავს და ყველაფერს ავიწყებს. აღარ ახსოვს არც ცოლი და არც შვილი, არც მამა და არც დედა, არც მიტრუა და აღარც ის, თუ რისთვის მოვიდა აქ. ერთად-ერთი-ღა ენატრებოდა ქერბალაის: ეს — დიდხანს გაგრძელებულიყო ასეთი მდგომარეობა. ხმის ამოუღებლივ მხურვალედ ჰჯმუჯნიდა გიულის და სამაგიერო პასუხსაც იღებდა...

— ჩემო კარგო, რად დაიგვიანე?! ჰო, ვიცი, რადაც!..—ხელი მხარზე დაადო, როდესაც მოიქანცა ხვევნით, თვალებში ალერსით ჩააცქერდა და ალერსითვე მიეხმაურა. ქერბალაის დაავიწყდა, რომ გიულის ეს სიტყვები მიტრუასადმი იყო მიმართული. დაავიწყდა ისიც, რომ გიულის ხვევნა, ის ნეტარება, რომელიც ამ წამს გამოსცადა და სცდის, ნაქურდალია. აღგზენულმა ამ ალერსით ქერბალაიმ ნაზად წაავლო კლავში ხელი და ტკბილად, ტკბილად მომხიბლავის ხმით დაიწყო:

— გიული, დავიგვიანე?! გეფიცები

აღლაჰს, საუკუნოდ შენთან დავრჩები,
შენი...

— ქერბალაი!..

— გიული, რად შეჰკრთი?! ხომ ჰხე-
დავ, სამტროდ...

— გამიშვი, გამიშვი!..

— მოიცადე, გენაცვა, ყური დამიგ-
დე!..

— ღმერთო!..

— გეფაცები აღლაჰს, შენ არ მოგშორ-
დები! წავიდეთ შორს გადავიკარგნეთ!
მე...

— გონს მოდი, ქერბალაი!.. რეებს
ჰლაპარაკობ?! ნუ გავიწყდება, მე დედი-
შენის ფეხი ვარ, მამიშენის ცოლი!..

— რას დავეძებ მაგას?! მიყვარხარ...

— ხომ არ გაჰგიჟდი?! ხელი გამიშ-
ვი!.. — ბრაზ-მორეული გიული შეებრძო-
ლა ქერბალაის, მაგრამ ვერას გახდა-რა.

— მიტრუა საცაა, აქ მოვა!..

— ხა, ახ, ხა!.. — გადაიხარხარა ქერბა-
ლაიმ წინააღმდეგობით გახელებულმა და
ამავე კილოთი განაგრძო:

— მიტრუას ნახვას ველარ ეღირსები!

— ის გაგცემს პასუხს, შე... შე შეჩვენებულო!...

— აკი გეუბნები, გიული, მიტრუას ველარ ნახავ!..

— რატომ, შე წყეულო, განა მოკვდა?!

— მოკვდა, მოკვდა, გიული, აი, ამ ხანჯალმა გაუპო გული!—ქერბალაიმ ხელი გაუშვა გიულის და ხანჯალზე გაივლო.

გიულიმ ისარგებლა ამ წამით. რაც ძალა ჰქონდა, ორივე ხელები გულის ფიცარში ჰკრა ქერბალაის და სწრაფად ზევით გატრიალდა დასამალავად. მაგრამ მიბრუნების დროს ძლიერად თავი ჰკრა კლდის ქიმს, გვერდზე წატორტმანდა და თავი ველარ შეიმაგრა.

— ვაიი!..—გიულის გამგმირავი ხმა გაისმა ჰაერში და ჩქარა ისევ მიწყნარდა. ქერბალაიმ თვალი ვერც კი მოჰკრა, ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა.

— გიული!..—მწარედ წამოიკვნესა და ყურები სცქვიტა.

ხვეის ძირიდან კლდიდან ჩაცვივნუ-

ლი ქვების რახუნი-ლა მოესმა; სწრაფად გაჩნდა იქ და გულ-აღმა დაწოლილ გიულის დაემხო.

— გიული, გიული!.. — ეხვევა ქერბალაი, ჩასძახის ტირილით და ხან ხელში აიყვანს, მაგრამ გიული პასუხს აღარ აძლევს. ჯერ ისევ თბილი გვამი მის ხელებში ლაფანსავით იკეცება.

— გიული!.. — სასოწარკვეთილებით დაიძახა ქერბალაიმ, დაჩოქა და გვამი ძირს დაუშვა.

დიდხანს, დიდხანს დასცქეროდა გაშტერებით უძრავ გვამს ხმის ამოუღებლივ.

რაზე ფიქრობდა ამ დროს ქერბალაი?! თითქმის არაფერზე. ასე გახვევებული დასცქეროდა დაჩოქილი ქერბალაი გიულის გვამს, რომელსაც თანდათან სითბო აკლდებოდა.

— შეილო, მამიშენისავით დედაშენს რად უღალატე?! — უეცრივ მკაფიოდ მოესმა დედის სიტყვები.

უშიშარი ქერბალაი შიშის ზარმა აიტანა. ქუდი მალლა წაუვიდა. სწრაფად ხანჯალი გაიძრო ხელების თახთახით და

ფეხზე წამოდგა. მიიხედ-მოიხედა. ისევ ის წყვილია სუფევდა, ისევ ის სიჩუმე იყო და არა არღვევდარა. უფრო შეეშინდა ამ წყვილიაღისა. ქუდი გადმოუვარდა. თვალის კაკლები კი დაუდიდდნენ და ბუდიდან გადმოვარდნას უპირობდნენ.

— მიტრო, აქ რა გინდა, ჰა?!. აკი ქალაქში წახვედი?!. მამაჩემიც მოგყავს?!. ნუ, ნუ მორბიხარ, თორემ, აი, ხანჯალი!.. არ იშლი?!. ჰაა?!. შედექი!.. აი!..

XV

წითელ პარასკევსაც არ დაწყნარებულა ქარი. მარტყოფის მინდვრებზე თავისუფლად დათარეშობდა. საშინელ კორიანტელს აყენებდა და აბნელებდა მიდამოს. კახეთის გზაზე თითქმას მოძრაობა შესწყდა. თავზე ხელ-აღებული თუ გაჰყავდა ამ დროს მგზავრობას. მართლაც თავზე ხელ-აღებული არავინ გამოჩნდა, მიტრუას გარდა, რომელიც შემოკალთავებულ ჩოხით დილა ადრიანად ორად მოხრილი გარბოდა კახეთის გზაზე. თით-

ქოს ამ გაბედულობით განრისხებული ქარი უფრო უმატებდა კვილს, უფრო სასტიკობას იჩენდა და მიტრუას მთლად მტვერში ახვევდა. მაგრამ მიტრუა არც კი ამჩნევდა ქარის სასტიკობას. მარტო გიჟის და ქერბალაის შეეპყრო მისი გონება. ამათ მეტზე ფიქრს ველარ ახერხებდა, და ველარც არას ამჩნევდა. დიდხუთშაბათი ქალაქში ძებნას მოანდომა. სანთლების ანთებისას ღუქანში მივიდა მთლად განადგურებული. გეომ შეჭხედა თუ არა, გაიკვირვა მიტრუას მდგომარეობა.

— კაცო, რა დაგმართნია?! — დაეკითხა თანაგრძნობით გეომ.

— ავადა ვარ!..

— ავადა ხარ და სადლა (დაიკარგე)?!

— ხომ არავის ვუკითხივარ? — თითქოს გეოს კითხვა არც კი გაუგიაო, დაეკითხა თავის მხრივ მიტრუა.

— არა.

— ალა, უნდა შინ დამითხოვო, ავადა ვარ!

— ამისთანა დროს, შვილო, მტერი

მტერს არ დაანებებს თავს და შენ ხომ...

— რავექნა, არ შემიძლიან, — სიტყვა გააწყვეტინა მიტრუამ და კედელს მიეყრდო.

გეო ცოტა ყოყმანის შემდეგ დასთანხმდა; აშკარად ატყობდა გეო, რომ მიტრუა არა სტყუოდა, რომ იგი თავის ქერქში არ იყო.

მიტრუა მაშინვე გამოტრიალდა და წელმოწყვეტილი ავლაბრისკენ წამოვიდა. იმ ღამეს ბაკებში იბორგა და დილით, ჯერ ისევ გაუთენებლივ გზა მონახა.

გაიარა თუ არა ორხვევი, მარჯვნივ გადაუხვია და უვზო-უკლოდ მიდიოდა იოანე ნათლისმცემლისაკენ. ხვევი, ღრე და კლდე ისე გაიარა, რომ დაღლილობა არ უგვრძნია. მხოლოდ მაშინ მოეკვეთა მუხლები, როდესაც იმ ხევთან მივიდა, რომელიც სენაკის გზას შეადგენდა. აქ კი შედგა, მუხლები აუთრთოლდა და ჩაიკეცა. გულმაც მედგრად დაუწყო ძგერა. უნებურად თვალები მიელულა, ტანი მოუდუნდა და კლდის ძირს მიესვენა.

ქარი კი გმინავდა, ხარხარობდა, სტიროდა. ის ერთი სენაკიდან წივილ-კივი-

ლით და გმინვით გამოჰქროდა და მეორეში გრიალი შეჰქონდა; კლდის ერთი კალთიდან მეორეზე გადაბოდა და ბოლოს ვაი-ვაგლახით ხევში ჩამოჰქროდა.


მიტრუა შეძრწუნდა ამ გმინვით. სწრაფად წამოხტა და ბილიკისკენ გაემართა. წამს გაიფიქრა: „იქნება ქერბალაიმ ვერ იპოვა გიული, ისევ აქ არის და ეს ვაი-ვაგლახი ჰკუიდან შეჰშლისო“.

შეუხვია თუ არა კლდის ფრთას, მიტრუა გაშეშდა. იმის წინ ჩასისხლიანებული გიული გულ-აღმა ეგდო, რომლის კაბას და თმას ქარი უწყალოდ აფრიალებდა, და იმის გვერდით კი თვალეზად მოკარკლული, სახე აღეწილი ქერბალაის გვამი ეგდო, რომელსაც შიგ გულში ხანჯალი ჰქონდა გატარებული.

— გიული, გიული!.. — დაიკივლა მიტრუამ და მაგრად მოხვია ხელები გაცივებულს გიულის გვამს.

— ხაახახახახა!.. — დაჰხარხარა მიტრუას პასუხად ზევით, მთის წვერებიდან ქარმა და შემდეგ გაჰსწივლა, რაც შორს, შორს კვნესად შეიცვალა..

1899 წ.



„ბაღდი ეოფილხარ!“

(ეპოუდი.)

I

სასიამოვნო სჯა-ბაასისა და ნარდის
თამაშის შემდეგ ვახშმად მიგვიწვიეს მე
და არჩილი. შევედით სასადილო ოთახ-
ში, და კოპწია დიასახლისს კოპწიადვე
გაეწყო მაგიდა. სიმდიდრით ვერ გაგაკვირ-
ვებდათ, მაგრამ სიფაქიზით—კი. ყოვე-
ლისფერს დიასახლისის მშვენიერი ხელი
ეტყობოდა...

— ცოტაზედ კი ნურას უკაცრავად!—
ღიმილით წამოიძახა დიასახლისმა და გვი-
ჩვენა, ვინ სად უნდა დავმსხდარიყავით.

— რას მიბძანებთ, ბატონო. ჩვენთან...

— ელო, ამხანაგები არიან ჩემი! ამათ-
თან ბოდიშს არ მოვიხდი. არჩილი ხომ
წინადა ეოფილა ჩვენსა. ეს ხამი არ არის
და ელიზბარცი, იმედია, დღეის შემდეგ
ხშირად გვეწვევა...

— მეც ელისბარის წინაშე ვიხდი ბო-
დიშს. ძლივას გავაბედვინეთ მოსვლა, და
ეხლაც ესეთ მცირედ ვახშამზე. მგონი,
დღეის შემდეგ სულ ამოიკვეთოს ფეხი!

— გინდათ, ქალბატონო, ვახშამი შეგი-
ქოთ, მაგრამ არა. მაგი ისეთი მოუხეშა-
ვია, რომ ქათინაურს ვერ მოახერხებს...
ქართლელია მაგი!..

— თუ მე მკიცხავ, ჩემო არჩილ, ე
მასპინძლებმა რაღა დაგიშავეს?! ესენიც
ხომ ქართლელები არიან!— ვუპასუხე არ-
ჩილს ღიჰილით.

— კარგია, ეგ მაინც მოახერხე. ესენი
კორტოხის ახლო არიან და სხივი ზრდი-
ლობისა...

— თუ ეშმაკობისა?!.

— სხივი ზრდილობისა-მეთქი,—მედი-
დურის კილოთი განაგრძო არჩილმა,—
კორტოხის მახლო მცხოვრებთაც ეფი-
ნებათ... მგონი, — მიუბრუნდა დიასახ-
ლისს,—თქვენი მამა-პაპა კორტოხის იქი-
დან არიან გადმოსულნი!

— მამა-პაპისგან ეგ მე არ გამიგონია, —
ღიმილით უპასუხა დიასახლისმა.

— როგორ არა, თქვენი გვარი იმერეთისაა.—დაუინებით დაუწყო დავა არჩილმა.

— კარგი, მაგრე იყოს!—უპასუხა დიასახლისმა...

მე აღარა მითქვამს-რა. მხოლოდ დიასახლისს უჩინრად ვადევნებდი თვალ-ყურს და შევნატროდი გივის, რომ ასეთი მეუღლე შეეძინა. ყოველს იმის მიხვრა-მოხვრას, მოქრაობას, სიტყვას ემჩნეოდა გრძნობა, გრძნობა და გრძნობა. „ძალაუნებურად, ვფიქრობდი, ძალიან სასოწარკვეთილიც რომ იყვეს გივი, უნდა გამოირკვას და ცხოვრებას სიამოვნებით მიეგებოს, როდესაც ამას დაინახავს“.

დიასახლისი ჩემს გვერდით იჯდა, არჩილი იმის პირდაპირ, გივი კი არჩილის გვერდით ჩემს პირდაპირ. მაგიდის თავსა და ბოლოს ორი ხნიერი მანდილოსანი იჯდა. არ ვიცი, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდათ გივის ოჯახთან, მაგრამ მახლობლები კი უნდა ყოფილიყვნენ...

უბრალო ბაასით, დიასახლისის კეკლუცობით, გივის ღია გულით და მანდილოს-

ნების სიმუნჯით ყველას სადღეგრძელო გამოვათავით...

თამადად გივი იყო და ღვინოს, როგორც მასპინძელი, გვაძლებდა. ცოტა არ იყოს, გივის ღვინო გაუჯდა, აალა-პარაკა. არჩილი ხომ ჩვეულებრივად ორისამი ჭიქის შემდეგ აცუღლუტდა; თვალემა ეშმაკურად კრკალვა დაუწყო...

— მრავალ-ჟამიერ, მრავალ-ჟამიერ!.. ეს, მეგობრებო, გაუმარჯოს ჩვენს მოღვაწეებს!.. მრავალ-ჟამიერ, მრავალ-ჟამიერ... — წარმოსთქვა სადღეგრძელო ჩვენს მოღვაწეებისა და მრავალ-ჟამიერივითვე განაგრძო.

არჩილმა და გვიმ მეგობრულად ხელი გადაჰხვიეს ერთმანეთს და, ნაღვინეებს როგორც შეჰფეროდათ, ხმა შეათანხმეს. მეც, რაკი დიასახლისთან საბაასო მასალა შემომმელია, სელი ცოტა უკან გავაცურე, მის ზურგს მივესვენე და დაბალი, თითქმის შეუმჩნევი ბანი დავიწყე. ამავე დროს დიასახლისს თვალს არ ვაშორებდი. იგი ნიდაყვებზე დაყრდობილი დაბლა დაიციქირებოდა, და დრო გამოშვე-

ბით სახე ვნებით უთრთოდა, მთელი ტანი უხტოდა. დაბალ ბანს ვამბობდი, და დიასახლისის ამ გვარი დროგამოშვებითი ცვლილებით განცვიფრებაში მოვყვანდი.

გივი და არჩილი კი არ ისვენებდნენ. არჩილი ხმას ძალას ატანდა, ჯმუჯნიდა გივის დმ თითქმის ნახევრობამდის მაგიდის ქვეშ ჩაძვრა.

დიასახლისმა სავარძელი მაგიდასთან უფრო ახლოს მიითრია და შევამჩნიე დიასახლისიც ძირ-ძირს მიდიოდა. აღარა სცხრებიან გივი და არჩილი. სხვა-და სხვა სიმღერებს ამბობენ, -- „შაშვი — კაკაბი“, „ჩავუხდეთ, ჩავუხვდეთ“, „აღაზნის პირას“, და მრავალი სხვა სიმღერა ერთიმეორეს მოჰყვა...

სავარძელი უფრო განზე გავწიე, ამავე დროს ხელცახოცი იატაკზე დავაგდე.

არც არჩილს, და არც დიასახლისს ჩემი მოძრაობა არ შეუშინებიათ. ჩემში აღძრულმა ცნობის მოყვარეობამ მოსვენება აღარ მომცა. მინდოდა შემეტყო მაგიდის ქვეშ რა დრამა ხდებოდა; ისე კი,

რომ ჩემი ცნობის მოყვარეობა არ გამომ-
ქლავნებულყო.

ამისთვის დავაგდე ძირს ხელსახოცი და
ცერად გადავიხარე ხელსახოცისაკენ და
თან მაგიდის ქვეშ შევიხედე...

მთლად ავენთევი. გველ-ნაკბენისავით
უეცრივ წელში გავიმართე და, რომ სა-
ხის ცვლილება არავის შეემჩნია, ორივე
ხელები პირზე მივიფარე და ნიდაყვზე
დავეყრდე. ტანი შემისველდა, სუნთქვა,
ცოტა არ იყოს, გამიძნელდა.

აღარ მეყურებოდა არჩილისა და გივის
სიმღერა. თვალწინ მხოლოდ ორი წყვი-
ლი ერთმანეთში ჩახლაკნილი არჩილისა
და დიასახლისის ფეხი მითამაშებდა...

ამ სურათმა ჩემზე რად იმოქმედა ასე?!
არ ვიცი. ეხლაც ვერ გამომიჩვენებია. ის
მეწყინა, რომ არჩილს მეგობრულად გი-
ვისთვის ხელი გადაეხვია და ამავე დროს
კი იმის მეუღლეს ფეხებით ეარშიყებოდა,
თუ...

მაგრამ ამის გამოჩვენება შორს წაგვი-
ყვანს.

ერთს წამს დავაპირე წამოვდგომოდი,

მიმეფურთხა არჩილისთვის. მაგრამ თავი შევიმაგრე...+

— ჰუუუ! — ჩემს უნებურად მაგრად ამოვისუნთქე, ჭიქა წყალით ავავე და ხარბად მოვეწაფე.

— ღვინო მიირთვით, წყალს რად მიირთმევთ. — პირველად გავიგონე მაგიდის ბოლოს მჯდომ მანდილოსნის ხმა.

არ ვიცი, რამ აიძულა მანდილოსანი დაერღვია თავისი გულმოდგინე სიჩუმე. იქნება ჩემი აღელვების უნებური მოწამე იყო...

— რა ვქნა, ბატონო, თამადა ღვინოს აღარ გვასმევს და უიმისოდ კი წყლის მეტს ვერას გიახლებით. — ხმა-მალლა ვუპასუხე, რომ გივის გაცგო და სიმღერა შეეწყვიტა.

— უკაცრავად, ელიზბარ, უკაცრავად! მართლაც, სიმღერას აღარ ვპათავებთ და ღვინოს ველარა ვსვამთ. — გივი წამოდგა, ჭიქა ღვინით გაივსო და განაგრძო: — ყმაწვილებო, დავლიოთ ჩვენი ქალების სადღერგძელო. ვუსურვოთ მათ, მოიგონონ ჩვენი წარსული დედები და იმათსავით

პატიოსნურად ემსახურონ სამშობლოს და
თავიანთ ოჯახს!...

— კაცო, რატომ არ დაცოლწვილდე-
ბით?!—უეცრივ მოგვიბრუნდა მე და არ-
ჩილს: ვერ წარმოიდვენთ, ყმაწვილებო,
რა ბედნიერებაა დაცოლწვილიანება!..
ღმერთს გეფიცებით, — გულ-წრფელად
დაიფიცა და იმის უკანასკნელს სიტყვების
გაგონების დროს თავი დაბლა დავხარე, —
გამოცდილებით გეუბნებით!..

— ქალებიი... ოოო... მაინც ვსვამ
მათ სადღეგრძელოს! კარგები არიან!..
თვალთა ბზინვით დიასახლისს გადაჰხედა
და სწრაფ ჭიქა გამოსცალა არჩილმა...

II

ბარბაცით გავიარეთ რამდენიმე ქუჩა..
ქუჩები მიყრუებული იყო, მოძრაობა
სრულებით შეწყვეტილიყო. აქა-იქა ჩვენ-
სავით შეზარხოშებულნი ბარბაცით თუ
გვხდებოდნენ, თორემ სხვა კი არავინა.

მე და არჩილი გაჩუმებულები მივდიო-
დით. არ ვიცი ის რაზე ფიქრობდა და

მე კი გონებიდან რომანი მაგიდის ქვეშისა არ მშორდებოდა. რაც ორ წყვილს ჩახლაკნილს ფეხს თვალი მოვკარი, მინდოდა არჩილისათვის როგორმე მეგრძნობინებინა და გამეკიცხა ჯერ ვახშმის დროსვე, მაგრამ იქ ვერ მოვახერხე. ამისთვის ჯავრით ღვინოს ძალა დავატანე და კარგადაც შევზარხოშდი.

აი, ახლა რამოდენა ხანია მარტონი მოვდივართ, ყოველს ნაბიჯზე ვემზადები და ამ მზადებას ბოლო აღარ ეღირსა.

აგერ, გამოვიარეთ რამდენიმე მიხვეულ-მოხვეული ქუჩა და უმთავრეს ქუჩაზე გამოვედით, რომლიდანაც სხვა-და-სხვა ქუჩებით უნდა წავსულიყავით...

— აბა, ღამე-მშვიდობისა, ელიზბარ! — მითხრა და ხელი გამომიწოდა.

— არჩილ!.. — წამოვიღულულულე და ხელი მაგრა დავუჭირე.

— რა იყო, რატომ მაგრე ტრაგიკულად მომაპყარ თვალნი შენნი?!..

არჩილის ამგვარმა კილომ გაბედულობა მომიმატა და მკვახედ ვუთხარი:

— უნდა გრცხვენოდეს, რომ იმ კაცს

მეგობარს ეძახი, მეგობრულად ხელს ჰხვევ
და ამავე დროს კი იმის ცოლს ფეხებს
ფეხებში უხლართავ და ვნებით თრთი!..

— ხა, ხა, ხა, ხა!.. — ისე გულიანად,
მაგრად გადიხარხარა, რო ქუჩებმა ბანი
მისცა... — დაინახე?! — ხარხარითვე მკითხა
არჩილმა.

— კიდევაც ჰხარხარებ?! — განცვიფრე-
ბით დავეკითხე.

— ეჰ, ჩემო ელიზბარ, ბალლი ჰყო-
ფილხარ!.. — სიცილით მიპასუხა და საჩ-
ქაროდ თავის გზას გაუდგა.

— „ბალლი ყოფილხარ“! — მწარის ღი-
მილით გავიმეორე არჩილის სიტყვები და
თავის ქნევით სახლისკენ დასაძინებლად
წავედი.

1899 წ.

დიდი-დედა მარიაში და ხატაურა.

მოთხრობა.

I

—დიდი-დედა, ე ვერანა ხატაურა რას ჩამოგციებია? კი არ ამოგიქამოს?!—ლიმილით მიჰმართა ოცდა სამი, ოთხი წლის გლეხის ბიჭმა მოფუსფუსე დიდი-დედა მარიაშას და კატას დაუტია:

— აცხა, შე სამგლევე!—და აქეთ-იქით მიხედვის დროს რომ ვერა ნახა-რა სასროლოველად, ფეხები დაუბარტყუნა.

მაგრამ ხატაურა, თითქოს არა გაუგონია-რაო, უფრო გაეგლასუნა დიდი-დედა მარიაშის ძველს კაბას და კუდი შემოუქნია.

დიდი-დედა მარიაშა კი შესდგა, შეეშინდა გოგლას სიტყვებისა და გაშტერებით მზერა დაუწყო.

დიდი-დედა მარიაში აგერ ხუთი წელიწადია, რაც სრულებით მარტოკა დარჩა და ამის ქოხში იმისა და ხატურას მეტი აღარავინ ჰსუნთქავენ. გაბეზრებული ხატურას კნავილით ყოველ დღე ერთსა და იმავეს გაიძახის: „კატავ, დაჩუმდი, თორემ, დაგკარგავ“, მაგრამ მაინც ვერ დაკარგა...

— ბიჭო, რას ამბობ?... — შემკრთალი დაეკითხა დიდი-დედა მარიაში.

— ემაგრე დაჟინებით რომ შემოგკნავის, ამოგიჭამს—მარა?! ხესაც რომ შეჰკნაოდეს, გაახმობს, და შენ ხომ ადაშიანი ხარ. — რწმენით უთხრა გოგლამ და კატას კიდევ ფეხები დაუბარტყუნა.

კატა მაინც თავისას არ იშლიდა: კნაოდა და ხან კუდს გაუსვამდა მოხუცებულს ფეხებზე და ხან კიდევ თითონ გაეხახუნებოდა.

— ეს გულ მკვდარი, აგერ რამდენი ხანია მინდა დავკარგო და ვერ მომიხერხებია! — და ისე ძლიერად ჰკრა ფეხი, რომ კინაღამ თითონვე გაგორდა.

კატა კი რამდენჯერმე გადაკოტრიალ-

და და, როცა ფეხზე წამოდგა, ისე ლმობიერებით შეჰხედა მოხუცს, თითქოს ემუდარებოდა: „მითხარ, რა დაგიშავე, რომ მაგრე უდივრად მომექეციო?“ მაგრამ მოხუცმა ვერ ამოიკითხა იმის თვალეში კატის ეს კითხვა. ის უფრო განრისხდა კატის ამ საქციელით. წამს მოხუცმა თავის სულთა-მხუთავად იცნო და თვალის დაკვესებით სასტიკად დაუქსაქსაქა: „აცხა, შე სამგლევ!“

— ხატაურამ უფრო ლმობიერად მიაშტერა თავისი თვალეები მოხუცს და გულსაკლავად შეჰკნავლა.

მოხუცებულს გულს ლახვრად მოჰხვდა მისი კნავილი; ყველით სავსე თეფში, რომელიც ხელში ეჭირა, ესროლა და მიადახა: „შენი თავი ამოიჭამე, შე ვერანავ!“

კატა უეცრივ სადღაც გაჰქრა. დიდი-დედა მარიაშის ასეთი საქციელი გოგლას გაუკვირდა, და ამის ნიშნად კბილეები გამოეყარა. დიდი-დედამ კი, ცოტა მოფიქრების შემდეგ, ყველის ნაჭრები მიწურიატაკიდან აკრიფა, თეფშის სამტვრევე-

ბიც შეაგროვა. ცალს ხელში თევზის ნამ-
ტვრევები ეჭირა, მეორეში კიდევ ყველის
ნაჭრები. მივიდა განჯინასთან. განჯინის
თავზედ მდებარე თევზზე თევზის ნამ-
ტვრევები დააწყო; გამოტრიალდა, კარებ-
თან მივიდა და ყველის ნაჭრები გარედ
სტყორცნა.

გოგლა თვალ-ყურს ადევნებდა დიდი-
დედა მარიამის ჩუმს მოძრაობას და კბი-
ლებს უფრო გარედ ჰყრიდა. დიდი-დედა
მარიამი ჩუმადვე სახე შექმუხვნივთ გატრი-
ალდა კარებიდან განჯინისკენ, ორი პუ-
რი და თევზი გოგლას წინ გაშლილ-
ლურჯ სუფრაზე დააწყო და პირდაპირ
ჩამოუჯდა.

— ჭამე, შვილო, ნამგზავრი ხარ და
გზად მისდიხარ, მოგშიოდა! — ტკბილად
მიჰმართა დიდი-დედა მარიამამ და, პირ-
ჯვრის გადაწერის შემდეგ, პური გასტეხა

გოგლა უეცრივ წამოდგა, შეკავებულ
სიცილით სწრაფად უთხრა:

— ცოტა მოიცა, დიდიდედ, ეხლავე
მოვალ! — და ფრუტუნით სწრაფად გარედ
გავარდა...

გოგლას ძალიან უყვარდა დიდი-დე-
და; ჩამოვლაზედ თუ ავლაზედ უეჭველად
შევიდოდა ხოლმე, რაც უნდა ჰქარებო-
და. ბევრჯელ, ქალაქისაკენ გასასყიდად
შეშა რომ მიჰქონდა თავის სოფლებ-
თან ერთად, ყოველთვის შეირბენდა დი-
დი-დედა მარიამთან და ერთი-ორი წუ-
თით მაინც მიესალმებოდა და კალათით
რამე ხილს, ან კიდევ სხვა რამე სანო-
ვაგეს, მიუტანდა. ამოვლით კიდევ კალა-
თის წასაღებად შევიდოდა და უფრო
დიდის ხნობით დიდი-დედასთან ერთად
პურსა სჭამდა. პურს, ყველს და, თუ კი-
დევ რამ ჰქონდა მოხუცებულს, ყველა-
ფერს წინ გადუშლიდა. გოგლა კი უეჭ-
ველად ნახევარს ჩარეკა ღვინოს მოიტან-
და ღუქნიდან და ტკბილად, სიამოვნებით
შეექცეოდნენ მწირ სადილს, და იმის
თანამგზავრნი კი ღუქანში ყელთამდის
იჭყიპებოდნენ.

გოგლას უფრო მეტად შეუყვარდა
დიდი-დედა მარიამი, როდესაც იმან უკა-
ნასკნელი შვილის-შვილი დამარხა და
სრულებით მარტოდ-მარტო დარჩა. მაშინ

სულ თვრამეტის წლისა იყო. დასაფლავებ-
 ზაზე დაესწრო თავის დედით და დედას
 კიდევაც უთხრა: „დედი, ეხლა დიდი-დედა
 მარტო დარჩა... ჩვენ აქ დავრჩეთ, ან არა
 და ჩვენთან წავიყვანოთო“, მაგრამ დედა
 დარჩენაზე არ დასთანხმდა და დიდი-დე-
 და კიდევ—წასვლას. როდესაც გოგლამ
 თავის განზრახვა უთხრა დიდი-დედას,
 იმან გარდაწყვეტით უპასუხა: „არა, შვი-
 ლო, სირცხვილია ჩემი ქმრის კერა გავა-
 ციოვოო“, და როდესაც ამის საწინააღმ-
 დეგოდ გოგლამ უპასუხა: „როცა მოჰ-
 კვდები, მაშინ ხომ გაცივდებაო“, დიდი-
 დედა მარიაშმა სწრაფად სიტყვა მოუჭრა:
 „შვილო, მე ჩემს მოვალეობას შევასრუ-
 ლებ და ჩემ შემდეგ რაც მოხდება, ეგ მე
 აღარ შეკითხებაო!“

ამის შემდეგ გოგლამ ხმა აღარ ამოი-
 ლო და დედით თავის სოფლისკენ გაემ-
 გზავრა...

აგერ ხუთი წელიწადი გავიდა ამის შემ-
 დეგ და გოგლას სიყვარული დიდი-დე-
 დისადმი უფრო ცხოველდებოდა, თორემ
 კი არ აკლდებოდა.

თითქმის ყოველგვარი სანოვაგე მოკ-
ქონდა გოგლას დიდიდედა მარიამისთვის,
თუმცა იმას რამდენიმე გროში ებადა და
სიმშლით არ მოკვდებოდა. „ენაცვალოს
დიდი-დედა გოგლას, ჩემი მანუგეშებე-
ლი ვე არისო“! — თითქმის ყოველ დღე
ამბობდა და ღმერთს ევედრებოდა, რომ
გოგლას დღეგრძელობა მიჰჩინებოდა...

გოგლა ჩქარა დაბრუნდა. შემოიტანა
თან ხელადით ღვინო და ქალაქში გახ-
ვეული ყველის, დოშის და ზურგიელის
ნაჭრები და სუფრაზე დააღაგა.

დიდი-დედა მარიამი გოგლას მოსვლი-
სას ისევ-ისევ იჯდა, როგოსც წასვლისას,
და გადატეხილი პური ისევ ხელში ეჭი-
რა ..

— შვილო, ყველი რაღად გინდოდა,
აი, აქ არ არის?! — სთქვა დიდი-დედამ
და თეფშის ნამტვრევებს ხელი წაავლო,
მაგრამ შეკრთა.

გოგლამ ხარხარი დაიწყო. ცოტა გან-
ცვიფრების შემდეგ იმანაც ხარხარი დაი-
წყო, რაკი თავის შეცდომა მოაგონდა...

— უი, მოგიკვდეს, შვილო, დიდი-დე-

და, თეფშის ნამტვრევები მომიტანია!..
სიცილით იმეორებდა მოხუცი, ი წყეულ-
მა კატამ...

— მიაუყუ!.. — კარებს უკანიდან გამოჰ-
კნავლა ხატაურამ და წყვილი თვალი შეა-
ბრიალა.

სწრაფად შეეცვალა დიდი-დედა მარი-
ამს სახის გამომეტყველება. ხარხარი უეც-
რივ შესწყვიტა, რამაც გოგლასაც შეა-
წყვეტინა, და წამს კანკალმა აიტანა...

— დიდი-დედ, მა კატას ყელზე ქვას
შევაბამდი, შენი რო ვიყო, და წყალში
გადავაგდებდი. რა, შენი ქირიმე, მდინა-
რე აქ არ არის! ერთს მხარეს არაგვი ჩა-
მოგიდის და მეორეს კიდევ მტკვარი. რო-
მელშიაც გინდა გადააგდო, ორივე და-
აღრჩობს.

— გოგლა, რას ამბობ?! — განცვიფრე-
ბით დაეკითხა დიდი-დედა.

— შენ რომ ამოგიქამოს, კარგი იქმნე-
ბა?! — უთხრა გოგლამ და ერთი კაი ლუკ-
მა პირში ჩაიდო.

კატა ამ დროს კარების უკანიდან გამო-
ვიდა და ზმორებით და კნავილით თან-

და-თან უახლოვდებოდა დიდი-დედა მარია-
ამს, რომელიც გაშტერებით თვალ-ყურს
ადევნებდა და ყოველი კატის ნაბიჯი, მი-
სი ნაზი რხევა ეკლად ესმოდა გულს.

— აცხა!.. — უეცრივ იკივლა, ფეხიდან
ჩუსტი წაიძრო და ესროლა.

კატა უეცრივ გარედ გავარდა.

— არა, დიდი-დედო, შენ მაგრე ვერ
მოიშორებ. ისა სჯობია, ჩემი რჩევა მი-
იღო.

— რას ამბობ შეილო, საიქიოს ამ ჯა-
ნის პატრონს სად შემიძლიან ცხრა საყ-
დარი ავაშენო? *)

— თუ შენ გეშინიან, მე მომანდე.

— შეილო, რას ამბობ, ხომ მე მოგან-
დობ და მაინც მე მომეკითხება მაგის
სიკვდილი.

— ეხლა რაც გინდა, ის ჩაიდინე! ე
ხატაურა კი ისე შემოგკნავის, რო ამო-
გიჭამს.

*) არაგვის ხეობაში ხალხი იმ რწმენისაა, რომ
კატის მომკვლელს საიქიოს ცხრა საყდარს ააშე-
ნებინებენ მოსანანიებლად, და თუ ვერ ააშენა,
ჯოჯოხეთში თავდაყირა ჩაადგებენო.

— იცი, შვილო, რას გეტყვი, — ცოტა ჩაფიქრების შემდეგ მიჰმართა მოხუცმა: — მა კატას კალათაში ჩაგისვამ და პირს გადავაკრამ, თან წაიყვანე და ჭალაზე რო აიარო, გაუშვი. გაგარეულდება, საზრდოს თითონ იშოვის და მეც აღარ მომეკითხება.

— როგორც გინდა?..

— მიაუთუ!.. — კარის ზღურბლს ერთი ფეხი შემოდგა და ლმობიერად შემოიკნავლა.

კატა გონს ვერ მოსულიყო, თუ მისი მოხუცი პატრონი მაგრე არა-ჩვეულებრივ სასტიკად რად მოექცა. კატას გულის მეტი არა სტკენია რა მოხუცის გაჯავრებით და ამისთვის უფრო დაჟინებით დაუწყო მოხუცს კნავილი, რომ გაეგო რაიმე მიზეზი...

რაკი დიდი-დედა მარიამმა საშუალება მოიგონა თავის სულთა-მხუთავის დაკარგვისა, გამხიარულდა და მისი კნავილი აღარად მიიმჩნია. გამხიარულდა, კიდევაც მიეაღერსა ხატაურას და ჩვეულებრივ აღერსით სუფრაზე მიიპატიჟა:

— მოდი, ჩემო ფისო... ფისო... ჩემო!..

კატა მთლად დადნა, რომ თავის პატრონის ალერსიანი ხმა კვლავ გაიგონა. და გრეხა-კლაკვნით და კნავილით მაუახლოვდა თავის მფარველს, თუმცა მისი თვალები უკვე უნდობლად იყურებოდნენ...

როცა იატაკზე დოშის ნაჭერი გადმოვარდა, მაშინ ხატაურა მთლად გამხიარულდა და კრუტუნით ჭამას შეუდგა...

გამხიარულდა დიდი დედაც. გოგლამ და იმან თანაბრად გამოსცალეს ხელადა. ორივე შეჭიკჭიკდა. ხატაურაც ხანდისხან უერთებდა თავის კნავილს მათ ჭიკჭიკს. ეკლად აღარ ესმოდა ხატაურას კნავილი. დარწმუნებული იყო, რომ მოიშორებს თავის სულთამხუთავს მწვადისა და შამფურის დაუწველად ..

— გოგლა, ჩემი სული და ეს კატა! — თითქმის მუჭაში სული ჩაუბერა, როდესაც პირგადაკრული კალათა სადილ შემდეგ ხელში მისცა და გამომშვიდობებისას ჩაკოცნა: — ჭალაში გაუშვი!

— ნურა გეფიქრება-რა, დიდი-დე-
დო! — ლიმილით უთხრა გოგლამ და სახ-
რეს ხელი წამოავლო.

დიდი-დედა მარიამმა, როცა გოგლა
გარედ გავიდა, დაბნევით აქეთ-იქით მი-
იხედა, მიათვალ-მოათვალიერა და ტახტ-
ზე მუთაქა გაასწორა. ჩქარა გულიანი
ხვრინვა ამოუშვა.

II

მზე კარგად გადახრილიყო, როცა დი-
დი-დედას გამოეღვიძა. გამოღვიძებისას
რამდენჯერმე დაამთქნარა, ყოველ დამ-
თქნარებისას პირჯვარი გადიწერა და ბო-
ლოს წამოილაპარაკა:

— ქა, ი პირ შავმა, რანაირად გამო-
მათრო?!

გადმოცურდა ტახტიდან, ლიტრიდან
ცალ მუჭზე წყალი დაისხა და ჩამომხმარს
ლოყებზე შეიშხაპუნა...

მთელს საღამოს გარედ დადიოდა დი-
დი-დედა მარიამი. ხან ერთს მეზობლის
კარს მივიდა, ხან მეორისას; მაგრამ ერთი

წუთის მეტი არც ერთგან არ დამდგარა. მისალმებას ვერ მოასწრობდა, რომ მაშინვე წამოიძახებდა: — „უი, ქა, სახლი კარგამოკეტილი მაქვს!“ და გამოტრიალდებოდა; მივიდოდა თავის სახლში, მიიხედ-მოიხედავდა ეზოში, კარებს შეაღებდა, იქაც მიტრიალდ-მოტრიალდებოდა, თითქოს დაეძებს რასმეო, საჩქაროდ უკანვე გამობრუნდებოდა, გამოიკეტდა კარებს და ეზოში ქვაზე ჩამომჯდარი წამს მატყლის წინდების ქსოვას დაიწყებდა. არც ეს ართობდა დიდი დედა მარიაშას. საჩქაროდ წამოდგებოდა და ისევ მეზობლებისკენ გაემგზავრებოდა; თან აქეთ-იქით მოუსვენრად იხედებოდა...

დიდი ხანია ნახირი მოვიდა, ძროხები დასწველეს, დააბინავეს და თითქმის ბევრი კიდევაც დაწვა. სოფელში ხმაურობა მისწყდა და მხოლოდ ძალღი თუ-ღა წამოიყეფდა და ორი დიდი მდინარის განუწყვეტელს ერთს გვარს ხმაურობას ეუერთებდა, ან კიდევ ძუძუ-მწოვარა ბავშვი წამს დაიკივლებდა, დაიწყებდა ჩხავილს, რასაც აკვნის აჩქარებული რწევა და ქა-



ლის „სუუუ“ და „ნანა, ნაანაა“! მოს-
დევდა, თორემ სხვა არა არღვევდა-რა
სოფლის მყუდროებას...

დიდი-დედა მარიაში ჯერ ისევ თავის
ეზოში დაფრატუნებდა და ხან ერთს მხა-
რეს შესდგებოდა და სმენად გადაიქცეო-
და, თითქოს უნდოდა გაეგონა რამ, მაგ-
რამ, დრო გამოშვებითი ძაღლების ყეფი-
სა და ბავშვების ჩხავილის მეტი არა მოის-
მოდა რა; არაგვი და მტკვარი კიდევ
ერთმანერთს ეჯიბრებოდნენ...

„არა, არა!.. ღმერთო!.. არა, არა!“ —
ბუტბუტებდა მოხუცი და სულ ერთსა
და იმასვე გაიძახოდა, დაეძებდა რაღასაც
და თითონაც ვერ გაეგო—რას; ვერ გაე-
გო, თუ რა უნდოდა. ძაღლი დაიყეფებ-
და, თუ ბავშვი დაიჩხავლებდა, ყველაზე
„არას“ ამბობდი; არაგვის ღრიალს ხომ
აღარც კი ამჩნევდა.

მოხუცი მოელოდა რილასიც გაგონე-
ბას, რაღაც ნაცნობი ხმისა. გული უკვნეს-
და, რომ არ ესმოდა, სახლშიაც ვეღარ
დგებოდა; რამდენჯერმე შეიკეტა კარი,
გაშლილ ლოგინში ჩაწვა, ერთი ორჯერ

კიდევაც გაიხადა ტანს, მაგრამ ისევ ჩაიცვა და გარედ გამივიდა. სახლში გული არ უდგებოდა; სუნთქვა ეხუთებოდა და არ ეძინებოდა; ეზოშიაც ასე მოუსვენრად დადიოდა და იმედი ჰქონდა დამშვიდებისა, მაგრამ აგერ მამალმაც იყივლა, რომ მაინც ვერა და ვერ დამშვიდდა. გული ისევ უკვნესდა. ისევ რიდასიც გაგონებას მოელოდა. რისას?..

რომ სცოდნოდა, ხომ ამდენს აღარ იწუხებდა, ან კიდევ სხვა რასმეს მოიფიქრებდა იმის შესახებ. ისა ჰკლავდა მოხუცს, რომ არ იცოდა, მისი გული მოუსვენრობდა, თორემ რომ ჰსცოდნოდა, რა უშავდა. ლოგინში მაინც ჩაწვებოდა და იქ იფიქრებდა, თორემ აგერ პირველმა მამალმაც იყივლა, და ეს კი ხან ეზოში და კიდევ ეზოს გარედ ფეხ აკრებიტ ქურდსავით ხან იქ გაჩერდებოდა და ხმაურობაზე ყურებს ჰსცქვეტს, და ხან კიდევ აქ...

— ღმერთო, *ხომ არ ვგოჟდები!..— სასოწარკვეთილებით წამოიძახა დიდი-დედა

შარიაშმა და იქვე ეზოს კარებთან დაი-
ჩოქა...

— მიაუუუ!.. — მაწანწალა კატამ იქვე
ეზოს გარეთ მოხუცის ხმაზე წაიკნავლა
და სწრაფ შესდგა.

— ჰაა?! — წამოიკივლა მოხუცმა და
ეზოს კარი კანკალით გააღო.

— ფისო, ფისო!.. — მაშინვე დაიწყო
ხმის კანკალით საყვარულით ძახილი მო-
ხუცმა და ხელებიც კი წაატანა კატას,
რომ აღტაცებით გულში ჩაეკრა. მაგრამ
კატამ ექვით შეხედა, წამს კუდი გააცან-
ცარა და ფიცხლივ გაჰკურცხლა.

მოხუცებულს მოსახვევნად გაწვდილი
ხელები ისე დაჰრჩა. გულის ჩქროლვა
სწრაფ შეუდგა. ეხლა აღარას ეძებდა;
მოუსვენრობა, თითქოს წისქვილის წყალი
გადაუგდესო, ჩამოეცალა. მიჰხვდა, რომ
ამოდენა მოუსვენრობა, ძებნა მხოლოდ
იმით იყო გამოწვეული, რომ თავის ხა-
ტაურას კნავილი აღარ მოესმოდა; მის-
წყდა მისი კნავილი...

ხუთი წლის განმავლობაში, რაც მარ-
ტოდ-მარტო დარჩა, მის სახლში მხოლოდ

კატის კნავილი, იმის ხატაურას კნავილი გაისმოდა; შეეჩვია იმის კნავილს, არად აგდებდა კნავილსა და მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ ხატაურას კნავილი იმისი სიკოცხლის ნაწილს შეადგენდა, რის დაკარგვაც მხოლოდ ეხლა ემწვავა. საგრძნობიერო გახდა...

ცხადად დაინახა მოხუცებულმა, რომ ვილაცის ქრელი კატა სიბნელეში ჩაინთქა, რომ იმისი ხატაურა, ყომრალი, გრძელ ბალნიანი არ იყო, და გაწვდილი ხელები ჩამოუცვივდა.

ბარბაცით თავის ქოხში შევიდა და კარი მიჯახუნებით ჩარაზა...

მოუსვენრობა, რომელიც ამ რამდენიმე წუთის წინ აღრჩობდა, სრულებით ჩამოეცალა, და მოქანცული თვალები სარკმელს მიაპყრო; ეგონა გარედგან სანუგეშო რამ შემოიქყეტდა, მაგრამ მის თვალებს სარკმლის მინების მაგივრად გამჭვარტლულ ქალღმერთების მეტი არა მოეჩვენა-რა. მიიხედმოიხედა და მღრჩოლავ ლამპრის შუქზე კვამლით შემჭვარტლული, ჟამთა ვითარებისაგან დაღმეჭილი, როგორც მისი სხეუ-

ლი, წაეჩხირა თვალებში. სუყველა: კედლებიც და ოთახის მორთულობაც, თუკი მორთულობას შეადგენდა ტახტი და განჯინა, ისევ ძველებურად გამოიციქრებოდნენ და კი არას ამბობდნენ. ბევრს რამეს ეუბნებოდნენ მოხუცს, მაგრამ უსიტყვოდ, მუნჯად; ხმას არც ერთი მათგანი არ იღებდა.

უეცრივ სიჩუმემ ყურებში ჩასჩურჩულა და სხეულის ყოველს ნაწილში გაურბინა.

მოხუცებული შეჟრჟოლდა, შეეშინდა მარტოობისა და მუხლ-მოდრეკილი ხმა-მალლივ ღმერთს შეევედრა: „თაგვები მაინც აამოძრავეო“, რომ თავის ხნით ქობი აეხმაურებინა და ყურები სცქვიტა, თითქოს თავის ვედრების შესრულებას მოელოდა; მაგრამ ხატაურას კნავილით გაფანტული თაგვები მაგრე სწრაფად არ დაუბრუნდებოდნენ...

ისევ სიჩუმე გამოეხმაურა. კიდევ გაჟრჟოლდა, საჩქაროდ ლოგინში თრთოლით ჩაწვა, საბანი თავ-პირზე წაიხურა და თვალებზე, ყურებში ცერების დაცმით, თითები მიიკირა. ჰფიქრობდა, ამ

საშუალებით გავდევნი სიჩუმესაო, მაგრამ ცერა თითების ქვეშ, ყურის სიღრმეში უჩურჩულებდა, თითქოს უეცრივ დაცმით იქ ჩაჯუჭკვილიყო სიჩუმე. მაგრამ ამავე დროს თვალზე წინ წყვდიადით მოცული სივრცე გადექიმა, რომელშიაც მბრქყვიანი წერტილები გზა-დაბნეულსავით დასრიალობდნენ, დაცურავდნენ. მოხუცს ბრქყვიალა წერტილების სრიალ-ცურვა თითქოს მოეწონა, რომ ყურებიდან ცერა-თითები გამოიძრო, რის შემდეგ შუილი დაუწყო ყურებში, თითქოს მდინარე შუისო, და თვალებიდან კი თითები არ მოიშორა...

წამს გაიტაცა ამ წერტილების მოძრაობამ და სრულებით აღარა ეყურება-რა. ჰხედავს მოხუცი, როგორ ამოჩნდება წერტილი სადღაც შორს, ჯერ ოდნავ გაარღვევს თავის მბჟუტავი შუქით წყვდიადს, ჩქარა სხვა წერტილებსავით დაიწყებს ბრქყვიალს; ჯერ ოდნავ ამოძრავდება, ოდნავ მოცურავს, არღვევს წყვდიადს, გზაში მაგრევე ამოძრავებული წერტილი ჰხვდება, ნელად, უჩუმრად წყვილდებიან, უჩინრად-

ვე ერთდებიან; მოხუცი გაფაციცებით აღევ-
ნებს თვალ-ყურს; ეხლა შუილიც კი აღარ
ესმის. მხოლოდ ამ სურათმა ჩანთქა მისი
გონება. წერტილი თან-და-თან უმატებს
სიჩქარეს. მოხუცი ხან ზევით სწევს თავს
და ხან ქვევით, იმის მიხედვით, თუ ბრქვეია-
ლა წერტილი ქვევით მიცურავს, თუ ზე-
ვით. წერტილი უეცრივ, ელვაზედ უმაღლ
უეცრივ მოსწყდებოდა, გასრილდებოდა და
ისევ უეცრივ შესდგებოდა იქ, სადაც მრავალი
იმისთანა წერტილები ჯგუფად ოდ-
ნავის მოძრაობით ირეოდნენ. აქ კი მო-
ხუცი სხვა წერტილებში ვეღარ არჩევდა
ახლად შეერთებულს.

მოხუცებულისთვის რომ ამ წამს თვა-
ლი გედევნებინათ, უეჭველად შეამჩნევ-
დით, თუ იგი როგორ უძრავად იწვა;
თითქმის სუნთქვასაც ვერ შეამჩნევდით;
მხოლოდ იმის შუბლის წარბებიდგან და-
წყობილი კუნთების მოძრაობით-და იგრ-
ძნობდით, რომ იგი ცოცხალია. წერტი-
ლის მოძრაობას ასდევდნენ მისი შუბლის
კუნთების მოძრაობაც. კუნთებიც აგრედ-
ვე სწრაფად, როგორც წერტილები, ხან

ზევით აიჭმუქნებოდნენ და ხან კიდევ ქვევით...

როცა ერთს წერტილს მიიყვანდა საზოგადო ბანაკამდის და აპრევდა ბანაკში მოძრავ წერტილებში, ახლა სხვა წერტილი აბეუტდებოდა, იმასაც კიდევ მიიყვანდა ან ზევით, ან კიდევ ქვევით ბანაკში და ხელ-მეორედ დაუწყებდა ახლად აბეუტებულს წერტილს დევნას.

აგერ სადღაც, შორს წყვდიადის კიდეს, ოდნავ აბეუტდა წერტილი. სწრაფ მისი თვალის მხვედელობა იმ წერტილს ჩააშტერდა. ამოძრავდა სხვა წერტილებსავეით. შორი გზა ჰქონდა ამ წერტილს ბანაკამდის, გზა და გზა ბევრი სხვა წერტილები აბეუტდნენ, უერთებოდნენ; დიდდებოდა. თან და თან წერტილის სახე დაჰკარგავდა ბრჭყვიალა ბურთს დაემსგავსა. მოძრაობა მაინც არ მოჰმატებია. ბურთი სხვა წერტილებს შეჰხვდა, გაგრძელდა, ყურებსავეითაც მიასხდა წერტილები; იმან სახე იცვალა და... ღმერთო, ეს რა არის?! მოხუცებულმა სული გაკმინდა, სუნთქვა შეიყენა. ეშინოდა, ოდნავის მოძრაობი-

თაც არ შეეჩერებინა ამ სანახავის თანდა-
თანობითი ცვლილება...

მმოძრავი წერტილები თავისას არ იშ-
ლიდნენ, სწრაფად უერთებოდნენ ერთმა-
ნეთს და... ღმერთო, ღმერთო, ეს ხომ
ხატაურაა?! აგერ, არც კი მოცურავს!..
მოდის თავისებურად: ზნექით და კუდის
ქნევით... სიარულს აუჩქარა, პირიც დაალო-
უნდა დაიკნავლოს... ბალანი აიბურძვინა,
თვალები უფრო დააქყიტა და მოსწყდა
ადგილიდან... წერტილებსავით ისაც უეც-
რივ ისარსავით გამოსრიალდა და პირ-
დაპირ თავპირში შეებნა...

— ღმერთო, ღმერთო!.. — მადლობა
შესწირა ლოგინში წამომჯდარმა მოხუც-
მა, რომ მშვიდობით გადაჰრჩა და სული
არ ამოჰხდა.

გული ჯერ ისევ აჩქარებით უცემდა.
თვალი მიაველ-მოავლო გარეშემოს და
ისევ ის სურათი წარმოუდგა მღრჩოლავ
ლამპრის შუქზე...

— იმ პირ-შავმა, როგორ გამაბრიყ-
ვა, — წაიბუტბუტა ცოტა ჩაფიქრების შემ-
დგე, კატა რაზე დამალუპვინა?! — და საც-

ვლების ამარა გარედ გავიდა. ოთახში გული აღარ უდგებოდა...

ალიონს უკვე ისარი ეკრა ცისათვის. მედიდური მთები მედგრად გამოკვეთილიყვნენ და, თითქოს ქვეყანას მედგრად ამცნევდნენ: „ჩვენ... ჩვენ არა შეგვაშინებს-რა; ბევრი ქარ-ბუქი დაგვტეხია თავს. აი, ეს არაგვი და მტკვარი ხომ დღე-მუდამ დაგვჩხავიან და ნელ-ნელა ცდილობენ ძირი გამოგვითხარონ, მაგრამ ვერა და ვერ, ვერას დაგვაკლებენ; ჩვენ ვიცნობთ ჩვენს ფესვებს; წარღვნაც რომ მოვიდეს და ჩვენ წაგვლეკოს, ჩვენი ფესვები მაინც, აღრე თუ გვიან, აღმოაცენენ ჩვენს მგზავსსო!..“

მოხუცებულმა მიიარ-მოიარა ეზოს, რამდენჯერმე ყურები სცქვიტა. მაგრამ სასურველი ხმა ვერ გაიგონა; კარებთან მოწყვეტით ჩაიჩოქა და მხურვალედ შეევედრა ღმერთს, რომ დაემშვიდებინა. წამს კიდევაც უნდოდა წმინდა სანთლები წაელო და საყდრის კარებთან აენტო, მაგრამ სახლში შესვლისა ეშინოდა, ისევ აქ ღოცვა ირჩივა.

მხურვალე ლოცვის შემდეგ გადასწყვიტა: „ხვალ გამრავლებულ ოჯახს ვსთხოვ, ერთი ხმის გამცემი პატარა ბავშვი ჩემსას დააწვინოს. ხომ კატა თავის კნავილით და კრუტუნით მამხნევებდა და ასეთი გამოყრუება, მარტოობა არ მიგვრძნია, როგორც დღესაო“ და თითქმის სულ დამშვიდებული, თუმცა სახლში შესვლა კიდევ ვერ შეებდა, კარებთან ჩაჯდა, თავი ზღურბლზე მიდო და მოქანცულს საჩქაროდ თვალები მიელოლა...

მოხუცებულის გახურებულს სხეულს განთიადის გრილზე უფრო ცივი ნიავე წყლოულის გამომშვევებ ნესტრად მოჰხვდა და სულ მიბნინდა, სასიამოვნოდ მოაუძლოურა და მიაძინა. იმის მოფიქრებაც აღარ დააცადა, რომ იგი საცვლების ამარა იყო, და განთიადს რომ თავისი სხივები მიეყენებინა, ყველა გამვლელ-გამომვლელი დაინახავდა.

III

დიდი-დედა მარიაში წამოხტა. თვალე-

ანთებული შინ შევარდა, გაფაციცებით ტანისამოსის ჩაცმა დაიწყო და თან ბუტბუტებდა: „ღმერთო, ღმერთო, შენ მაპატიე!.. უნებური შემცოდავი გავხდი ამ სიბერის დროს!..“

როგორც იყო, კაბა ჩაიცვა, თავშალი მოიგდო და თავშალით და თავის ჯოხით კარი მაგრად გამოირაზა...

სოფელი ამოძრავებულ-ახმაურებულყო: იქ ხბო ბლანდა და ყელზე წაბმულს თოკს ებრძოდა, რომ კისერი გაენთავისუფლებინა, იმაზე არა ნაკლებად მბლანანა ძროხას, თავის მშობელს, ძუძუებში სძგერებოდა და თავი ცმუკვით ებრაგუნებინა დედის ცურისთვის; აქ კიდევ მოისმოდა კარის ჭრიალი, საწველის გამორეცხის ხმაურობა, მამლის რუკ-რუკი, დედლის კრიახი და ღორების თავის გოჭებით ღრუტუნ-ჭყვიტინი; აგერ, რამდენიმე მანდილოსანი და გოგოები მხარზედ კოკებით წყლისკენ მიდიან და წყნარად, ტკბილად მილაპარაკობენ; მენახირე, მეხბორეც ორიოდ გამხმარ პურით, გუდა წამო-

კიდებულები, ბრანძით შემოსილები სანახირე — სახბოროსკენ მიეშურებიან...

დიდი დედა მარიაჰს არა ეყურებოდა. თავისი ეზო გამოვლო თუ არა, წინ შეეფეთა ჩაფარი, რომელსაც წყლისკენ მიუდიოდა ორი ცხენი. სხვა დროს ყოველთვის ცნობილობდა ბოქაულის ცხენს, ჩაფარს, რომელიც ყოველთვის საღამს აძლავდა ხოლმე და კიდევაც ხუმრობით გამოელაპარაკებოდა.

ეხლა კი მოხუცებულმა ვერც კი შეამჩნივა ჩაფარი ბოქაულის ცხენით; არც იმის საღამზე გასცა პასუხი; არ შეუმჩნევია არც გზირი და მამასახლისი, რომლებიც ხელ-გადახვეულები სმისა და უძილობის გამო თვალეზ-ჩასისხლიანებულები შობარბაცობდნენ; არ შეუმჩნევია დიდი-დედა მარიაჰს არც მონაზონი, რომელიც ერთ მასწავლებელ ქალთან ერთად ყოველს ნაბიჯზე მოწიწებით პირჯვრისწერით მოდიოდნენ ცისკრის მოსასმენად; „გულ-წრფელია მათი მოწიწება და პირჯვრის წერა, თუ არა“? — ყოველთვის ეკითხებოდა თავის თავს დიდი-დედა მა-

რიაში, როდესაც მათ დაინახავდა, და ჩაფიქრდებოდა ხოლმე...

მაგრამ დღეს არავინ შეუმჩნევია, თუმცა ყველამ სალამი უძღვნა და ყველამ გაკვირვებით თვალი გააყოლა, რაკი სამაგიერო არ მიიღო. დიდი-დედა მარიამი კი გამალებით, რა სისწრაფითაც მოხუცებულებს შეუძლიანთ სიარული, და ჯოხის ბარტყუნით მიეშურებოდა და გონებიდან არ ჰშორდებოდა სიზმარში ნანახი სურათი. აგერ ეხლაც გონებაში გადაეშალა სიზმარში ნანახი სურათი: იგი არაგვის დიდ მორევის ძირას წაწოლილა, მისი ხატაურა ფეხებს ფარჩხავს, ოთხივე ფეხებით ყელს იკაწრავს, რომ ყელზე შემული ბაწარი მოიშოროს, მაგრამ ამოდ; ყოველივე ამის მოწმედ, მნახველად ეს არის; უნდა მიეშველოს, მაგრამ ხელეები, სხეული არ ემორჩილება...

— ღმერთო, ღმერთო, ნუ წამწყმედ!.. — პირჯვრის წერით წამოიძახა ეხლაც, როგორც პირველს გამოღვიძებაზე, და სიარულს უფრო აუჩქარა...

გასცდა დიდი-დედა მარიამი ბებრს,

ცხეს; სიარულს არ უკლებდა. შისი სურვილი იყო, ჩქარა გოგლა ენახა და თავისი ხატაურას ამბავი ეკითხა, რომ დარწმუნებულიყო, ყველაფერი შეეცყო...

სჯეროდა, რომ გოგლა იმის თხოვნას შეასრულებდა, მაგრამ ეს სიზმარი რაღა იყო?!

„ნუ თუ იმ პირ-შავმა ჩემი თხოვნა არ შეასრულა და დამლუპა!“ — ყოველს პირველს აზრს ეს საექვო კითხვა გაუელვებდა ხოლმე თავში, სხეული სულ ეწვოდა ამ კითხვაზე და სიარულს კიდევ უფრო უმატებდა.

ეხლა მისი სურვილი იყო, დროით ასულიყო გოგლასთან და ყოველიფერი გაეგო; სხვა აღარა ახსოვდა-რა. ერთს წამსაც არ მოჰგონებია თავისი სასოწარკვეთილება და შიში სიჩუმის წინაშე, თავისი მოუთმენლობა. ეხლა მხოლოდ საიქიო აშინებდა ხატაურას ხვედრის გამო...

კოდა-ხევს რომ მოუახლოვდა, გული ძელში მოებჯინა ჩქარი სიარულის გამო და სუნთქვის მოსაბრუნებლად იქავე ბო-

გირის ყურეს მიესვენა. მეტი მოძრაობა აღარ შეეძლო, ისე შეეხუთა სუნთქვა... სხვა დროს რომ აქ შემდგარიყო დიდი-დედა მარიაში, უეჭველად ყურადღებას მიაქცევდა არაგვის ხმაურობას, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავდა, დაინახავდა ზედაძნის მთას, ჯვარ-პატიოსანს, აუცილებლივ პირჯვარს გამოისახავდა და გულ - მხურვალედ შეავედრებდა თავისეულ სულს; მაგრამ ეხლა აღარას ამჩნევდა; თვალ-წინ მხოლოდ ყელზე ქვა-შებნული და ფეხებ მფარჩხავი ხატაურა უდგას და ტანში ჟრუანტელი უვლის..

აგერ, ამ წამსაც მის გონების თვალწინ გაიხლაკნა ხატაურა; მისი სხეულიც შეიკუმშა და მწვავედ...

— მიაუუუ! — ამ დროს შემოესმა ნაცნობი ხმა, ხატაურას კნავილი და სხეული მწვავედ კი არა, სიხარულით, სიამოვნებით გაეშალა და იქით გადიზნიქა, საიდანაც კნავილი მოესმა.

თავის თავს არ დაუჯერა დიდი-დედა მარიაშმა. იმის გონების თვალ-წინ კი არა, ნამდვილის თვალის წინ, ზგა-ტკეცილის

პირას ხატაურა, მისი ხატაურა, ზურგ აკუხული იდგა და კუდის ოდნავ ქნევით ლმობიერად შეჰსცქეროდა იმას...

— ფისო, ფისო!.. ჩემო მშვენიერო!..

— ალტაცებით გაიძახდა დიდი-დედა მარიამი და ორივე ხელებს წინ მოსახვევად იწვდიდა.

— მიაუუ, მიაუუ!.. — მოკრძალებით კნაოდა ხატაურა და მთელი სხეულის ხლაკვნით თან-და-თან ოდნავის მოძრაობით იწევდა ალგზნებულ დიდი-დედა მარიამისკენ, რომელსაც მთრთოლვარე მკლავები მისკენ გაეპყრო და მთრთოლვარედვე ოდნავის ნაბიჯით, რომ კატარ დაეფთხო, მისკენ მიდიოდა...

IV

დიდი-დედა მარიამი ისე მედიდურად მოდიოდა შინისკენ, რომ ჯოხსაც არ აბჯენდა. არც ჩვეულებრივ მუხლების დონებას ჰგრძნობდა. გაბრწყინვებულის სახით გამვლელ-გამომვლელს სალამს აძლევდა და თან ხატაურას გულში იკრავდა.

ხატაურაც ეხუტვოდა გულში და აღერ-
სით ხან კუდს გაუხახუნებდა პირზედ და
ხან კიდევ მთლად თავის თავს მოისრეს-
და იმის ჩამომხმარს ლოყებზე, ცხვირ-პირ-
ზე, შუბლზე. ხატაურას ამგვარი მოქმე-
დება სიხარულით ავსებდა მოხუცებულის
ჩამომხმარს სხეულს და, სიყვარულით აღ-
გზნებული, თითქოს თავის პირმშოს, გა-
გიჟებით ჰკოცნიდა ხატაურას...

კარი მხიარულად შეაღო და მაშინვე
განჯინიდგან გამოულაგა ნაქრები ყველის,
დოშის და ზურგიელისა..!

ხატაურა გაგიჟებით ეძგერა ნაქრებს
და ერთს მეორეზე ჰგლეჯავდა.

მოხუცებული კი აწვდიდა ნაქრებს და
თან მხიარულად ეჩურჩულებოდა?

— ჭამე, ჭამე, ჩემო ლამაზო, მშვენე-
რო, ჩემო მხსნელო, მოგშიოდა!.. ჰოო?!
ჰო, აი კიდევ, კიდევ ჭამე! რატომ აიღე
თავი მალლა?!. აღარ გინდა, ჩემო კეკ-
ლუცო?... ჰო, ჰო, ვიცი, რაც გინდა!

ამ სიტყვებით ჯამზე წყალი დაუსხა და
წინ დაუდგა.

— დალიე, მშვენეირო!.. აი, მოგიკ-

ვლეს დიდი-დედა, რომ ასე გაგწირა და მთელი დღე და ღამე მშიერ-მწყურვალნი დაგტოვა!..

კატამ კი ნაზად ცალი ფეხი ჯამის პირზე შესდგა და კუდის ოდნავის ქნევით წყალს ენით სლაპა დაუწყო. დრო გამოშვებით თავს მაღლა იღებდა, ოდნავ წაიფრუტუნებდა და ისევ წყალს დაუწყობდა სლაპას...

ამის შემდეგ ხატაურა და დიდი-დედა მარიაში განუშორებლები იყვნენ.. სადაც უნდა წასულიყო დიდი-დედა მარიაში, ხატაურა უეჭველად თან მიჰყვანდა. ბავშვსავე გულზე მიიკრავდა და ისე დაიარებოდა. ღამე კიდევ თავისთან იწვენდა. ეხლა სრულებით აღარ ეშინოდა მარტობისა, სიჩუმისა. თვალს გაახელდა თუ არა ღამე, ხატაურას ხრუტუნნი ესმოდა, სიჩუმე ყურში აღარ ეჩურჩულებოდა. გადაუსვამდა ხელს, აკოცებდა თავში, რის პასუხად ხატაურა უფრო წაიკრუტუნებდა, ზარმაცად ოდნავ გაიზმორებდა, და ორივენი ისევ ძილს აძლევდნენ თავს...
 ეხლა სოფელში დიდი-დედა მარიაშ

ვინც დაინახავდა, ყველა იმას გაიძახოდა: „აგერ, დიდი-დედა მარიაში თავის ხატაურათი მოდისო.“ ვინც ხატაურას ახსენებდა, უეჭველად დიდი-დედა მარიაშიც გაახსენდებოდა და, თუ დიდი-დედა მარიაშს ახსენებდნენ, ხატაურაც უეჭველად მის მკერდზე გამოეხატებოდათ, ისე შეეჩვივნენ სოფლელები ორივეს ერთად ყოფნას.

კვირა უქმე დღეს, წირვა-ლოცვის დროს, მისი მეზობლები საყდარში მიდიოდნენ, უფრო მოხუცებული მანდილოსნები, და ისაც მისდევდა იმათ; ყველანი საყდარში შედიოდნენ; ის კი საყდრის კარებთან ასანთით ყვითელს სანთელს აანთებდა და იქავე აკრავდა. წირვისა, თუ ლოცვის გამოსვლამდის, კარებთან იდგა და გულმხურვალედ ლოცულობდა; თან კიდევ ღმობიერად ხელს უსვამდა ხატაურას, რომელიც სიამოვნებით, თითქმის, სულ დნებოდა. ყველა ჰხედავდა, რომ დიდი-დედა მარიაში საყდარში ვერ შედის, მხოლოდ კარებთან დგება და იქ ლოცულობს; თან ხატაურას თავს არ ანებებს.

ამ გარემოებამ სოფელში კუდიანობის ხმა დაუგდო...

„რატომ საყდარში არ შედის, თუ კუდიანი არ არისო?!“ — იმეორებდნენ სოფლის დედაკაცები და, დრო გამოშვებით, მამა-კაცებიც. მოზარდნი ხომ იალბუზის მთებზედაც მიაქენებდნენ ხატაურაზე შემჯდარს დიდი დედა მარიაშს და მის დანახვაზე შორს გარბოდნენ: ეგონათ რაიმეს წასცხებდა და გააკუდიანებდა იმათაც.

მღვდელმაც კი მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება. მივიდა და შორიდან დაუწყო ლაპარაკი; მერე ხატაურაზე გადავიდა და უთხრა: „ვინც პირუტყვს მეტყველზე უმეტესს შეიყვარებს, იგი წასწყმდებისო, და რომ შენ წაწყმედის გზას დასდგომიხარ...“ — დაუმატა მოძღვარმა: „ამას ისაც ამტკიცებს, რათა შენ ეკკლესიაში შემოსვლა ველარ შემოგიბედნია“...

— მამაო, — გულ-უბრყვილოდ უპასუხა დიდი-დედა-მარიაშმა: — პირუტყვის შემოყვანა აღკრძალულია საყდარში და ამისთვის ვერ შემოვდივარ!

— განა არ შეგიძლიან კატა სახლში

დასტოვო და ისე მოხვიდე საყდარში სალოცავად?!

— არა, მამაო, მეშინიან არა მოუვიდეს-რა ჩემს ხატაურას!

ხატაურამ, თითქოს მადლობის გადახდის ნიშნად, თავისი ტუჩები შეახო მოხუცებულის ცხვირს და ღმობიერად შეჰკნავლა...

— შენ იცი, დიდი-დედა მარია! — ჩაფიქრებით უთხრა მოძღვარმა და ზურგი უბრუნა.

რა მოძღვარი? გოგლას ყურამდისაც კი მიაღწია ამ ხმებმა და გული შეეცვალა იმის შემდეგ, როდესაც, ამ ხმებით გაბრაზებულმა, ერთ ამოვლაზე დიდი-დედა მარიამთან შევიდა. ხატაურა დაინახა და ყელში სწვდა.

საბრალო ხატაურამ თვალები გადმოითეთრა და სხეული სულ დაირგვალა. დიდი-დედა მარიამმა თვალი მოჰკრა ამას, ისე გააფთრებით ჰსწვდა ყანყრაოში და ისეთის ხმით დაუკივლა: „გაუშვი, შე იუდის კერძო“, რომ სწრაფად ხატაურა გაანთავისუფლა და ხმის ამოუღებლივ,

წელ-მოწყვეტით გარედ გავიდა. ამის შემდეგ გოგლას აღარ გაუვლია დიდი-დედისკენ. ისე ერიდებოდა, როგორც ლომისის მონა ლორის ხორცს...

სოფელში სამეზობლოდ აღარავინ მიდიოდა დიდი-დედა მარიამთან, მოლოზნებმაც კი ზურგი უჩვენეს, თუმცა წინად ისინი მოვალედ სთვლიდნენ თავიანთ თავს წირვისა თუ ლოცვის შემდეგ ერთი წუთით მაინც შესულიყვნენ იმასთან.

როცა კი თითონ დიდი-დედა მარიამი თავის ხატაურით მივიდოდა მეზობლებთან და დაუწყებდა ლაპარაკს, თუმცა არ უნდოდათ პასუხის გაცემა, მიგრამ რას იქმოდნენ, რომ არ გამოჰლაპარაკებოდნენ, როდესაც ეშინოდათ იმისი.

მოწიწებით უპასუხებდნენ, თუმცა გულში ნატრობდნენ: „ერთი, ჩქარა გაგვშორდესო“, და ცდილობდნენ არ შემეჩნვეინებინათ ეს თავიანთი გულის პასუხი...

V

დიდ-მარხვის უკანასკნელ კვირისთვის

გადასწყვიტა ზიარება და ბზობიდან კიდევაც შეუდგა. რამდენიმე დღის წინად თავის ქალს—გოგლას დედას—მისწერა წერილი და ეხვეწებოდი: „ჩამოდი, შეილო, !თორემ წავწყმენდებიო“... მაგრამ ქალი არ მოუვიდა. მაინც დაიწყო მზადება. მთელ დიდ მარხვას წირვა-ლოცვა არ გამოუტოვებია, ყოველთვის დადიოდა წირვა-ლოცვაზე, მაგრამ სეთისკვრის აღება არ შეეძლო, რადგანაც თავის ხატურათი კარებქეში იდგა და შიგ არ შედიოდა. თავის ქალი მხოლოდ იმ განზრახვით, დაიბარა, რომ ხატურა მიეზარებინა და თითონ სხვებსავით საყდარში ეარნა...

ბზობა დღიდან მარხულობა დაიწყო. დიდ შაბათს უნდოდა ზიარება. მარხულობა ისე კი არა, როგორც დღეს ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი. გავძლებით ლობიოთი, ან სხვა რაიმე მცენარეულობით და ძლივას-ლა ვსუნთქავთ და ვიძახით: ვმარხულობთო, და, თუ ზომიერად ყველი, ან ერბოთი გაკეთებული საქმელი შესქამა მარხვის დროს, ვუკიჟინებთ (ჩვენ

სოფელზე ვამბობთ, თორემ ქალაქზე ამას არ ვიტყოდით)...

დიდი დედა მარიაშმა ნამდვილად მარხულობა დაიწყო. აჰკვეთა საკმელ-სასმელი, თუმცა კი ისევ თავისი ხატაურათი დადიოდა და საყდრის კარებქეში წირვალოცვის დროს გულ-მხურვალედ ლოცულობდა. ყოველ დღე იავის ქალს მოელოდა, რომ დროებით თავისი ხატაურა იმისთვის გარდაეცა და სხვებსავე წინ წამდგარიყო, მაგრამ იმისი ქალი არ მოდიოდა და დიდი-დედა მარიაში ისევ კარებქეში დაჩოქილი ღმერთს ავედრებდა თავის ცოდვილს სულს...

სოფლის ახალგაზდებმა და ხნიერებმაც კი სულ სხვანაირად მოისაზრეს. კუდიანობა ღამე ახლოვდებოდა და გადასწყვიტეს: ჭიაკოკონაზე გადახტომის შემდეგ დიდი-დედა მარიაშისთვის ეყარაულნათ და ენახათ, თუ ის კატაზე შემჯდარი იალბუზისკენ როგორ გაჰკურცხლავდა...

ჭიაკოკონა ღამეს სოფელი მთლად ცეცხლის ალმა მოიცვა; უცხოს, შორიდან მნახველს ეგონებოდა, მთელი სოფე-

ლი იწვისო, და სოფლიდან ამოხეთქილი ჟრიალ-ხივილი და კისკისი ხომ ცრემლებსაც გადმოაყრევინებდა და ათქმევინებდა: „საბრალონი, უეცარი უბედურების გამო ბევრი გაგიჟებულა და ამისთვის უგონოდ კისკისებსო“. მით უფრო იტყოდა ამას, რომ ხშირად კისკისში გაისმოდა სასოწარკვეთილი კივილი გასათხოვრად შეღერებულ ქალთა, რომელთაც ცეცხლზე გადალაჯებისა ჰრცხვენოდათ.

ტანისამოსის და თმის დამწვრის სუნი ტრიალებდა სოფელში, რადგანაც ბევრი გაძლიერებულს ცეცხლის აღში თუ ტყვიასავით ვერ გაეველებოდა თავის მოუხეშაობით და ცეცხლი წაეკიდებოდა, ან შიგ ჩავარდებოდა, მაყურებელთა ხარხარ-კისკისს ჰგვრიდა. ახალგაზდები ჟივილ-ხივილით იქით მირბოდნენ, სადაც უფრო ძლიერი ქიაკოკონა იყო...

დიდი-დედა მარიაშმა თავის ხატაურათი საღამოს ლოცვა მოისმინა და კარები შეიკეტა. სახლშიაც კიდევ ილოცა, თავის ხატაურას ასვა-აქამა და უსმელ-უჭმელობით გაყუნწებული, გასუსტებული

ტანისამოსიანად მიწვა, რომ ძვლები მო-
ესვენებინა. ჩქარა, სულ ჩქარა ღრმად
მიეძინა...

იმის ეზოში ცეცხლი არ ანთებულა. წი-
ნად, წინა წლებში მოვალედ სთვლიდა
თავის თავს ოდნავ მაინც აებუტებინა
თავის ეზოში ჩალა, რადგანაც კაჭექის
მომტანი არავინ ჰყვანდა და სხვა რამეს ვერც
იშოვიდა. დღეს-კი სულაც არ მოჰგონე-
ბია, ისე გამოშტერებული იყო წაწყმედ-
ცხონების აზრით და სიმშვილ-წყურვი-
ლითა.

მეზობლებმა-კი სულ სხვანაირად ახ-
სნეს ეს გარემოება. „ეშმაკის კერძია და,
აბა, როგორ აანთებდა თავის ეზოში ცეც-
ხლსაო?!“ — ბუტბუტებდნენ და, როცა
ექვსიოდე ახალგაზდა ქალი და ვაჟი ყა-
რაულობას დასთანხმდნენ, მხოლოდ მა-
შინ წავიდნენ და მოსვენებით დაიძინეს...

დარაჯებად სამი ვაჟი თავიანთ დე-
ბით იყო და ამისთვის ვერავინ ვერაფერს
იტყოდა. თამამად გაისტუმრეს მეზობლე-
ბი და თითონ-კი შეკავებულ ფრუტუნ-
სიცილით დიდი-დედა მარიამის სახლის

მოშორებით დარჩნენ, რომ ბუხრის თავი-კი დაენახათ.

შემთხვევით, თუ განზრახ, ან თუ განგეჴამ შეარჩია ესე, სამივე ვაჟს მათთან მყოფი ქალები უყვარდათ, მაგრამ თავი-ანთ დები-კი არა; დებს სოფელში სრულებით ყურადღებას არ აქცევენ და არც უყვართ, ისინი მეტ ბარგად ძიაჩნიათ და ცდილობენ, თავიდან ჩქარა მოიშორონ, როგორც ხორც-მეტნი. არა, სამივეს სატრფოები იქ იყვნენ; და არც ერთი ერთი-მეორეს არ შეეცილებოდა. სულ ნახევარ საათი არ გასულა, რომ შეკავებულ ფრუტუნ-სიცილით წყვილად დაიყვნენ, მაგრამ ისე-კი, რომ ვაჟი დას არ შეხვედრია და ქალი თავის ძმას. სამივე ვაჟს არც-კი ახსოვდა, თუ მისი და აქ იყო, და ქალებს კიდევ—თავიანთ ძმების არსებობა. სულ უნებურად, მოუფიქრებლივ სამივე წყვილი სიცილ-ფრუტუნითვე, — თუმცა ერთი წყვილის ლაპარაკი მეორეს და მესამეს არ ეყურებოდა, მაგრამ სამივე წყვილის საფრუტუნ-სასაცილო ერთი და იგივე იყო—დაჰშორდნენ ერთმანეთს

რამდენიმე ათეულ ნაბიჯის მანძილით და, თითქოს სამივე წყვალს პირობა ჰქონოდა, ერთ ღროს დასხდნენ და ვაჟებმა წამოიძახეს:

— აქედან კარგად ვადევნებთ თვალს!

— ჰო, აქედან კარგად ვადევნებთ თვალს! — უპასუხეს ქალებმა.

სამივე წყვილი დადუმდა; ხმას არ იღებს; სოფელი ხომ კარგა ხანია გაჩუმდა და მხოლოდ მის არსებობას ცაში ნატისუსლის სუნის ტრიალი-ლა ამხელდა. მდინარეები ხომ თავიანთ ჩვეულებრივ მუდმივ ძილის-პირს მოსთქვამდნენ...

— უთუოდ ბუხრიდან ამოძვრება — ჩახველებით წამოიძახეს ვაჟებმა.

— იქნება კარებიდან გამოვიდეს! — უპასუხეს ქალებმა.

— ჰხუ! — ჩაახველეს ვაჟებმა.

ჰუხ! — ჩაახველეს ქალებმაც.

განვლო რამდენმამე საათმა და სამივე წყვილი გაჩუმებულები ისხდნენ. მხოლოდ ღრო-გამოშვებით მხრების უმუშვნა და ოდნავ წაფშმუილება თუ გამცნობდნენ, რომ იგინი ფხიზლობდნენ, თორემ სხვა

არაფერი. მხრების ჩეჩით და ტუჩების
 ოდნავის გაბობით ქურდულად შეჰხედავ-
 დნენ ვაჟები თავიანთ სატრფოებს; ქალები-
 კი — ამის დამნახველნი — ჩაჰლუნავდნენ
 თავს, ვითომ ვაჟების თვალების ელვარე-
 ბა და სხეულის მოძრაობა არ შეუმჩნე-
 ვიათო, და თავებს დაბლად იხრიდნენ.
 ვაჟები სწორედ ამ მომენტს აშტერდებო-
 დნენ. ქალების ამგვარ თავის ჩაკიდვას
 თავისებურად ჰხსნიდნენ და გულ-ჩაწყვე-
 ტილები ფშმუილით თავებს უკანვე აბ-
 რუნებდნენ, დაბლა ეხრებოდათ, და მხრე-
 ბი ძირს უცვიოდათ და ღრმად, ძალიან
 ღრმად უფიქრდებოდნენ იმას, თუ ქალები
 ასე თავ-ჩალუნულები რაზე ფიქრობ-
 ბენო...

ვაჟები რაკი მწუხარებით თავებს ჩაჰ-
 კიდებდნენ, ზევიდან გადაჰხედავდნენ, და
 ისინიც ვაჟებსავით ღრმად, ძალიან ღრმად
 უფიქრდებოდნენ, თუ ესენი ასე თავ-და-
 ლუნულები რაზე ფიქრობენო...

ორივე მხარე ამ ამოცანაზე იმტვრე-
 და თავებს. ორივე მხარე მზად იყო თავ-
 დავიწყებისთვის მიეცა თავი, მაგრამ მხო-

ლოდ ის აზრი აყენებდა: „იქნება არ მიმიღოსო“...

— ხომ არ გცივა?!—სწორედ ერთ წამს ჰკითხა სამივე ვაჟმა თავ-თავიანთ სატრფოს განთიადისას და ხელი წაატანა ხელის დასაქერად, მაგრამ ქალებმა ერთნაირად უპასუხეს: „არაო“, და ხელები მუხლებში ჩაიმაღეს.

— ეჰ!—სხეულის უმუშევრით წამოიძახა სამივე ვაჟმა და მწუხარებით თავი ჩაღუნა.

— ეჰ! ქალებმაც გულ-ჩაწყვეტით წამოიკვნესეს და თავები ჩაჰკიდეს-

არც ერთს წყვილს ერთმანეთისა არა ჰსმენია-რა, მაგრამ ერთსა დი იმავეს კი ლაპარაკობდა, მოძრაობდა და ერთ გვარად ჰსუნთქავდა...

კარგა დროს ისხდნენ ესე თავ-ჩაკინტრულები და სრულებით დაავიწყდათ დიდი-დედა მარიამი...

— ამ დილა ადრინად აქ რას უსხედხართ?— შეეკითხა მენახირე, რომელიც გულა წამოკიდებული სანახიროსკენ მი-

დიოდა და თან გამხმარ პურის ლუკმას
 ჰლოღნიდა.

მხოლოდ მაშინ იგრძნეს, რომ თავს
 დაჰსთენებოდათ და თითქმის ყველამ
 ერთ-ხმად უპასუხეს:

— აი, დიდი-დედა მარიამს ცყარაულობ-
 დით!

— მერე, რა ჰნახეთ?—მენახირემ მა-
 შინვე გაიგო, რისთვისაც უყარაულე-
 ბდნენ და ამისთვის ასე ჰკითხა.

—ვერაფერი! ვერც წასვლა და ვერც
 დაბრუნება ვერ ვნახეთ!—ფეხზე წამოდ-
 გომით უპასუხა ერთმა და სხვეშს გადაჰ-
 ხედა.

სხვებიც ამავე დროს წამოდგნენ და
 უმუშვნით,—ვერა, ვერ ვნახეთ!—დაემო-
 წმნენ პირველს...

ამ დროს ცისკრის ზარი ჩამოჰკრეს.
 მაშინვე ყველამ პირჯვარი გადაიწერა და
 ექვსივემ დაამთქნარა- მხოლოდ ეხლა იგ-
 რძნეს, რომ ეძინებოდათ.

— ჰო, ჰო, კუდიანის გზა-და-კვალს
 ვინ აღევნებს თვალ-ყურს?!—წამოიძახა

მენახირემ და ფეხი სანახიროსკენ გააშუ-
რა.

ქალ-ვაჟთ კიდევ გადაჰხედეს ერთმა-
ნეთს, დიდი-დედა მარიამის კარებს შეჰ-
ხედეს, რომელიც ისევ მოხურული იყო,
და: „როგორ გამოგვეპარა, როგო-
რო“? — თავების ქნევით სახლებისკენ წა-
ვიდნენ, მხოლოდ ისე კი არ იყვნენ და-
წყვილებულნი, როგორც მთელ ღამეს...
ცისკრის ზარი კი სამგლოვიაროდ გამოს-
ცემდა ხმას...

VI

საზიარებელნი ჩქარა შეგროვდნენ სა-
ყდარში. ერთმანეთს დილამშვიდობისა.
უთხრეს და ყური დაუგდეს მეფსალმუ-
ნეს, რომელიც ისე კითხულობდა, რო-
გორც ზარი ირეკებოდა. უცრივ წინა-
დადების პირველ სიტყვას ხმა-მაღლა, ძა-
ლიან ხმა-მაღლა წამოიძახებდა, როგორც
ზარის ენის შემოკვრა, და შემდეგ კი
გუ...გუ...გუ. .ნის მეტი არა მოისმოდა-
რა.

— ნაააუუ...უგუ... გუ...გუ...ნააუ...
 უ... უგუ... გუ...გუ... გუ!..—მოისმოდა
 ზარის ხმა საყდარში.

ზარმა შესწყვიტა გუგუნის. მლოცველ-
 თაც გუგუნის შეჰსწყვიტეს. გუგუნებდა
 მხოლოდ მეფსალმუნე და საყდარიც ზე-
 ვით, გუმბათის ძირას ბანს აძლევდა.

დედა-კაცები ერთს ადგილას შეგროვ-
 დნენ და კაცები კიდევ მეორეს. დედა-
 კაცებმა ჩქარა ერთმანეთში ჩურჩული
 დაიწყეს:

— ქა, როგორ მოხდა, რომ დიდი-დე-
 და მარიამი თავის ხატაურათი კარებქვეში
 არ დაგვხვდა?—იკითხა ერთმა.

— მართლა, ქა?!—ეს სიტყვა ყველა
 იქ მყოფს პირში ამოევლო.

— ჭეშმარიტად, ჰოხ, ჰოხ!..—ერთ-გვარ
 გუგუნში წამომახვილებული სიტყვა ყუ-
 რებში ჩაერქოთ და ყველა იქ მყოფთ
 წამოიძახეს თითონაც და ოხვრით და
 ფშმუნვით პირჯვრის წერა დაიწყეს...

აირია ერთმანეთში ოხვრა-ფშმუნვა და
 მეფსალმუნეს გუგუნის...

— ქეშმარიტად!.. — წამოიძახა ერთმა ყველაზე უკან მდგომმა რამდენიმე წამის შემდეგ და იმანაც დიაკვნის გუგუნს შეუერთა თავისი გმინვა. ყველაზე გვიან იმას შეესმა სიტყვა „ქეშმარიტად“. სხვები რომ დაწყნარდნენ, იმან მაშინ წამოიძახა უთუოდ ფიქრობდა რასმეზე, ან ხატების რამდენიმე ყვითელ სანთლის შუქზე ციმციმობამ გაიტაცა იგი, რომ ძალიან გვიან გამოერკვია და იგივე ჩაიდინა, რაც სხვებმა რამდენიმე წუთის წინ. საყდარმა აიტაცა მისი „ქეშმარიტიც“ ზევით და ჯერ იქ, გუმბათის ქვეშ, სხვების ისევ მოძრავ ქეშმარიტს შეუერთა.

ყველამ მიიხედა უკან და, რა იცნეს ვინც იყო, ისევ აღმოსავლეთისკენ ჰქმნა პირი...

— დიდი-დედა მარიაში იქნება იმიტომ არ მოვიდა ისე ადრე, რომ წუხელის იმოგზაურებდა იალბუზის მთისკენ! — წაიჩურჩულა ერთმა ქალების ჯგუფიდგან.

— ჰო, მართლა, კუდიანობა ღამეს ხომ იქით მიტრინავენ, დასწყევლოს წმინდა

გიორგიმ მათი თავი და ტანი!.. — ყველამ თითქმის ერთად წამოიძახა და პირჯვარი გადრწერა...

— ქალო, წუხელის ხომ ჰყარაულობდნენ დიდი-დედა მარიაშ?!!. ნეტა დაინახეს თუ არა?!

— ვინა, ქა?

— აი, ჭუკიანთი, ლიპაანთი და შავლეგაანთ გოგო-ბიჭები!

— შავლეგაანთი კი არა, ჭიპაანთი! — შეასწორა მეორემ.

ნეტა კატაზე იჯდებოდა, თუ...

ამ დროს კრეტსაბმელი ხრიალით მიიკრიფა ცალ-მხრივ, გაისმა ოდნავი ჩხაკუნი და აღსავლის კარი გაიღო, სადაც მღვდელი გამოჩნდა.

ყველა აჩმუნდა, გულიდგან ყველას ოხვრა ამოსკდა და ყველამ თვალები აღსავლის კარებს მიაპყრო.

მღვდელი, თავის დაკვრის შემდეგ, გატრიალდა და სამკვეთლოსკენ წავიდა, სადაც საცეცხლეული მიაწოდეს... დიაკვანმა რაღაც საგალობელი დიიწყო.

მღვდელს წინ სანთლით ხანში შესუ-

ლი ზარის მრეკავი მოუძლოდა. მღვდელ-
მა ხატებს უკმია. საკმლის სული დადგა.
მლოცავთაც უკმია და აღსავლის კარებ-
ში შევიდა.

მლოცველები მოძრაობდნენ, ქშენავ-
დნენ, ოხრავდნენ...

გამოვიდა ცისკარი. კარებქეში გამოვი-
დნენ თუ არა, უფრო ეუცხოვათ, რომ
დიდი დედა. მარიაში ჩვეულებრივ იქ არ
იდგა, და კუდიანთა მოგზაურობაზე ათა-
სი რამ სთქვეს...

საყდარში და საყდრიდან მიმავალ-მო-
მავალნი დიდი-დედა მარიამის სახლს ვერ
აპსცდებოდნენ. ამიტომ დედაკაცების
ჯგუფმა ამ დილასაც აქით ამოიარეს, —
მამაკაცებმა იმათზე აღრე აიარეს, — და
უნებურად შესდგნენ და ეზოში გადიხე-
დეს.

უეცრივ კათის გულ-საკლავი კნავილი
მოესმათ და სარკმლის მინების მაგივრად
ჩაყვითლებულ ქალაღზე ფხაკუნნი. დე-
დაკაცები სმენად გარდაიქცნენ და აღგი-
ლიდან აღარ იძვროდნენ...

კიდევ კნავილი, კიდევ ქალაღდის ფხა-

ქუნი და უეცრივ მინის მაგიერი ქალღმადღებელი გაიხა, და კატის კლანჭი გამოჩნდა. ამ გარემოებამ დედაკაცებს პირი ოდნავ დააღებინა, და, როდესაც ხატაურა გამოვარდა და პირ-და-პირ ამათქვენ ისარივით გამოქანდა, ხომ „აჰ!,, წამოაკივლებინა.

ხატაურამ კი სასოწარკვეთილებით ხან ერთს წაჰკნავლა, ხან მეორეს და მესამეს და ტოტი წამოჰკრა; ბალან აბურძგენილი ისევ ღობეზე გადახტა და ოთახში სარკმლიდანვე შევარდა.

დედაკაცები და ქალები აცმუკებდნენ ფეხებს და პირჯვარს იწერდნენ.

მოფიქრება არც კი დააცალა ხატაურამ. იგი სწრაფად უკანვე გამოსრიალდა და ისევ ის გულსაკლავი კნავილი, ისევ ის კლანჭის გასმა, და ქალების ფეხების ტოკვა...

— ჯა, რაღაც უბედურება უნდა იყოს!.. — წამოიძახა ერთმა უფრო მიმხვედრავმა მათგანმა, როდესაც კატა ისევ ეზოს ღობეს გადაევლო და ოთახში შევარდა, და ეზოს კარი შეიარა.

სხვებიც მიჰყვნენ იმას და ჩქარა ოთა-

ხის სარკმელს, მინის მაგიერ კატისაგან გახეულ ქაღალდთან ყველა ცნობის-მოყვარეობით ჰსცდილობდა თვალი მიეტანა.

— ოთახში ბნელოდა. ვერა დაინახეს-რა...

— უიჰ!.. — იკივლეს და სწრაფად თავები უკან გადაიღეს. ცოტათი გულებიც აუტოკდათ და:

— მიაუუ!. — რომ გაიგონეს ფხაკუნზე, რამაც აგრე შეაშინა იგინი, დამშვიდდნენ და სიცილიც აუვარდათ, რათა ამ უბრალო ფხაკუნმა შეაშინა...

გამვლელ-გამომვლელი ყველა ეზოში შემოვიდა, და დედაკაცებში მამაკაცებიც აირივნენ. ზოგი ინდაურსავით თვალებ დაქყეტილი იდგა და ვერა გაეგო-რა, თუ ხალხი რად შეკრებილიყო აქ.

ჩქარა აყაყანდა ხალხი.

— დიდი-დედა მარია, დიდი-დედა მარია!.. — დაიწყო ყვირილი სარკმლიდან და კარებთან, მაგრამ ოთახიდან მხოლოდ დროგამოშვებით ხატაურას კნავილი გამოისმოდა...

კარები შიგნიდან ჩაკეტილი იყო. რომ შესულიყვნენ, უნდა გაეტეხნათ. ერთი ახალგაზდა, გამბედავი (გამბედავად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც სხვები ყაყანის მეტს არას აკეთებდნენ) მივიდა სარკმელთან, გახეულ ქალღმერთში ხელი შეჭყო, სარკმლის ქვევითა რაზა გააღო, მერე ზევითას აეპოტინა და, რადგანაც სარკმელი დაბალი იყო, ზევითასაც მისწვდა, გააღო სარკმელი და სწრაფად ოთახში გადაძვრა.

ყველამ ვერც კი მოასწრო გაბედულის მოქმედებისათვის თვალი მოეკრა, რომ კარები გაჯახუნდა, ტყვიასავით გარედ გამოვარდა და ეზოს ღობეში თავი წაჰყო სარკმლიდან გადამძვრალმა.

ვისაც სარკმლიდან გადაძვრენა არ შეემჩნია, იმას პირი ღია დაჰრჩია, თუ ეს ოთახში როგორ გაჩნდა, და ან ასე კისრის მტვრევით რამ გამოსტყორცნაო, და იმათ კი, ვინც დაინახა გადაძვრომა, პირი ღია დაჰრჩიათ, თუ ეს კაცი ვინ გამოსტყორცნა ოთახიდანო.

ყველას შეეშინდა. ერთ წამს პირდაღებულებს პირში ნერწყვი გაუშრათ და და-

ავიწყდათ, რომ ხმა ყანყრატოდან ამოდის. ისინი თეძოებზე ეძებდნენ ხმას...

წყალიი!..— წამოიკნავლა ღობეში თავ-წაყოფილმა და ისე ქშენვა დაიწყო, რომ იმის ცხვირის ქვეშ მიწას კორიანტელი ასდიოდა.

მხოლოდ მაშინ-ღა მიჰმართეს ყანყრატოს და პირჯვრის წერით:

— დიდება შენთვის, ღმერთო, დიდება შენთვის!— წამოიძახეს და პირქვე წაწოლილს მიჰსცვივდნენ.

გადმოაბრუნეს პირქვე წაგდებული, რომელსაც, თითქოს დამბლად ჩავარდნილიაო, მოძრაობის ჰარაქათი აღარ შესწვდა, და ხელ-ფეხი მოწყვეტით გადმოუცვივდა გადმობრუნების დროს.

წყალი მოუბრუნინეს, დაასხეს, დააღვეინეს. მოსულიერდა, ნაცრად ქცეულ ლოყებზე სიწითლემ აითამაშა, გაბედულმა წამოიფშმუვლა და ძლივას შუბლზე ხელი გადისო.

— როგორ გაჰჩნდი იქ, ანდრო, რა დაგემართა?! გაკვირვებით ეკითხებოდნენ ანდროს, მაგრამ ანდრომ მხოლოდ ეხლა,

როდესაც სისხლი ისევ აემოდრავა, დაიწყო კნავილით:

რა როგორ, კაცო...

ბევრი კიდევაც გავიდა გარედ, ნამეტნავად დედაკაცები და გარედან ლობეს აეკუნწლნენ. შიგ ეზოში დარჩენა საფრთხედ მიაჩნდათ...

გადავძვერ თუ არა... ჰო, ჯერ გულადად გადავყავ ფეხი და... — კიდევ გადისო შუბლზე ხელი...

კატა რამდენჯერმე გამოვიდა, შეჰკნავლა ამათ და უკანვე შებრუნდა, მაგრამ იმისი კნავილი არავის გაუგონია, ისე გატაცებული იყო ყველა ანდროს ამბით.

— მაშინვე რალამაც თავზე მომიქირა, სულ კისრის-კვრით კარებთან მხრებში ცემით მომათრია, და, მეც არ ვიცი, აქ როგორ გავჩნდი.

მართლაც, ანდრუა გადაძვრა თუ არა ოთახში, თვალის დახამხამებაზე იაღბუზი, კატით მოგზაურობა კუდიანებისა, მათი გრძნეულობა და ჯადოსნობა, რაც კი აკვნიდან აქნობამდის ამის შესახებ გაეგონა, ყველაფერმა ცხადად, სურათებად

გაუელვეს თვალ წინ და, მართალი სთქვა, მერე აღარა გაუგიარა. თავში სისხლი შეუგუბდა, გული აუთრთოლდა და რომ კარის გაღებისთვის არ გადასულიყო და ეს ისე დაჰმართნოდა, უეჭველად, იქვე გაშრებოდა. მაგრამ მიზანმა კისრის-კვრიტ, როგორც თითონა სთქვა: „რალამაც“, მითრია კარებამდის, უგონოდ გააღო კარი, მიახეთქა და, სინათლე რომ თვალთ მოჰხვდა, გადარჩენის შიშმა ჰკრა კისერში და გარედ გადმოსტყორცნა...

ბევრმა გაიგო ანდროს სიტყვები, ბევრმა კი ვერა, თუმცა ყველამ გაიგონა, ყველანი კი შიშმა აიტანა და ეზოს გარედ გასვლას სცდილობდნენ...

— რა ამბავია? — შეუღრიალა მამასახლისმა, რომელიც გზირთან ერთად ნაღვი ნები, ვინ იცის, საიდან მოდიოდა.

— რა ვიცით, რა ამბავია?! — თითქმის ერთხმად წამოიძახა ყველამ და გზა დაუგდეს.

— აგერ, შადი და გაიგებ! — ზოგიერთმა დაუმატა.

მამასახლისი, თუმცა გადაკრულში იყო,

მიჰხვდა, რომ აქ რალაც ამბავია, გამოკითხვით ვერას გაიგებს, თუ თავის თვალთ არ გასინჯავს, და ამისთვის წამოიძახა:

— აბა, გზირო, წინ გამიძელო! — და კისერში ხელი წაჰკრა გზირს.

გზირი ხმის ამოუღებლივ წინ გაუძღვა, მამასახლისიც უშიშრად მიჰყვა. რამდენიმე წუთის წინ რომ აქ ყოფილიყვნენ, ასე უშიშრად არ გაემგზავრებოდნენ; მაგრამ იმათ არა იცოდნენ-რა, მხოლოდ ავაზაკობის აღმოჩენის სურვილით იყვნენ გატაცებულნი, რომ დილა ადრიანად მოეხსენებინათ ბოქაულისთვის და იმისი ნდობა დაემსახურებინათ და ამისთვის პირდაპირ ოთახის კარისკენ გასწიეს.

მათმა უშიშრობამ ბევრს გააბედვინა, და ეზოში შეჰყვა. ეზო ჩქარა ისევ ქალეზით და კაცებით აივსო...

საშინელის ცნობის მოყვარეობით იღრჩობოდნენ; მოელოდნენ მამასახლისისა და გზირის დაბრუნებას; მოელოდნენ კიდევ რალაცას და გული უჩერდებოდათ, სუნთქვა ეხუთებოდათ: კარებთან ახლოს მისვლას მაინც ვერ ჰბედავდნენ...

— თქვე ოჯახ დაქცეული შვილებო, რა უორიდან გამოიციკირებით და კატის ამარა დაგიგდიათ ე მკვდარი? ჩალა სანთელს მაინც აუნთებდით, ერთი კვერცხის საკმელს მაინც დაუკმევდით, თქვე!.. — აღარ გაათავა სიტყვა კარებში და გარედ გამოვიდა...

— აქაც მამასახლისმა უნდა გიწინამძღვროთ?! — წყრომით წააფურთხა გამურალს ხალხს და შემდეგ გზირს მიუბრუნდა:

— წადი, მღვდელს შეატყობინე, რომ მიცვალებულია...

VII

მართლაც დიდი-დედა მარიაში გაცივებული იყო, როდესაც მამასახლისი და გზირი შევიდნენ იმის ოთახში. იგი საკუბოოდ მომზადებულიყო: გულ-ხელი დაეკრიფა და თვალები დაეხუჭა...

დიდი-დედა მარიამს დაძინების შემდეგ აღარ გამოჰღვიძებია. იგი გამოურკვევლად, თავის უნებურად, თითქოს ეს ხელ-

მძღვანელობდა იმის მოქმედებას, რომ გულ-ხელის დამკრეფი არ ეყოლებო, ძილის დროს დაიკრება ხელები, ფეხები გაშხლართა და ძილში უჩუმრად გაიპარა...

ხატაურას არ გამოჰპარვია დიდი-დედა მარიამის მოძრაობა. იმას ყოველთვის დიდი-დედის მკერდზე ეძინა. უკანასკნელი მისი მოძრაობა კატის გულზე მიკვრია იყო...

ხატაურა ამ ალერსით დადნა, სუნთქვა გაკმინდა ისე, როგორც დიდი-დედამ, და თავისი კისერი დიდი-დედის კისერს გადუჯვარედინა... რამდენსამე წუთს ასე იყო გატვრენილი... ეუცხოვა ხატაურას, რომ დიდი-დედა მარიამის სხეული ასე უმოძრაოდ იყო, სხვა დროსაც ჩაუკრავს გულში ხატაურა, მაგრამ ყოველთვის იმის მკერდის მოძრაობა უგვრძნია, იმისი ოდნავი სუნთქვა ჰსმენია. ეხლა კი არც ერთი და არც მეორე. უფრო გატვრინდა, თითქმის სმენად გარდაიქცა. მაგრამ დიდი-დედის მდგომარეობისა ვერა გაიგორა.

დიდ ხანს იყო ასე ხატაურა. სოფელს მთლად მიეძინა. გარედან არავითარი ხმაურობა არ შემოისმოდა. ხატაურამ თავი აიღო და ჩვეულებრივ დიდი-დედის სახეზე მოისრისა თავისი პირი და...

თვალეზ დაქყეტილი დააშტერდა იმის სახეს. უფრო დაიბნა და ველარა გაიგორა. სახის დასრესის დროს დიდი-დედის სახიდან სითბოს, რაც ისე საამოდ ურბენდა სხეულში და ჰშლიდა, მაგივრად სიცივე გადვიდა, რამაც ასე შეაშფოთა და თვალეზი დააქყეტინა. ამოცანის ამოკითხვით აევსო სხეული, მაგრამ მისი ბრიალა თვალეზი მაინც ჰხედავდნენ-..

დაეშო კატა. დაქიმული ძარღვეზი მოადუნა, თუმცა იმის სახეს თვალეზს არ აშორებდა. მარჯვენა წინა ფეხი ცხვირზე ფრთხილად გაუცაცუნა. იმისმა ფეხმაცკი სიცივე იგრძნო. საჩქაროდ თავისი ცხვირი დიდი-დედის ცხვირთან მიიტანა, უღვაშეზი ცხვირში შეუყო. რომ ეღიზინა, და თავისი ცხვირი რომ მის ცხვირს შეახო, მწრაფად უკან გადმოიზნიქა და შეჰკნავ-

ლა. სრულებით ველარა გაიგო-რა. დიდი-დედის ცხვირი გაყინული იყო...

იმისმა კნავილმაც არავითარი შედეგი არ მოიტანა. მკერდიდან ბალიშზე გადახტა იქ გაინაბა და თვალს არ აშოდებდა დიდი-დედას... მამლებმა იყივლეს. ხატაურა შეშოშმინდა, წამოდგა სიხარულით ღძირსაც გადმოხტა ტახტიდან. ამ დროს დიდი-დედა მარიამი იღვიძებდა და ლამპრის ანთების შემდეგ, თუ არ ლოცულობდა, დაფუსფუსესდა ოთახში, კარებსაც გააღებდა ხოლმე.

ხატაურამ ყველა კუთხეები მიირბინ-მოირბინა, ლამპართანაც ახტა, რაც ჩვეულებად ჰქონდა და ელოდა, დიდი-დედა მოვა და გააშუქებსო, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდა, კნავილით ისევ დიდი-დედა მარიამის ბალიშამდის მივიდა, ზედ წამო-ჯდა და დალონდა.

მამლებმა მეორედ იყივლეს, მესამედაც, მაგრამ დიდი-დედა არ ინძრევა.

იმისთვის გაუგებარი ამოცანა უფრო და უფრო იხლართება, რთულდება.

ცისკრისთვის რომ ზარი ჩამოჰკრეს, მა-

შინ ხომ იმისი მდგომარეობა აუტანელი გახდა. ამ დროს ისა და დიდი-დედა კარებქეში იდგნენ ხოლმე და ეხლა კი ოთახის კარიც წარ გაღებულა.

ახმაურდა ხატაურა: დაიწყო კნავილი, კლანჭებით ბალიშისა, საბნის ფხაჭვნა, რამდენჯერმე დიდი-დედის ხილაბანდსაც გაჰკრა კლანჭი და თითქმის ნახევრად გადააძრო? მაგრამ იგი მაინც არ ინძრევა...

დაწყნარდა ხატაურა... ზარის ხმა დიდი ხანია შესწყდა. სულ გათენდა, რამდენი ნიშანი ჰქონდა, რომ დიდი-დედა ამდგარიყო... არც ერთ დანიშნულს დროს არ ადგა ;და მაშ...

გადმოვარდა ძირს. ასტეხა საშინელი კნავილი, კარების ფხაჭვნა. რაკი კარებს ვერა დააკლო-რა, სარკმელთან მიიღრინა და გაიმარჯვა კიდევაც: უნდოდა მოეწვია ვინმე, რომ აეხსნათ მისთვის, და აკი მოიწვია...

ვერა გაიგო რა ხატაურამ: ლაპარაკი, სალამოთი ტირილიც, სანთლები, შემოსილი მღვდელი. ყოველგვარი მოძრაობა, ეგონა, დიდი-დედა მარიაშს ფეხზე წამო-

აყენებსო, მაგრამ დიდი-დედა არ ინძრეო-
 ღა. ისაც ვერ გაიგო, თუ რად უბარტყუ-
 ნებდნენ იმას ხან ფებს, ხან კიდევ ხელს
 და თავს მიწაზე უგლიდნენ. ვერ აელსნა.

ეხლა საცოდავი ხატაურა კნავილსაც
 ველარახერხებდა. რომელიმენივთსამოეთა-
 რებოდა, რომ არავის დაენახა, და იქი-
 დან თავის საყვარელს დიდი-დედა მარია
 მის გახვევებულს უძრავ სახეს უმზერდა...

გაასვენეს დიდი-დედა მარიამის გვამი.
 ხატაურა შორიახლოს გაჰყვა, რომ არა-
 ვის შეეხედნა იმისთვის. მინდვრად, სად-
 ლაც, საცა ჯერ არ ყოფილა, დადგეს
 გათხრილი მიწის პირას. ის ქვებში გაინა-
 ბა და იქიდგან ადევნებს თვალ-ყურს.
 ცოტა მოძრაობისა და—მისთვის გაუგე-
 ბარ—ბუტ-ბუტის შემდეგ ჩაუშვეს შიგ
 თხრილში და ხრიალი აუყენეს, მიწას აყ-
 რიდნენ... წავიდ-წამოვიდნენ... ოთხი-ლა
 მუშაობდა. რალსაც ლაპარაკობდნენ.
 თხრილი ამოივსო. მივიდა ხატაურა და
 მოწიწებით:

— მიაუუ! — შეჰკნავლა. თითქოს ეკი-

თხებოდა: გეთაყვათ, დიდი-დედას რა უყავითო?..

— აი, შეე!..—თითქმის ოთხივე მესაფლავემ ერთად შეუტია და ნიჩბები მოუქნია.

ხატაურა გახტა. ქვებიც მიაყოლეს, მაგრამ ქვებში დამალვა მოასწრო.

სრულებით დაცარიელდა სასაფლაო. მხოლოდ გაზაფხულის ნიაფი-ლა დათართა-შობდა და აქა-იქა წინა წლის გამხმარ-გაროკილ ნარ-ეკალს აზუზუნ-ასისინებდა; ახალი კა ჯერ დედა-მიწას არ აჰცდენოდა..

ხატაურა ნელის ნაბიჯით მიიპარა დიდი-დედა მარიაშის საფლავამდის და დასავლეთით გაწვა. ყური მაგრად დააჭირა დიდი-დედის საფლავის ჯერ ისევ სველს მიწას და სალამომდის ასე გამწარებით მოელოდა საფლავიდან ამოხმას ..

მთლად გარეტიანებულმა დიდხანს უარა გარს დიდი-დედის საფლავს; დავთრები სულ აერია და მოქანცული გაუგებრობით და სიმშილით სოფლისკენ ლას-ლასით გაემგზავრა. ცოტა არ იყოს, თავ-

ში უეცრივ გაუბრძინა იმ აზრმა, რომ დიდი-დედა მარიაში იქნება შინ იყო...

სარკმლიდან მოწიწებით—ბოლო დროს მისი მოძრაობა მოკრძალებული იყო, რადგანაც ცემა-ტყევის მეტი არა მიუღია რა—გადაძვრა, უჩუმრად მიიარ-მოიხრა და ორ გაშლილს ლოგინს წააწყდა. ფეხ-აკრებითვე შემოუარა გარს; თავებზე დააქქერდა, მაგრამ არც ერთი მათგანი დიდი-დედა არ იყო. პირველს-ნახვაზე კინალამ სიხარულით გულში არ ჩაეკრა, მაგრამ მერე კი წელ-მოწყვეტილი გაშტერდა...

დღემდის დიდი-დედა მარიაში იმის თვალთ წინ იყო. დღეს კი თვალიდანაც მოაშორეს. ვერც მოსიარულეს და ველარც უძრავად მდებარეს ვერ ჰხედავს. ეს რა მოხდა?!

— მიაააუუუ!...—სასოწარკვეთილებით წაიკნავლა ხატაურამ და სრულგბით დაავიწყდა, რომ ოთახში იყო...

დედა და შვილი გულებ-დახეთქილები--ეს გოგლა და იმისი დედა იწვნენ.

დიდი დედის ოთახში—წამოცვივდნენ და ორივემ ერთად შეჰკივლეს:

— ჰა, რა იყო?!..

ხატაურა კი ამათ კვილზე განაბვით სარკმლის რაფაზე შეხტა და სწრაფად, შურდულის ქვასავით, გარედ გავარდა. მინის მაგივრად გაკრულმა ქალაღმა უეცრივ გაიშრიალა კატის შეხებისაგან...

ორივე მიჰხვდა და ორივემ ერთად წამოიძახა:

— ი ვერანა ხატაურა იქნებოდა!..

ორივეს ერთად გაურბინა აზრმა: „ნამდვილი კუდიანი ყოფილა, რო...“ მაგრამ არც ერთმა სიტყვებით არ გამოხატვა, ერთმანეთისა დაერიდათ...

— მუთაქა მაინც მიაღე ი ვერანა სარკმელს!—უეცრივ წამოიძახა გოგლამ.

— ჰო, მართლა!.. — პასუხად სთქვა გოგლას დედამ და წამოდგა...

— შეილო, გოგლა, — დაუძახა დედამ კარგა სიჩუმის შემდეგ, როდესაც სარკმელს მუთაქა მიაფარა და ისევ ლოგინში ჩაწვა: — ხვალ შინ წავიდეთ, თორემ სახლი დაგველუპება!..

— ჰო, კარგს ვიზამთ!..

— ე ქოხს რაღა ვუყოთ?!

— გავყიდოთ!

— ჰო, კარგი იქნება!.. მყიდველი გამოჩნდება.

სიჩუმეა. არც ერთს არ ეძინება, თუმცა ორივეს თვალები მოხუჭული აქვთ. ორივე ფშმუვილით კოტრილობენ ლოგინში. ორივე შიშმა შეიპყრო, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოტეხილა. შინ წასვლაც მხოლოდ შიშმა აფიქრებინა ორივეს, თორემ სახლის დაღუპვამ კი არა...

ხატაურა კი, სასაფლაოსკენ გაეშურა და ამის შემდეგ დიდი-დედას ქოხს აღარ მიჰკარებია. დარწმუნდა, რომ დიდი-დედა მიწის ქვეშ არის და არა ოთახში. ამისთვის სულ იქ იყო... დღე გაჩუმებული იყო, რადგანაც ეშინოდა დიდი-დედის მგზავსებისა, რათა ყოველ იმის შეკითხვაზე, თუ ეს რა ამბავიაო, კისერში, თავში, ფერდში, გვერდში ან ჯოხს, ქვას, ხელს, ფეხს ან ნიჩაბს მიიღებდა პასუხად. ღამე კი თავისუფალი იყო და შესძახდა ცას, ღამის მნათობთ, თვით საფლავს,

თუ რა დაემართა იმის დიდი დედას?!. იმისი მოთქმა კატის კნავილი არ იყო; იგი მწუხარე ადამიანის მოთქმას ემგზავსებოდა. ამისთვის იყო, რომ შეგვიანებული მგზავრი ამ ხმაზე შიშისაგან კანკალს იწყებდა და, თუ კი შეეძლო, ფეხ მარდად ეშურებოდა სახლისკენ. ერთი კიდევაც გულ-შეწუხებული შემთხვევით იპოვეს დილა ადრიანად სასაფლაოს მახლობლად. როცა მოაბრუნეს, თავის ჭკუაზე აღარ იყო. ღამიანად წასულიყო ტყეში და რა დაემართა და რა არა, ველარა გაიგეს-რა...!

ბევრმა გაიგონა ეს გულ-საკლავი მოთქმა და სოფელი დაშინდა. ვერავის გაეგო, თუ რა იყო. ბევრი ამბობდა: „უთუოდ, ცოდვილი სული შესტირის ღამ-ღამობით ღმერთსა და პატიებას სთხოვსო!“ ბევრსა ჰსჯეროდა. ნაკლებნი კი ამბობდნენ: „ეგ უთუოდ დიდი-დედა მარიამის ხატაურა კნავისო!“; მაგრამ პასუხად უმრავლესობა ეუბნებოდა: „ადამიანო, ხატაურა როგორ ილაპარაკებს?!. ადამიანით მოსთქვამს და ტირისო“.., ყველა-

დარწმუნდა, რომ ხატაურა კი არა, თითონ დიდი-დედა მარიამის სული სტირის, მოსთქვამს, რადგანაც იგი კუდიანი იყო და უზიარებელიც მოკვდა... „უთუოდ ისეთი ცოდვილი იყო, რომ ეშმაკებმაც არ მიიღესო!“ — გაიძახდნენ ბოლოს დროს სოფლები, და შიშით ღამ ღამობით კარშიაც ვეღარ გადიოდნენ, უფრო დიდი-დედის მეზობლები. ყველას სჯეროდა, რადგანაც სოფელში ყველაზე ჭკვიანად მიმჩნეული მანდილოსანი, მთლად გათეთრებული და ქმარ-შვილით გახარებული—ერთი ქალი კიდევაც გაათხოვა, ისეთი ბედნიერება ეწვია, —ამას ამტკიცებდა და აბა სხვები, რომელთაც, ქვეყრებივით, რასაც ჩასძახებ; იმას ამოიძახებენ, როგორ არ გაიმეორებდნენ ბედნიერი მანდილოსნის სიტყვებს და სხვებსაც როგორ არ დაარწმუნებდნენ?!...

1902 წ.



ანტონ ზურაბიჩი

(ეპიკა.)

I

— ხომ გახსოვს ანტონ ზურაბიჩი? —
უეცრივ დამეკითხა ჭაბუკა, როდესაც ბიჭ-
მა სუფრა ააღაგა და მარტო ღვინის
ჭიქები და ღვინით სავსე ბოთლი დაგვი-
ტოვა.

— არა!..

— როგორ არ გახსოვს პირ-ხმელი,
ყბელი, მელიოტი?.. დასწყევლოს ღმერთმა
იმისი თავი და ტანი, გვარი როგორ და-
მავიწყდა?! ეგრეა ხოლმე, როცა კაცს
უნდა, მაშინ მჭადის სახელიც კი დაავიწყ-
დება... მაგრამ მე ყოველთვის მარტო
ანტონ ზურაბიჩის ვეძახდი და, იქმნება,
ამისთვის გვარი აღარ მაგონდება... ძმო-
ბილო, — მიუბრუნდა მოსამსახურეს ჭა-
ბუკა, თითქოს იმისთვის უფრო, რომ

დრო მოიგოს და ანტონ ზურაბიძის გვარი მოიგონოს:—აბა, ამ ღვინოს რა ვუყოთ, მოგვიტანე რამ!

— რას ინებებთ, ბატონო?— შეეკითხა ბიჭი.

— რა ვიცი, რას ვინებებთ?! მალხაზ, შენ რა გინდა?— უეცრივ დამეკითხა.

— ჩემთვის სულ ერთია! გრიგოლ, — მივმართე მოსამსახურეს:— ატამი მოგვიტანე.

— შე კაი კაცო, აქაურობისა შენ უფრო იცი, უთხარი, რაც გინდა!

— აკი ვუთხარი! იქნება შენ ატამი არ გინდა!

— ამ შუა ზამთარში ატამს ვინ მოგვიტანს?

— გახლავთ, ბატონო! ცოცხლად არის შენახული წვენში...

— მოგვიტანე, გრიგოლ, ორი კერძი. გრიგოლი სწრაფად გატრიალდა. ჭაბუკა კი მოიღრუბლა. სახეზე ეტყობოდა, რომ ეწყინა. იმას ეგონა, რომ ვემასხრებოდი და უფრო მოსამსახურისაგან იწყინა...

— რა ვიცი, მალხაზ, მგონი შენ მოსამსახურეებიც დარიგებული გყავს. განა სოფლად რომ მასწავლებლად ვარ, ამისთვის მასხარად უნდა ააგდებინო ვილაც გურულს?!—საშინლად შუბლის მოკმუხვნით და თავის დაღუნვით მომმართა.

— ჭაბუკ, მაგრე რად დამიბღვირე?! იქნება გგონია, რომ დაგცინი?!—ლიმილით დავეკითხე და მინდოდა მეთქვა რამ, მაგრამ აღარ დამაცალა, ისე გულ-ჩაწყვეტით წამოიძახა:

— მალხაზ, შენგან მაგას არ მოველოდი!

— კაცო, შენი მასხარად აგდება აზრად არ მომსვლია და, თუ...

— ეგაა სამწუხარო, რომ კადევაც თავს მართლოლობ! ძალიან ვწუხვარ, რომ აქ სადილად შემოგყევი!..—უფრო გულმოსულად მომმართა და ბოთლს ჭიქა შემოუწკარუნა:

— ბიჭო, მოდი აქ!— დაუძახა მრისხანე ხმით.

ჭაბუკა ზე მე ერთად ვწავლობდით საშუალო სასწავლებელში. მთელი ექვსი წე-

ლიწადი ამხანაგები ვიყავით. ერთად გა-
 ვათავეთ საშუალო სასწავლებელი. შემ-
 დეგ კი ცხოვრებამ სავა და სხვა გზა გვი-
 ჩვენა და, აი, ათი წლის შემდეგ შემხვდა.
 მე ვერც კი ვიცანი. ის წინ გამეფიცრა
 და მკითხა, თქვენ ჭინჭარაშვილი არა
 ხსრთო?

— დიად, ბატონო, მაგრამ თქვენ... —
 აღარ დამათავებინა კითხვა. გადამეხვია
 და ლოშნა დამიწყო.

— მალხაზ, მალხაზ, რამდენიხანია ერთ-
 მანეთი აღარ გვინახავს?. ბიჭო, ჭაბუკა
 მენაბდე აღარ გახსოვს?! შენი ამხანაგი?!.
 მოსეირნენი ცერად გვიცქეროდნენ. თუმ-
 ცა თბილისის ქუჩებზედ თავის გრძნობე-
 ბის ასე ღიად გამოთქმა იშვიათი არ
 არის, მაგრამ მაინც იმ წამს — მეფხო-
 ვეთა ახალი კანონის შემოღების შემ-
 დეგ — ყველას არ ეპიტნავა. მეც არ მეპი-
 ტნავა ჭაბუკას ასეთი გულ-ახდილი ლო-
 შნა და სწრაფად რესტორანისკენ გავი-
 წვიე. უკვე სადილობის დრო იყო. ღვთის
 წინაშე გამეხარდა, როცა მისი გვარი გავი-
 გე და მით უფრო რესტორანისკენ გავი-

წვივ, რომ თავისუფლად გვეთქვა რამ...

სადილის დროს ბევრი ვიცინეთ; ბევრი ავი და კარგი მოვიგონეთ ჩვენი ექვსი წლის ერთად ყოფნის დროისა...

კარგია ხოლმე ხანდის-ხან განვლილ ცხოვრებიდგან მოგონება, .. ავია თუ კარგი, სულ ერთია, ყველა გულს გხვდება, ყველას ძალა უნებურად უდარდელ ცხოვრების ხანაში გადაჰყევხარ და იმ დროისებურად გულს გიტოკებს... ავი იქმნება, თუ კარგი ამ მოგონებიდან, ყველა წარსულია, მეორედ იგი აღარ განმეორდება და მხოლოდ ამისთვის არის სასიამოვნო...

ათი წელიწადი იყო, რაც ჩემი ამხანაგი ქაბუკა მენაბდე არ მენახა. სიხარულით. მივეგებე, სიამოვნებითვე ვისადილეთ და სადილის დასასრულისას ასეთი საყვედური, მერე უმიზეზო, რასაკვირველია, ასე სასიამოვნოდ მომართულ ჩემს ხეულს საშინლად მწვავედ ეჩხვლიტა ქაბუკას უკანასკნელი მოქმედება.

ბოთლს ჭიქა მრისხანედ მიართყა და

ჯიბიდან ქისა ამოიღო, რომ სადილის-
 ფასი გარდაეხადა...

მეწყინა. „ღმერთო,—უნებურად გამე-
 ფიქრა, როდესაც მის მოღუშულს სახეს
 შევხედე:—ხომ სამუდამოდ შემიძულე,
 რომ ატმის მოტანა არ დაიცადოს და
 წასვლაზე გაჯიუტდეს?! რა ცოტა რამ
 კმარა, სულ უბრალო გაუგებრობაც-კი,
 რომ ადამიანმა ადამიანი, გინდაც მეგო-
 ბარი, მგლად იცნოს?!“

ადამიანის ბუნება შეუწყენარებლად მე-
 ჩვენა. წამს ვინატრე კიდევაც, რომ არ
 მოეტანა ატამი, ეს უბრალო მიზეზი მისი
 აღელვებისა, გაშმაგებისა, რომ სამუდა-
 მოდ გაეწყვიტა ჩემთან კავშირი და აღა-
 რა ღროს ხვევნა-კოცნა არ დაეწყო. რად
 მინდა იმისთანა მგეობარი, როდესაც ჩე-
 მი სული მრსთვის გაუგებარია, ჩემი გუ-
 ლის მოძრაობას ყურსაც არ უგდებს და
 სულ უბრალო უმიზეზო ექვი გონებას
 უბნევს?! გამოკვლევა, გაჩხრეკა რატომ
 არ უნდა?!

მეწყინა, როდესაც იმის აღიაქოთზე
 გრიგოლმა ატმით სავსე თევზით მოიბრ-

ზინა, და თავი ჩავლუნე. ჭაბუკა კი გაშტერებით დააცქერდა სავსე თეფშს.

— ეს რა არის? — მრისხანედ დაეკათხა გრიგოლს.

— ატამი..

თავი მალლა ავწიე და უგულოდ მზე-რა დავუწყე ჭაბუკას, რომელიც კოვზით ატრიალებდა ატმის ნაქრებს.

ჯერ შუბლის მოქმუხვნით, ურწმუნო თომასავით რამდენჯერმე გადაატრიალა ატმის ნაქერი, უსუნა და უკბიჩა. პირიც ჩაიტკბარუნა...

სახე გაუბრწყინდა ჭაბუკას. უეცრივ თვალები შემომაქყიტა და მხიარულად შემომძახა:

— კაცო, მართლა, თითქოს მარიაშობისთვეში ჰფცქენი ატამს და შეექცევიო, ისეთი გემო და სუნი აქვს!..

— კაცო, — განაგრძო შემდეგ, როდესაც იმის აღტაცებაზე კრინტი არ დაგძახი: — ჩვენში, თუნდ, აი, იმ სოფელში, სადაც მასწავლებლად ვარ, აუარებელი ატამი ფუქდება, ტყუილად იღუპება... ამაში რას გამოგვართმევენ?..

— ოთხს აბაზს! ორი კერძია.

— აი, აი, რა ოხრად იკარგება ფული?! ხომ სულ სამი ატმის ხორცია და ოთხი აბაზი?! სადაა კაცის გონება!? ჩვენ გლესს რომ ჭკუა ჰქონოდეს, ხომ...

— ჭკუის სასწავლებლად არიან სოფლებში მასწავლებლები მიწვეულნი. — ცოტა არ იყოს, დაცინვით ვუთხარი ჭაბუკას.

ჭაბუკა გაშრა, ვიწრო შუბლზე ხელი გადისო და შემდეგ თითების მტვრევა დაიწყო. ეტყობოდა, ჩემი სიტყვები გულს ლახვრად დაესო, ..

— სოფლის მასწავლებლებს გარკვეული პროგრამმა გვეძლევა ხელში და...

— ჭაბუკ, — გავაწყვეტინე სიტყვა, რომ მეთასჯერ ერთი და იგივე სულელური გამართლება არ მომესმინა: — შენ წელან ანტონ ზურაბიჩზე რაღაც დაიწყე და კი აღარ...

„ — მართლა, მართლა, კაცო, ანტონ ზურაბიჩის გვარი აღარ მაგონდება?.. ნუთუ შენ... — გაუხარდა კიდევ, რომ სხვა საგანზე შეიძლებოდა ბაასი!

— თხილაძეზე ხომ არ ამბობ?.

— ჰოო, თხილაძე, თხილაძე!—სიხარულთ წამოიძახა ჭაბუკამ და ატმის ქამაც კი მიატოვა... ეხლა კი მომაგონდა ანტონ ზურაბიჩი და ისიც-კი, ერთხელ რა საშინლად გამიწყრა, როდესაც მე გულ—უბრყვილოდ მივმართე: „ანტონ.“ მინდოდა მეთქვა რამ, მაგრამ იმან სწრაფად შუბლი, დიდი გადადკვლეცილი შუბლი შეიკმუხვნა და მრისხანე ხმით სიტყვა შემაწყვეტინა: „ძალლი იყოს შენი ანტონი! მე... რით ვერ გაიგე?... ანტონ ზურაბიჩი მქვიაო“!..

უთუოდ ყველას ასე ჩააგონა, რომ ამხანაგები ყოველთვის „ანტონ ზურაბიჩოვით“ მიჰმართავდნენ ხოლმე. არ ვიცი, რამ აიძულა თხილაძე, რომ უეჭველად იმის სახელისთვის მამის სახელიც მიეკოსებინათ, რადგანაც შემდეგ, თუმცა ორი წელიწადი კადევ ერთად ვსწავლობდით, ისე უცნაურად მეჩვენა მისი წყრომა, რომ ხმა აღარ გამიცია და სრულებით შევსწყვიტე მასთან ყოველგვარი კავშირი...

— ჰო, თხილადის ამბავი მინდოდა შე-
თქვა... — დაიწყო ჯაბუკამ ხმის ამოწმენ-
დით და ელვასავით გასრიალებული მო-
გონება ანტონ ზურაბიჩზე შემაწყვეტინა.

ამავე დროს ბოთლს ხელი მოაწვლო,
შეავსო ჭიქები და უეცრივ წარმოსთქვა:

— ღმერთმა გაუმარჯოს ყველა ჩვენს
ამხანაგებს! მართალია, ბევრი ჩვენგანნი
სულ სხვა და სხვა გზას დაადგა. იქმნება
საზიზღარს გზასაც ბევრი დაადგა, მაგრამ
იქ, სასწავლებლის კედლებ შუა, ყველა-
ნი ერთმანეთს ვგვანდით; ეჰ, რომ და-
გვიბრუნდებოდეს...

— ღმერთმა გაუმარჯოს, გაუმარ-
ჯოს!... — სიტყვა გავაწყვეტინე, რადგანაც
საშანლად მეზარებოდა მოსმენა.

აგერ, ჩვენი ძველი ამხანაგი რამდენი
შემხვედრია და ყველას თითქმის სიტყვა
სიტყვით ერთი და იგივე გაუმეორებიათ.
ყოველთვის მწუხარების ღიმილს მგვრიდა
მათი სიტყვები და ვცდილობდი სხვა სა-
განზე ჩამომეგდო ბაასი... ვწუხდი, რომ
სულ ახალგაზდანი, ოცდა ათი წლის ვაჟ-
კაცნი, გავლილ ცხოვრებაში ეძებდნენ

სიამოვნებას და მის დაბრუნებას ნატრობდნენ. ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო, როდესაც ადამიანი წარსულს იგონებდა და იმაზედ აღტაცებით ლაპარაკობდა; წარსული უკვე გავლილია, ავი იყო იგი, თუ კარგი, უკვე ჩაჰბარდა ჟამთავითარებას: იგი უკვე აღარ არსებობს. მხოლოდ აწმყო და მომავალა მრწამს. წარსული მხოლოდ მომავლის მაჩვენებელი უნდა იყვეს, გამამხნევებელი და არა სავალალო. თუ ავი იყო წარსული, უნდა ვეცადოდ მომავალში თავიდან ავიცდინოთ, და თუ კარგი—უკეთესი შევიძინოთ. ორსავე შემთხვევაში ბრძოლა გვმართებს და არა ტირილი. როდესაც წარსულზე ადამიანი ჰგოდებს და ვალოლობს, მაშინ იგიც ისე დამარხულია, როგორადაც წარსული...

კიდევ ერთხელ ამიმღვრია გული ჭაბუკას სიტყვებმა, და ამისთვის ვეცადე შემეწყვეტინებინა სიტყვა.

— ჭაბუკი, ანტონ ზურაბიძის ამბავი არ გინდა დაიწყო?!

— ეხლავე, ეხლავე, ჩემო მალხაზ! — მიპასუხა და სავსე ჭიქა გამოსცალა...

— ანტონ ზურაბიჩზე კი — და პირისიცილად ისე გულ-უბრყვილოდ გაეპო, რომ მეც უნებურად გავიღიმე...

— ამ ხუთი წლის წინად, — განაგრძო ჭაბუკიმ ღიმილით: — ზაფხულში იმერეთისკენ ვმოგზაურობდი. უეცრივ რკინის გზის სადგურის ახლო სოფელში ჩვენი ანტონ ზურაბიჩი თავშიშველი დამხვდა სკოლის წინ — ზედ: „ამა და ამ სოფლის სკოლა“, ეწერა. ვიდრემდის ანტონ ზურაბიჩს დავინახავდი, წავიკითხე. ღრმად ჩაფიქრებული იყო, გადადკვლევცილი შუბლი მწუხარებით შეჰნაოქებოდა და თვალის ქუქუთოები კიდევ, ეტყობოდა, ბევრი ტირილისაგან შეჰშუპებოდა...

მაშინვე ვიცანი.

— ანტონ ზურაბიჩ?! — გულ-წრფელად შევეძახე და დაბალი ლობიდან საკოცნელად გადავეწოდე.

სოფელში, ხონ იცი, ნამეტნავად უცხო სოფელში, ნაცნობის შეხვედრა რას ჰნიშნავს?! ჰო, და მე საშინლად გამეხა-

რა, როდესაც ანტონ ზურაბიჩი ვიცანი. იმანაც მაშინვე მიცნო და გულწრფელად, ისე, როგორც შენ, გადმომეხვია... სალამ-ქალამ, მოკითხვა-მიკითხვა და... უეცრივ შევეკრთი... ანტონ ზურაბიჩის შექმუხნილი შუბლი და შეშუპებული თვალები რომ დავინახე, პირველში, ვიდრემდის გადავეხვევოდი, ვიფიქრე: „ცხოვრებას ბევრი რამ შეუძლიან, ათას კეცად აგვინაოქე`ს სახეს“, მაგრამ ეხლა, როდესაც სახლიდან ტირილი, გოდება გამოესმა...

— ეს რა ამბავია, ანტონ ზურაბიჩ?! — გაკვირვებით შევეკითხე.

— ცოლი გადამეცვალა!.. — მოკლედ მიპასუხა და ღმობიერად შემომხედა.

ღვთის წინაშე, გულწრფელად დავლონდი და:

— აი, აი! — წამოვიძახე.

— ეჰ, რას იზამს კაცი, — ნუგეშის კილოთი დაიწო ანტონ ზურაბიჩმა: — სიკვდილი ყველას ხვედრია...

კინალამ წავიფრუტუნე, ისე უეცრივ გადამეწმინდა მწუხარება, და სიცილი მო-

მაწვა გულს: „ამ კაცს ცოლი მოუკვდა და მე კი მანუგეშებს მეთქი“ — გავიფიქრე უეცრივ, როდესაც იმან ამ კილოთი დაიწყო ბაასი. მაგრამ უეცრივ: „უთუოდ გაჟიჟდა საცოდავი, რომ...“ გამიელვა იმის შემდეგ აზრმა, და ისევ მწუხარებით ამევესო გული...

— მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ის სულ იმას მეხვეწებოდა: „ჩემი სამშობლო ერთხელ მაინც მაჩვენეო“. აი, ავადმყოფობის დროსაც იმას მეხვეწებოდა, რომ წამეყვანე სამშობლოში. მაგრამ, ხომ იცი მასწავლებლის დღე, სად წავიყვანდი? მეგონა, მორჩებოდა და ამისთვის არ შევიწუხებე თავი. ნეტავი წამეყვანა! ეხლა ამოდენა ხარჯი აღარ დამაწვებოდა თავს... იქ მოკვდებოდა და მშობლები მარას უზავდნენ, თუ არ დაჰმარხავდნენ?! დებეშა გავგზავნე, მეგონა, მოვიდოდნენ იმის მშობლები და დამეხმარებოდნენ აქაურ ხარჯის გაწევაში. ოცი თუმანი პირს არ მომწმენდავს. ის კი არა და, იქიდან, აი რა პასუხი მომივიდა: — ამოიღო დებეშა და წამიკითხა: —

„აქ წამოასვენე მიცვალებული. ჩვენ მა-
მა-პაპის სასაფლაოზე გვსურს ჩვენი შვი-
ლის დასაფლავება...“

— მოდი და ეხლა ღმერთი ჰკითხე
იმათ?!—წამოიძახა წყრომით ანტონ ზუ-
რაბიჩმა; ასე ჰგონიათ ყურთ-უკან მეს-
ხდნენ, რომ თავი მიუბრუნო მიცვალე-
ბულს და იმათთან მივიტანო...

ცხადად დავინახე, რომ ანტონ ზურა-
ბიჩი სწუხდა მხოლოდ ხარჯის გაწევაზე;
ისევ სიცილი მომივიდა და უეცრივ მას-
ხარად აგდების საღერღელი ამეშალა...

— სადაური იყო შენი ცოლი?..—შე-
ვაწყვეტინე სიტყვა ანტონ ზურაბიჩს
ღიმილით.

— რა ვიცი, კაცო, აი, ქართლიდგა-
ნაა...—და დაასახელა ერთი ქართლის
სოფელი, რომელიც რკინის გზის ახ-
ლოა...

— შე კაი კაცო და...—დავიწყე თით-
ქმის ფრუტუნის:—აიღე და „ფას-დადე-
ბით“ გაუგზავნე მიცვალებული მშობ-
ლებს!..

ანტონ ზურაბიჩი წამს ჩაფიქრდა.

მეგონა, მოიფიქრებს, გამლანძღავს მეთქი, და ამისთვის საპასუხოს ვამზადებდი, მაგრამ აღარ დამჭირდა...

ანტონ ზურაბიჩმა გატკველიც იღუპა უბელში სიხარულით ხელი იტკველიცა და:

— ოჰ, ღმერთმა გიშველოს, რომ შემხვდი, თორემ მე ხომ ვერ მოვიფიქრებდი?! — წამოიძახა სახე გაბრწყინებულმა და ხელი დამიჭირა:

— წამო, კაცო, პური გემშიება! ერთი კარგად შევზარხოშდეთ და მერე მიცვალებულის თადარიგს შევუდგეთ!..

სწრაფად თვალ-წინ წარმომიდგა, თუ ჩვენ ანტონ ზურაბიჩს მასხარად როგორ აიგდებდნენ სადგურზე, როდესაც მიცვალებულის „ფას-დადებით“ სურვილს გამოაცხადებდა და:

„არა! — გავიფიქრე წამს: ამის მოწმედ არ მინდა ვიყო მეთქი და ვიცრუე:

— ფეხად მივდივარ, რადგანაც საჩქარო საქმე მაქვს!..

— კარგი, შეკაცო, ერთი დოქი ღვინო მაინც გამოვცალოთ და ცოტა პური მაინც შევქამოთ, თვარა, აგერ გუშინ-

დელს აქეთ არა მიქამია-რა... ე კაი სიტყვა რომ მითხარ, სიმშლი ვიგრძენ... კუნტრუშით გაიქცა ანტონ ზურაბიჩი სახლისკენ, საიდგანაც ვაი-ვაგლახი გამოისმოდა, და საჩქაროდ ხელადით და ხორაგეულობით სავსე თეფშით ჩემკენ მომავალს ანტონ ზურაბიჩის თვალი შევასწარ. მაშინვე გავტრიალდი, ვითომ არ დამინახავს, და გზად წავედი, მაგრამ ანტონ ზურაბიჩის ღრიალზე შეუძლებელი იყო, რომ უკან არ მიმეხედნა. იმას სადღაც დაეწყო თავისი ტვირთი და ღრიალით უკან მომდევდა. მოსვლის უმაღლეს მკლავში ხელი გამიყარა და ეზოსკენ გამწია:

— კაცო, მშიერი იქმნები, ცოტა რამ შეეკამოთ და მერე შენ საქმეზე წადი. ერთი წუთით არა გაფუჭდება-რა...

ქირს უფრო ადვილად მოიშორებდი, როგორც შევატყე, ვიდრე იმას, და ამისთვის დავთანხმდი. თან ისაც მანუგეშებდა, რომ ერთი წუთით მიწვევდა და, მაშასადამე, პურის ქამის შემდეგ ფას-დადებითი“ გაგზავნის მოწმედ არ გამხდითა...

დავეცი... მხიარულად გამოვცალეთ

ხელადა ცოტა მომჟავო თხელი ღვინოს
სავსე. სიამოვნებით ვბაასობდით ჩვენ ამ-
ხანაგებზე, ვიგონებდით ყველას, შენც კი
მოგიგონეთ... მიცვალებული სრულებით
დაგვაფაწყდა...

— ჭაბუკი, ემ წუთს აქ დავიბადე-
ბი!.. — წამოიძახა ანტონ ზურაბიჩმა, რო-
დესაც თავის ჭიქაში ხელადა ჩაწურა და
წამოდგა.

მაგრამ მკლავი მაგრად დავუჭირე და
დავწიე. თუმცა თხელი ღვინო იყო, მა-
ინც მეშინოდა დათრობისა, და, თუ დავ-
თვრებოდი, უნდა იქ დავრჩენილიყავ,
რადგანაც, თუ ღვინო მომერია, დამბლად
ვეარდები.

აქ დარჩენა კი ჩემთვის სასურველი არ
იყო, რადგანაც მიცვალებულის „ფასის-
დადება“ თვალიდან არ მშორდებოდა...

სწრაფად წამოვდექი, უკანასკნელი ჭი-
ქით შენდობა ვუთხარი ახლად მიცვალე-
ბულს და:

— მშვიდობით, თორემ დამიგვანდე-
ბა! — ვუთხარი.

ჩემი აჩქარებით დაღონებულმა დაღვრე-



მით გამომიწოდა ხელი და უეცრივ ისევ
 უშბლი, თითქოს ღრუბლიან ცას სასტიკ-
 მა ქარმა დაუქროლაო და სულ განფან-
 ტაო, სწრაფად მოეწმინდა და აღტაცე-
 ბით:

— ოჰ, რა მადლობელი ვარ, რომ დღეს
 შემთხვევით ჩემს მხსნელად აქ გაჰჩნდი!! —
 წამოიძახა...

II

შარშან ზაფხულს კიდევ დავხეტილობ-
 დი სოფელ-სოფელ. ჩვეულებად მაქვს
 ზაფხულობის ხეტიალი. ცოლი არსად
 მყავს, შვილი და რა გავაკეთო, თუ
 არ ვიმოგზაურე. ერთგან ნაამხანაგარს
 მღვდელს შეჰხვდები, მეორეგან მასწავ-
 ლებელს, მესამეგან კიდევ ნაცნობს, ან
 ნაამხანაგარსვე მამასახლისს, მწერალს და
 სხვას. ჩვენი ამხანაგები ხომ სულ სოფ-
 ლებში არიან დაბნეულები. და მერე,
 იცი, პირველდაწყებითი სწავლიდგან რამ-
 დენი ამხანაგი გვეყოლია! ერთხელ პირ-
 ველ კლასში ნამყოფი ამხანაგი შემხვდა

ერთ სოფელში. მწერლად არის; ხომ გახსოვს, ჩიკვილაძე?..

— აი, როგორ მოგაგონო?! — დაიწყო მოგონება, როდესაც ამხანაგის გვარის ხსენებაზე ჩავფიქრდი: ჰო, ბუთხუზა, ჩასუქებული არ იყო, თითქმის ყველაზე პატარა!..

— ჰო, ჰო, მომაგონდა, რაღაც იკლიკანტური სახელი ერქვა...

— ჰო, მეც არვიცი იმის სახელი. რომ ვიცოდე კიდევაც, ვერ გამოვთქვამ, ისეთი ახირებული სახელი ერქვა... იმერეთში ხშირად შეჭხვდები ისეთ სახელებს, როგორც: „სოკრათი“, „ქსენოპონტი“, „დომინიკა“, „კუკუშკა“, „ბოლესლავი“, „ზდისლავი“, „ოლიმპიდა“, რომელთაც ქართულ სახელებთან არავითარი კავშირი არა აქვთ; ისეთ სახელებსაც შეჭხვდები, რომელთაც არც ერთს ენის ადამიანის სახელებთან კავშირი არა აქვთ. მაგალითად „ლოკომოტივი“, „რელსა“, „დონდუკოვი“, „სტრელკა“, „შერემეტიევი“, „კარსაკოვი“...

— ხა, ხა, ხა, ხა!.. — გულიანად გადვი-

ხარხარე, ისე მეუცხოვა ქაბუკის ზედი-ზედ ჩამოთვლა ამ უცნაური სახელებისა...

— კი არ გეხუმრები, — ცოტა შეშკრთა-ლად წამოიძახა ჩემს ხარხარზე: — ღმერთმანი, ეს სახელები იმერეთში ბევრსა ჰქვიათ... როცა გავიგონე და მეუცხოვა, გაჰოვიკვლიე და დავრწმუნდი, რომ ნათლობის სახელები იყო.

— უცნაურია, ღმერთმანი, უცნაური!..

— უცნაურია, მა რა არის?!. რა იმერეთი, ქართლ-კახეთშიაც იშვიათად შეჭვდები ნამდვილ ქართულ სახელს: ან სპარსული, ან კიდევ, რა ვიცი, რა ჯანდაბური სახელი არ შეგხვდება, და ქართული კი... არც ერთი... ან ერთიორი... გვარები ხომ სულ შეკვეცილ-მოგლეჯილებია... ეს სულ ჩვენი მღვდლების ბრალია. მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი წლის ნათლობის სიები რომ გადასჩხრიკო წლის ბოლოს, „დვორნიკის“ სახელით მონათლულ ბავშვებსაც ამოიკითხავ... ჩვენ რომ მღვდლები... ხა, ხა, ხა, ხა!.. უეჭველად მინდა გიამბო

ერთი „პატარა რომანი“ იმათ ცხოვრებიდან! .

სიამოვნებით გადინხარხარა ქაბუკიმ და შემდეგ მომიბრუნდა:

— რომელ ქუჩაზე გიქირავს სახლი?..

— ამა და ამ ქუჩაზე... --- ვუთხარი ჩემი ადრესი და დავუმატე: მაგრამ მე შინ ვერ მნახავ... სახლში მხოლოდ დასაძინებლად მივდივარ ხოლმე. თუ გინდა, ხვალ სადილობის დროს აქ მოდი და მიაძბე. ძალიან საყურადღებოა იმათ ცხოვრებიდან რამე ვიცოდე; მე ხომ სულ ამ ქალაქში ვარ გამომწყვდეული და სოფლისა არა ვიცი-რა...

— უეჭველად, უეჭველად მოვალ, მე აქ ერთი კვირით ჩამოველი. თუ ხვალ არ გეცალოს, ზეგ მაინც შემოიარე. მე ყოველ-დღე აქ ვისადილებ ამ ერთ კვირას. მით უფრო მინდა გიამბო „პატარა რომანი“, რომ უმთავრეს გმირად მე ვიყავი...

— უეჭველად ხვალ მოვალ სამ საათზე, ეხლა-კი, მგონი, ანტონ ზურაბიჩი დაგვავიწყდა...

— არა, ანტონ ზურაბიჩი არ დამვიწყებია... ჩიკვილაძეც იმისთვის მოვიგონე, რომ მეთქვა, მოგზაურობის დროს რომელ ნაამხანაგარს არ შეჭხვდები ჩვენ სოფლებში. ის ხომ პირველ კლასიდან დაგვეშორდა და აგერ რამდენი წლის შემდეგ მიცნო. პირველად მე სულ ვერ ვიცანი. იმან კი მიცნო. ჩვენ გათავებამდის პირველი კლასის ამხანაგები სულ მიგვავიწყდა; ჩვენ გონებაში მხოლოდ უკანასკნელი დროის ამბები დაბინავდა; იმათ კი, ვინც პირველ, ან მეორე კლასიდან გავიდა ცხოვრების ტალღებში საცურავად, მათთვის სასწავლების უკანასკნელი ხანა იყო ის დრო და ამისთვის დაწვრილებით ახსოვთ ყოველისფერი იმ დროისა. ჩიკვილაძემ იმდენი რამ მომაგონა ჩემი ბავშობისა, რომ სრულებით აღარ მახსოვდა; აღმიდგინა თვალწინ ყოველისფერი მაშინდელი ცხოვრებისა. ეხლა ჩიკვილაძე ისეთი პატარა კი არ არის!.. ახმახი, მხარ-ბეჭიანი, კმაყოფილი თავის ბედით, მშვენიერი—თითქმის მზის უნახავი ცოლი ჰყავს... შეძლებულიცაა.

შენისთანას და ჩემისთანას ათს იყიდის და გაჰყიდის... მაგრამ ი ბავშობის დრო რომ მოიგონა, ცრემლები მოადგა თვალებზე და ინატრა: „ნეტავი ისევ იმ ხნისანი ვიყვეთო და ისევ ერთათ ვსწავლობდეთო!..“

ბოთლს წამოავლო ხელი კიკებში ღვინის დასასხმელად, მაგრამ: ღვინო აღარ იდგა ბოთლში და შეჰყვირა:

— ბიჭო!... ერთი ბოთლიც მოიტა!..

— ანტონ ზურაბიჩიცი და ჩიკვილაძეც მოულოდნელად შემხვდნენ... — დაიწყო ცოდა სიჩუმის შემდეგ-

მე კი, სწორედ გითხრათ, დაუსრულებელი ყველაფერი ზიზღს მგვრის, თუნდაც იგი ნეტარება იყვეს, და ეს კი აღარ ათავებს. „ხვალაც თუ ესე გააქიანურა“... — ტანი შემიფრქოლდა ამ ფიქრზე და გარდაწყვეტით წარმოვსთქვი, რასაკვირველია, უსიტყვოდ: „არა, ამ ერთ კვირას შენ ამ რესტორანში ვერ მიხილავ, თუ შემთხვევით ქუჩაში არ დამიქირე და უნებურად შენი „პატარა რომანი“ ძალით, როგორც დღეს „ანტონ

ზურაბიჩი“, არ მომახვიე... დღეს კი შენი მსხვერპლი ვარ“..

მოსამსახურემ ერთი ბოთლი ღვინო კიდევ მოიტანა. ჭაბუკიმ შეავსო ჭიქები და:

— ძგონი, თავი შეგაბეზრე?!. მაგრამ ეხლავე გავათავებთ...

— არა! ძლიერ სასიამოვნოა ყველა შენი ნაამბობის მოსმენა...— ვუპასუხე, რომ ჩემი გადაწყვეტილებისთვის არ მეღალატნა. დღეს იმის მსხვერპლი ვიყავი.

— შარშან ზაფხულს, სრულებით მოულოდნელად დაიწყო, როდესაც ჭიქები ჩიკვილაძის სადღეგრძელოდ გამოვცალეთ:— ანტონ ზურაბიჩის ცოლის სოფლისკენ მივემგზავრებოდი. ის შემთხვევა კიდევაც დამავიწყდა. არც კი მომგონებია, რომ ანტონ ზურაბიჩის ცოლი იმ სოფლიდან იყო, საითკენაც ეხლა მივდიოდი. ჩემთვის სრულებით უცნობი სოფელი იყო და ამისთვის ჯერ ისევ შორიდან, ვიდრემდის შევიდოდი სოფელში, სოფლის ხუფს, როგორც ჩვეულებად მაქვს, სინჯვა დავუწყე, მის კიდევებს...

ბევრი იმისთანა სოფელია საქართველო-
 ში, რომ სულ პატარა, როგორც საყ-
 დრის გუმბათი, ისე პატარაა მათი ხუფი;
 მიიხედ-მოიხედავ თუ არა, მაშინვე ხუფის
 კიდეებს დაინახავ... იქ მთა, აქ მთა,
 გარს მთები და ცააც ხუფად წამოხურუ-
 ლი პატარაა.. ამ სოფელს კი რომ თვა-
 ლი გადავავლე, სადღაც იკარგებოდნენ
 მისი ხუფის კიდენი და თვით ნიადაგს
 ზე-პირს გამოვაყოლე თვალი: მზე დასავ-
 ლეთისკენ გადახრილიყო, რომელიც წა-
 ფერფლილი იყო, როგორც მკათათვის
 დღეებში იცის, და მთლად ჰაერიც ამ
 ხუფსა და ზე-ნიადაგ შუა მომწყვდეული
 წაფერფლილი იყო, თითონ ხუფიც... ამ
 მღვრიე ხუფსა და ნიადაგ შუა მომწყვდე-
 ულ ჰაერში ირეოდა ალაგ-ალაგ ხალ-
 ხი, გაყვითლებული მცენარეულობა და
 მღვრიე ჰაერს ბუქს უერთებდნენ...
 მგონი მკიდნენ... თვალი ჩემ მახლობამ-
 დის მოვაცურე და ამღვრეულ ჰაერში,
 საფლავის ქვების შორის, ორი ადამიანი,
 ქალი და ვაჟი, დამხობილიყვნენ ერთ სა-
 ფლავის ქვაზე...

არ ვიცო რად, იმათი ნახვა მომინდა და მათი მწუხარების მოსმენა. ცხენი მაშინვე იქით მივაშურე. ვიდრემდის მივიდოდი, ვფიქრობდი: „თუ შემამჩნიეს, ვკიოხავ გზას, ან კანცელარიას... თუ არა, ყურს დავუგდებ“.

შორი ახლოს შევაყენე თუ არა ცხენი, მაშინვე ორივემ თავები მაღლა აიღეო და პირ-და-პირ მე შემომხედეს.

შევეკრთი უეცრივ. ანტონ ზურაბიჩი იყო და ქალი კი უცნობი. მშვენიერი, ახალგაზდა. წამს ყველაფერმა თავში გამირბინა: ანტონ ზურაბიჩის მიცვალებული ცოლი წამოუღია თუ „ფას დადებით“ არა, როგორც ვასწავლე, სხვანაირად. ამ ზაფხულს არ ვიცოდი სად მასწავლებლობდა იმის შემდეგ, მეგონა-კია, რომ იქავე, იმერეთში წამოსულა მიცვალებულის სანახავად. ეს ქალი უთუოდ ცოლის ნათესავი იქმნება. და, ახ, მეკი რას ვფიქრობდი მაშინ!..

ყოველივე ეს ისე სწრაფად გამეფიქრა, რომ მათ შემოხედვასა და მე და ანტონ ზურაბიჩის სიხარულით წამოძახვის: „ქა-

ბუკი!... ანტონ ზურაბიჩი!..“ შუა წამს არ გაუვლია... სიხარულით გადავებვიენით, როცა ცხენიდან გადმოვბტი, და მაგრად ჩავკოცნეთ ერთმანეთი...

— ნება მიბოძე წარმოგიდგინო ჩემი მეუღლე!..— უეცრივ შეწყვიტა ჩვენი ალტაცებული სალამ-ქალამი და ჩვენთან ახლოს მოსულ ქალისკენ ხელი გაიშვირა...

სწორედ გითხრა, ვერ მივხვდი, მეგონა, საფლავისკენ მიშვერს მეთქი ხელს და:

— ჰო, საწყალი მახსოვს...— წამოვიძახე სახის უეცარის შექმუხვნიტ...

— რა სატირლად მოემზადე, აი...

— მე ბუზის ტოლას ველარ მამჩნევს!— ტუჩის აშვერით შეაწყვეტინა ახალგაზდა ქალმა ანტონ ზურაბიჩის სიტყვა და წყრომით მიტრიალდა.

— უკაცრავად, უკაცრავად!,— წავილულლულე და ქალთან მივედი.

დავრწმუნდი, რომ ეს ქალი ანტონ ზურაბიჩის ცოლია და უეცრივ იმ აზრმაც გამიეღვა თავში: უთუოდ შვილი

დასაფლავეს აქ და ორივე იმხსთვის დასტიროდნენ...

— მაპატიეთ, ქალბატონო!.. — შევევედრე ქალს.

— მელი, ეს ის არის, რომელზედაც მე ვიამბე! — დაიწყო ანტონ ზურაბიჩმა.

და მეკი სულ ტანში მოვიშალე იმის სიტყვებზე. უეცრივ მომაგონდა ჩემი მასხარაობა მიცვალეზულის „ფას-დადებით“ გაგზავნაზე და გავწითლდი...

— განა არ მივხვდი, რომ მარტო წინანდელი შენი ცოლი ახსოვს?!. მეკი... მეკი... — და ისეც ტირილისაგან დაწითლებულ თვალებზე ცრემლები შეეგუბა...

შევწუხდი. მიწის გასკდომაც ვინატრე, რომ ეს მშვენიერი ქალი უნებურად ავატირე. აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. ქალისკენ მივიწიე, რომ ჩემ მწუხარე სახისთვის მაინც შემოეხედნა და ეგრძნო, რომ გულ-წრფელად ვწუხვარ შეცდომის გამო, მაგრამ აღვირი არ მომყვა, რადგანაც ჩემი დამშეული ცხენი სულ მეორე მხარისკენ კისერ მიღრეცილი ტუჩებს ნარეკალს უპოტინებდა...

— აჩუ, შე მუდრეგო!—უეცრივ წამოვიძახე, აღვირს მძლავრად მოვწიე მთელი ჩემი სხეულის სიძლიერით და წავიჩოქე, რადგანაც ცხენმა მოულოდნელად კისერი თითონვე მოიღრიცა, რომ ახლა ჩემკენ ნარები მოეკორტნა...

— ხა, ხა, ხა, ხა!..—თითქოს ვერცხლის სიმები ააწკრიალესო, ისე დამეყარა თავს ქალის ხარ-ხარი წაპირქვავებულს. ამ დროს ვიგრძენ ანტონ ზურაბიჩის ხელები და პატარა, რის შეხებამაც სულ მომადუნა, ხელები მხრებში...

გაგუნგვლილი ტანისამოსი გავიბერტყე მოქუშვილი სახით და უეცრივ ქული მოვუხადე.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!..—და ხელის ჩამოურთმევლად ცხენზე შეჯდომა დავაპირე...

ორივემ თავ-დავიწყებით მკლავებში ჩამავლო ხელი და უზანგამდის არცკი მიმიშო...

— ააარა, დღეს არსად გაგიშვებთ!..— გრძნობით წამოიძახა.

— არ მიცნობ და იმიტომ გარბიხარ?!.

იქნება პირველსა ვჯობდე?— მითხრა თვალების დაშტერებით, რამაც სითბოებით დაშირბინა სხეულში...

— ღმერთს გეფიცებით, მალხაზ, — უცრივ მომმართა მე: ისეთი სითბო ჯერ არ მიგვრძენია ქალის თვალების წყალობით, როგორც მაშინ!..

— ჰოდა, ჯერ კარგად გაიცანი მელო და მაშინ გაიქეცი, თუ ბიჭი ხარ?! — დაუმატა ცოლის სიტყვებს ანტონ ზურაბიძმა.

— ანტონ ზურაბიძი!. — ღმობიერად მივმართე ანტონ ზურაბიძის: — ხომ კარგად იცი, რომ შენ პირველ ცოლს სრულებით არ ვიცნობდი? მაშ...

— არ იცნობდი?!. — თვალის კილოების გაგანიერებით წამოიძახა მელომ...

— ჰო, მართლა, მე სრულებით არ მომგონებია მეთქვა, რომ ეს მხოლოდ მაშინ ვნახე, როცა სახლში მიცვალებული საწყალი ნინო მესვენა... მანამდის, რაც სწავლის შემდეგ გავშორდით, არ მცნახა...

— მაშ ნინოს, ამის პირველს ცოლს

არ იცნობდი?!.—დამეკითხა სრულებით გამოცვლილი სახით მელო.

— აკი მოგახსენებთ: არა მეთქი, და, აი, ანტონ ზურაბიჩიცი მემოწმება...

— ამიტომ... — დავიწყე ცოტა არ იყოს თამამად:—თქვენ ნება არა გაქვთ მიკვიროთ, რომ ანტონ ზურაბიჩის პირველ ცოლს, რომელსაც არ ვიცნობდი, უფრო პატივს ვსცემდე, ვიდრე თქვენ, მეორეს!..

— ეგ სულ ერთია!..—სრულებით უგულლოდ წამოიძახა ქალმა:—დღეს ჩვენი სტუმარი ხართ!..

მისი უეცარი გაბრწყინება და ისევ მოღრუბლვა... ჰმ!.. სწორედ გითხრა, ვერა გავიგერა, და ისევ ენა დამება...

— კაცო, მხიარულად დაიწყო ანტონ ზურაბიჩმა:—მაშინ რა კაი ბედზე შემხვდი!.. შენ რომ წახველი, მაშინვე...

მეკი ამ სიტყვებზე ავწითლდი. ვიფიქრე, ეხლა-კი გამლანძღავს მეთქი, და სწრაფად ისევ: „მშვიდობით!“ ვუთხარი.

— ეე, ეხლა კიდევაც გამენაზებინ?!. სად ჯანაბას გინდა წახვიდე? დღეს არ-

სად გაგიშვებთ, და დილაზე საცა გინდა წადი.—მკლავში ხელი წამავლო და წინ წამწია.

— არა, მელო, დღეს ჩვენი სტუმარია? — მერე თავის ცოლს მიჰმართა, რომელიც საფლავის ქვას დაჰშტერებოდა.

— მე კიდევაც გავიბუტე! — ისე გულუბრყვლოდ წამოიძახა, რომ ხმის ამოუღებლივ გავყევი ანტონ ზურაბიძის საფლავის ქვისკენ, სადაც მისი ცოლი იდგა.

ანტონ ზურაბიძეც ჩაფიქრდა. გამეხარდა და ვიფიქრე: „იქნება თას-დადებითი გაგზავნაზე არა მითხრას რა მეთქი.“ საფლავის ქვასთან შევდექით. გაოცებულმა უკან დავიხიე და ხან ანტონ ზურაბიძის მივაშტერე თვალები და ხან კიდევ იმის ცოლს, რომლებიც საფლავის ქვას დაჰშტერებოდნენ და, ეტყობოდათ, ორივეს ცრემლები ეგუბებოდათ.

„აქ განისვენებს კალეესკი ასესორის ანტონ ზურაბიძე თხილაძის მეუღლის ნინო ტუხოვანას გვამი.“ ორ ენაზე ამოვიკითხე ეს. აღნიშნული იყო აგრეთვე

გარდაცვალების დროც. ყველაფერი ამე-
რია: ორივეს ცრემლები, წინინდელი
ცოლი, ეხლანდელის საფლავზე თავის
ხლა... რას ჰნიშნავდა?..

— ანტონ ზურაბიჩი! — შევყვირე უეც-
რივ აკანკალებულის ხმით: თუ ღმერთი
გწამს, ამიხსენი!..

— რა აგიხსნა, კაცო?! — შემომხედა
ანტონ ზურაბიჩმა და გაკვირვებით დამე-
კითხა.

მელომაც შემომაშტერა თვალები...

— აი... აი... ია... ჰო!.. — სულ დავი-
ბენი. რის კითხვაც მინდოდა, ველარ
გავბედე და რალასაც ვლულ-ლულედი...

— ხა, ხა, ხა!.. — გადიხარხარა თავისე-
ბურად, რამაც შუბლი შემაქმუხვინა, გო-
ნება ამირია და:

— როგორ მოახერხე შენი მეუღლის
გვამის გადმოტანა?.. — უეცრივ კი იმაზე
ვკითხე, რის ამბის გაგებასაც ვერიდებო-
დი.

— ჰოოო!.. ხა, ხა, ხა, ხა!.. — გულია-
ნად გადიხარხარა ანტონ ზურაბიჩმაც და
ჩამოჯდა საფლავის ქვაზე.

იმას მელო მიუჯდა გვერდით.

— აკი წელან დავიწყე, კაცო, რომ შემაწყვეტინე. ეხლავე გიამბობ, ჯერ დაჯექი!— ამ სიტყვებით მკლავი დამწია და თავის მეორე გვერდით დამსვა...

სამივენი ჩამოვმწკრივდით ანტონ ზურაბიჩის პირველი ცოლის საფლავის ქვაზე...

— გამოვემშვიდობე თუ არა, მაშინვე, — დაიწყო ანტონ ზურაბიჩმა, და მეც ძალაუნებურად ყური უნდა დამეგდო. ჩემი ცხენი კი გამალეებით ხან იქით მწევდა და ხან აქეთ. თან ფეხებს ატოკებდა, კუდს დაულალავად იქნევდა და უწყალოდ იშხებავდა გვერდებს, უკანა ფეხებს, რადგანაც სალამოს ჟამის მოტანებაზე აუარებელი ბუზი ეხვეოდა და უფრო მწვავედ ჰკბენდა. — სადგურის უფროსს მიემართე და ჩემი მწუხარება ვაუწყე.

ემშაკურად ჩაიციინა და მკითხა:

— „ძალიან გინდა შენი მიცვალებულის გვამის გაგზავნაო“?

— ძალიან კი მინდა, — მაგრამ — ვუბასუხე მე — დასამარხი ფული არა მაქვს და

თანაც, აი, რა დებეშას მწერენ!..

ამოვულე ჩემი სიმამრის დებეშა და მივეცი. იმან წაიკითხა. ჩაფიქრდა და ისევ შემეკითხა:

— „შეძლება ააქვს შენს სიმამრს?“

როცა ანტონ ზურაბიჩი ამას მიაშობდა, მე ჩემი მემართებოდა, ოფლში ვცურავდი...

— მდიდარია, მდიდარი!.. წამოვიყვირე მე.. სულ კოჭებებითა აქვს ფული მიწაში ჩაფლული!..

— „მაშ კარგო.— მიპასუხა იმან: მიცვალებულის ფას-დადებით გაგზავნა კი არ შეიძლება, და შენ სიმამრს კი აქ მოვიყვანთო.“

მაინც შენი მადლობელი ვარ. შენ რომ არ გერჩივა, სადგურის უფროსს არ მივმართავდი. ის კარგად მიცნობდა და ამისთვის, მგონი, ასე მხურვალედ იმისთვის მომექცა.

ჩაჯდა ი მამაცხონებული და წერა დაიწყო...

— „აბა, ამას რომ წაიკითხავს შენი სიმამრი, მოვა თუ არა!“ ერთი-ორი წუ-

თის შემდეგ დაწერილი ქალაქი მომა-
წოდა.

„თუ არ მოხვალ, — ამოვიკითხე ეს:
ფას-დადებით გამოვიგზავნი შენს ქალს და
ორივე სირცხვილს ვქამთ. რადგანაც მე,
გამოვიგზავნი თუ არა, წყალში გადავვარ-
დები და თავს დავიღრჩობ, სირცხვილი
სულ შენ მოგეხვევა.“

— „ჰაა, ანტონ ზურაბიჩ, მოვა შენი
სიმამრი, თუ არა?“ — დამეკითლა სადგუ-
რის უფროსი, როდესაც წავიკითხე და
ქალაქი გადავატრიალე.

— რა ვიცი?! — ეჭვით ვუპასუხე.

— თუ არ მოვიდეს, ამ დეპეშის ფასს
დაგიბრუნებ...

ეს დეპეშა „დავარტყით“ და...

— ხა ხა ხა!.. რამდენიმე საათის შემ-
დეგ რა პასუხი მომივიდა?.. თითონ სად-
გურის უფროსმა მომიტანა:

„არ შემარცხვინო, მოვდივარო“ —
მწერდა ჩემი სიმამრი...

მე და სადგურის უფროსი ღვინოს ჩავუ-
ჯექით და, როცა ერთმანეთს ველარ ვზე-
დავდით ღვინის გამო, ხუთიოდე ჩემი სი-

მამრი თავს წამოგვადგა... ჩემი სიმამრი ერთი იყო, მაგრამ, როცა ის მოვიდა, ხუთად მომეჩვენა...

მეორე დღეს, ღვთის წყალობა გაქვს, მე იმას რამდენიმე ეკატერინე *) დავადერ...

როდესაც ორი დღის შემდეგ საფლავში ჩაშვებას უპირობდნენ, კუბოს ძლივას-ლა ამგლიჯეს...

ანტონ ზურაბიჩი მოიღრუბლა ამ სიტყვებზე, სახე დაემანქა და უეცრივ ქვითინით: „საბრალო ნინო... ჩემი ნინო...“ — დაემხო საფლავის ქვას...

მაშინვე წამოვდექი და მელოს შევხედე, რომელსაც ანტონ ზურაბიჩისავით სახე დაჰმანქოდა, და რომელიც ის იყო საფლავის ქვაზე თავის ხლას აპირობდა მე არც კი შემომხედა...

კინალამ გადვიხარხარე, როცა გავიფიქრე, რომ მეღა მაკლია, დავემხო და თავი ქვას ვახალო.

*) ეკატერინეს ათ-თუმნიან ქალაქის ფულს ეძახიან.

— კაცო, — მივმართე ანტონ ზურაბიჩს და მხარზე ხელი წავავლოე რამდენიმე წუთის შემდეგ: — მგონი მე დაგავიწყდი?!

— ახ, კაცო, რას ამბობ, რას?.. — უეცრივ გადაეწმინდა სახე და მხიარულად დაიწყო: მერე... დაჯე, კაცო, ფეხზე რას უდგებარ? — დამსვა ისევ საფლავის ქვაზე და თითონაც გვერდით მომიჯდა...

— აი, სულ ესე მკლავს ეს ამოწყვეტილის შვილი. — ღიმილით მითხრა მეორე ცოლმა, და ისაც გვერდით მოუჯდა.

— ხა, ხა, ხა, ხა!.. — გაღიხარხარა ანტონ ზურაბიჩმა: — დავიწყებ თუ არა ტირილს, ესაც ამყვება ხოლმე და ხა, ხა, ხა ხა!..

— ჰო, ჰო, იხარხარე, შენი თავის მზემ!.. — სიცილით წაჰკრა მუჯლუგუნი მეორე ცოლმა...

— მალხაზ, ძმობას გეფიცები, ვერა გავიგე-რა!..

— რას მეფიცები, როდესაც, აი გისმენ და მეც ვერა გამიგია-რა!. მაინც არა ჰკითხე? მე კი ვკითხავდი მეორე ცოლს თუ ის რაღათა სტიროდა... — დავეკით-

ხე ჭაბუკის, რომ დროით დაებოლოვებინა.

— როგორ არ ვკითხე, მაგრამ იმისმა პასუხმა არ დამაკმაყოფილა. იცი, რა მი-
 პასუხა?... „ეს რომ ატირდება ხოლმე, მეც
 გული მიჩუყდება და ტირილი მომდისო...
 რა ვიცი, თუ ისეთი სულელია... არა
 მგონია, სხვა რამე უნდა იყოს... ანტონ
 ზურაბიჩმა კი დაშოშმინების შემდეგ გა-
 ნაგრძო:

— სამ თვეს არ გაუვლია ამის შემ-
 დეგ, რომ—მე ხომ იმის შემდეგ ამ სო-
 ფელში ვითხოვე მასწავლებლის ადგილი
 და, რადგანაც თავისუფალი იყო, მომ-
 ცეს—აი, ეს, ამიჩინეს—აიმ სოფლიდან
 არის. არც კი იცნობდა ჩემს პირველს
 ცოლს—და მეც მომეწონა. ეხლა, ჩემო
 ჭაბუკი, როგორც მხედავ, ერთს ცოლს
 ზედ ვაზივარ და მეორეს კი გვერდით
 ვუზივარ!. გაათავა თავისი თავ-გადასავა-
 ლი ანტონ ზურაბიჩმა და ორივეს ხელე-
 ბი გადაგვხვია:

— აბა, ეხლა კი წავიდეთ, ჩაი დაე-
 ლიოთ და შემდეგ კარგ ვახშამს შევექ-

ცეთ... აგერ, შენი ცხენიც მშიერია. უნდა მოვუაროთ!..

წამოვდექით სამივენი. ისინი ძალიან მხიარულად იყვნენ, მაგრამ მე კი,—ეხლაც ვერ გამომიჩვევია იმ ქალის საქციელი. ვახშმის დროს კიდევ რამდენჯერმე შევეკითხე და ყოველთვის ერთსა და იმავეს თავისებურის კასკასით იმეორებდა...

— ეეჰ. ჩემო ქაბუკი,—ვუთხარი მე და წამოვდექი:—იქმნება კიდევ შეჰხვდე ანტონ ზურაბიძის და მაშინ უფრო კარგად ჩააკვირდები იმის ცოლის სულის მოძრაობას!..

— მართლა, კაცო, აქედგან პირ და პირ იმისკენ წავალ!.. წამოდგა ისაც და ორივენი რესტორანიდგან გამოველით.

უკვე შეგრილებულიყო, მაგრამ ჰაერი მაინც მტვრით იყო გაჟღენთილი და სუნთქვას გვიძნელებდა.


შ. არაგვისპირელი.

1930 წ.



ს ა რ ჩ ე ვ ი .

| | |
|---------------------------------------|-----|
| გიული | 83. |
| „ბაღლი ყოფილხარ!“ (ეტიუდი). | 1 |
| „ბაღლი ყოფილხარ!“ (ეტიუდი). | 128 |
| დიდი-დედა შარიაში და ხატაურა. | 138 |
| ანტონ ზურაბიჩი | 207 |



ქ. შ. წ. კ. გამავერც. საზ. წიგნის მაღაზი-
აში ისყიდება:

შიო არაგვისპირელის ნაწერები.

| | |
|------------------------|--------|
| პირვე წიგნი. | ფ. 50— |
| მეორე — | 40— |
| მესამე — | 40— |
| მეოთხე — | 50— |
| მეხუთე — | 50— |
| შიო თავადი — | 60— |

